

# შედარებითი პოლიტიკა

## შინაარსი

პიტერ მეირი. შედარებითი პოლიტიკა: მიმოხილვა .....	3
1. შესავალი: შედარებითი პოლიტიკის საგანი.....	3
2. შედარების ფარგლები .....	6
3. საკითხები .....	16
4. პრობლემები.....	20
5. დასკვნა: დღევანდელი და მომავალი მიმართულებები	26
რასელ ჯ. დალტონი. შედარებითი პოლიტიკა:	
მიკრობიჰევიორისტური ხედვა .....	30
1. პოლიტიკური კულტურა და დემოკრატიზაცია.....	32
2. ღირებულებათა ცვლილება და მოდერნიზაცია .....	38
3. ელექტორალური ცვლილება .....	41
4. დასკვნა.....	48
ლორენს უაიტჰედი. შედარებითი პოლიტიკა:	
დემოკრატიზაციის კვლევები.....	49
1. შესავალი .....	49
2. ვისთვისაა იგი საჭირო? .....	50
3. რა არის დემოკრატიზაცია?.....	54
4. როგორ ტარდება შედარებითი კვლევები?.....	59
5. დასკვნა.....	69
დევიდ ე. აპტერი. შედარებითი პოლიტიკა: ძველი და ახალი	
.....	72
1. შესავალი .....	72
2. ინსტიტუციონალიზმი.....	76
3. „ახალი“ შედარებითი პოლიტიკა .....	84
4. ნეოინსტიტუციონალიზმი .....	92
5. შეჯამება .....	98

# პიტერ მეირი. შედარებითი პოლიტიკა: მიმოხილვა

## 1. შესავალი: შედარებითი პოლიტიკის საგანი

მას შემდეგ, რაც არისტოტელემ შეისწავლა განსხვავებები სახელმწიფოთა სტრუქტურებსა და კონსტიტუციებს შორის და შეეცადა რეჟიმის ტიპების კლასიფიკაციის შემუშავებას, პოლიტიკური სისტემების შედარების ცნება პოლიტიკური მეცნიერების ქვაკუთხედად იქცა.<sup>1</sup> ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მიუხედავად მუდმივი ინტერესისა ისეთი კლასიკური თემების მიმართ, როგორცაა რეჟიმებისა და მათი ცვლის ანალიზი, დემოკრატია და მისი ალტერნატივები, შედარებითი პოლიტიკა ვერ განისაზღვრება როგორც მეცნიერული დისციპლინა, სიტყვის პირდაპირი გაგებით. თავად შედარება და ის, თუ როგორ და რატომ შეიძლება მოხდეს პოლიტიკური ფენომენების შედარება, სწორედ იმის გამო, რომ შედარებით პოლიტიკას არ გააჩნია ერთი კონკრეტული კვლევის სფერო, მისი, როგორც ცალკე სუბდისციპლინის განსაზღვრის შესაძლებლობა და მნიშვნელობა ხშირად გამხდარა კამათის საგანი (დისკუსიისათვის იხ. Verba 1985; Dalton 1991; Keman 1993a).

შედარებითი პოლიტიკის საგანი, ჩვეულებრივ, სამი ურთიერთდაკავშირებული ელემენტის ერთობად განიხილება. პირველი და ყველაზე მარტივი ელემენტია საზღვარგარეთის ქვეყნების შესწავლა, რაც ხშირად ერთმანეთისგან იზოლირებულად ხდება. ეს ჩვეულებრივ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ განისაზღვრება შედარებითი პოლიტიკა სწავლების კონტექსტში, განსაკუთრებით ანგლო-ამერიკული კულტურების ფარგლებში, სადაც შედარებითი სწავლებების ესა თუ ის კურსი გათვლილია კონკრეტულ ქვეყანაზე. შესაბამისად, ქვეყნდება მრავალი სახელმძღვანელო ცალკეული ქვეყნების შესახებ. მსგავსი მიდგომა გამართლებულია პედაგოგიკის თვალსაზრისით, მაგრამ იგი რეალურად მოკლებულია შედარების ელემენტს. ამ მხრივ გამონაკლისია ნაშრომები, რომლებიც მიზნად ისახავენ ცალკე ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც შედარებითი პოლიტიკის, როგორც სუბდისციპლინის, ზუსტად განსაზღვრის სირთულესთანაა დაკავშირებული, შემდეგში მდგომარეობს: ამერიკელი მეცნიერი, რომელიც იტალიური პოლიტიკის სფეროში მუშობს, თავისი თანამემამულე კოლეგების მხრიდან კომპარატივისტად მიიჩნევა, მაშინ როდეს-

<sup>1</sup> იხ. არისტოტელე, „პოლიტიკა“, წიგნი II და IV.

საც იტალიელი მკვლევარი, რომელიც იტალიურ პოლიტიკაზე მუშაობს, მისი თანამემამულე კოლეგებიც მიერ არ მიიჩნევა კომპარატივისტად. ეს, რა თქმა უნდა, აზრს უკარგავს კომპარატივისტიკის განსაზღვრებას.

მეორე, უფრო მნიშვნელოვანი ელემენტია ქვეყნების სისტემატიური შედარება იმ მიზნით, რომ მოხდეს მათ შორის არსებული განსხვავება-მსგავსებების იდენტიფიცირება და ახსნა გასაანალიზებელ კონკრეტულ ფენომენტა მიხედვით. ამ შემთხვევაში, ცალკეული ქვეყნის შესახებ ინფორმაციის შეგროვების ნაცვლად, კვლევითი პროცესის ცენტრში ხვდება თეორიის შემუშავება და მისი შემოწმება, თავად ქვეყნები კი მაგალითის, ილუსტრაციის როლში გვევლინებიან. ამკარაა, რომ მსგავსი მიდგომა პოლიტიკური მეცნიერების კვლევის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია და, ამავე დროს, დისციპლინაში არსებული ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ფუძემდებლური ტექსტის წყაროს წარმოადგენს (მაგ., Almond and Coleman 1960; Almond and Verba 1965; Lipset and Rokkan 1967; Lijphart 1977).

შედარებითი პოლიტიკის მესამე ელემენტი ფოკუსირებულია უშუალოდ კვლევის მეთოდებზე. იგი შეიმუშავებს შედარებითი კვლევის განხორციელების წესებსა და სტანდარტებს ანალიზის დონეების, შედარების შესაძლებლობებისა და შეზღუდვების ჩათვლით. იმის გამო, რომ როგორც მეცნიერულ, ასევე ყოფით კულტურაში შედარების პროცესი ინსტინქტურია, ეს ელემენტი მკვლევართა მხრიდან ხშირად განიხილება, როგორც არაპრობლემური და, შესაბამისად, ხდება მისი უგულვებელყოფა. თავის მხრივ, ეს უგულვებელყოფა წარმოშობს ზოგიერთ უმწვავეს პრობლემას კვლევისა და, სხვა მხრივ, თეორიის შემუშავებისა და მისი შემოწმების პროცესში.

ასე რომ, შედარებითი პოლიტიკა არის დისციპლინა, რომელიც განისაზღვრება როგორც თავისი შინაარსით (კონკრეტული ქვეყნის ან ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის კვლევა), ასევე მეთოდით (იხ. Schmitter 1993 : 171). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარი განსაზღვრის შემთხვევაში ექვექვემ დგება მისი, როგორც კვლევის ცალკე სფეროს, სპეციფიკურობა. მაგალითად, მეთოდის თვალსაზრისით, შედარებითი პოლიტიკა ძნელად თუ განისაზღვრება, როგორც კვლევის ცალკე სფერო, რადგანაც მასში არსებული სხვადასხვა მიდგომა სავსებით ვარგისია სხვა სოციალური მეცნიერებებისთვისაც. ზოგი უმნიშვნელოვანესი გამოკვლევა შედარებითი მეთოდის სფეროში (მაგ., Przeworski and Teune 1970; Smelser 1976; Ragin 1987) განეკუთვნება ზოგადად სოციალურ მეცნიერებებს და არა პოლიტიკურ მეცნიერებას *per se*. მეორე მხრივ, შედარებითი პოლიტიკა, როგორც კვლევის სფერო, შინაარსობრივადაც ძნელად გამოსაყოფია სა-

ერთო (*tout court*) პოლიტიკური მეცნიერებისგან, რადგან ნებისმიერი კვლევის განხორციელება შესაძლებელია ან შედარებითი მიდგომის საფუძველზე (სხვადასხვა ქვეყნის მონაცემების გამოყენებით), ან მის გარეშე (მხოლოდ ერთი ქვეყნის მონაცემების საშუალებით). მაგალითად, აშკარაა, რომ ამ წიგნის სხვა თავებში მოცემული კვლევის სფეროები, შეიძლება შესწავლილ იქნას როგორც შედარებითი მეთოდის გამოყენებით, ისე მის გარეშე.<sup>2</sup> თუკი შედარებითი პოლიტიკა განისაზღვრება როგორც ცალკე დისციპლინა, ეს შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ შინაარსისა და მეთოდის ერთობლიობის ფარგლებში, ხოლო მათი დაცალკევება ნიშნავს შედარებითი პოლიტიკის გათქვეფას ან საერთო პოლიტიკურ მეცნიერებაში, ან ზოგადად სოციალურ მეცნიერებებში.

რადგანაც საერთოდ პოლიტიკური მეცნიერების განვითარების ფართო დიაპაზონის მიმოხილვა შეუძლებელია, ამავე დროს, არასასურველია მხოლოდ შედარებით მეთოდებზე კონცენტრირება (ამ საკითხს უახლეს ლიტერატურაში დიდი ყურადღება ეთმობა. იხ. მაგ., Collier 1991; Keman 1993b; Bartolini 1993; Sartori and Morlino 1991), ამიტომ ამ თავში განხილული იქნება სამი პრინციპულად მნიშვნელოვანი თემა. ყურადღების ცენტრში იქნება ერთი მხრივ, `ახალი შედარებითი პოლიტიკის` (XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლო და 60-იანი წლები) მისწრაფებების და მიდგომების, ხოლო მეორე მხრივ კი, კომპარატივისტთა თანამედროვე თაობის მიზნებსა და მიდგომებს შორის არსებული განსხვავებანი. (უფრო ღირებული და ფართო მიმოხილვისთვის იხ. Daalder 1993). პირველი, რასაც II ნაწილში განვიხილავთ, შედარების მასშტაბია. შესაძლოა, სწორედ ეს საკითხი წარმოადგენს შედარებითი პოლიტიკის ადრეულ და გვიანდელ "სკოლებს" შორის განსხვავების უმთავრეს წყაროს. ამ ორი თაობის მკვლევრებს შორის არსებობს განსხვავება ინსტიტუტებისადმი დამოკიდებულებაში, მათ მიერ ინსტიტუტებისა და სახელმწიფოს, როგორც კვლევის ძირითადი საგნის, უგულვებლყოფისა და შემდეგ `ხელახალი აღმოჩენის` თვალსაზრისით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინსტიტუციური მიდგომის უგულვებლყოფა XX საუკუნის 50-60-იანი წლების კომპარატივისტების უფროსი თაობის მიერ გამოწვეული იყო კვლევებში დასახული ფართო მიზნებით და, შესაბამისად, აბსტრაქციის მაღალი დონით (რომლის ფარგლებშიც ხდებოდა კონცეპტუალიზაცია) და არა თა-

---

<sup>2</sup> ადა ფინიფტერს, რომელიც წიგნის მეორე გამოცემაზე მუშაობდა (დისციპლინის მდგომარეობა გამოქვეყნდა 1993 წ.-ს), ურჩიეს: `არათუ გვჭირდება პირველ გამოცემასთან შედარებით მეტი კომპარატივისტული თავი, არამედ ყველა თავი კომპარატივისტული უნდა იყოს` (finifter 1993: viii).

ვად ინსტიტუტების როლის არაადეკვატური შეფასებით. შესაბამისად, ინსტიტუტების `ხელახალი აღმოჩენა` 1980-90 წლებში ისევე, როგორც დისციპლინის ფარგლებში მომხდარი ნებისმიერი თეორიული ცვლილება, შედარების საზღვრების რედუქციითა და კონცეპტუალური აბსტრაქციის დონის დადაბლებით იყო გამოწვეული.

მეორე თემა, რომელსაც III ნაწილში განვიხილავთ, შედარებითი პოლიტიკური კვლევების აქტუალურ პრობლემებსა და საკითხებს შეეხება. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოლიტიკური პროცესის იმ ასპექტებს, რომლებიც ხვდება პოლიტიკური სისტემის “გამოსვლის” (“outputs”) და არა “შესვლის” (“inputs”) ფუნქციურ. შესაბამისად, ეს იქნება უფრო პოლიტიკის შედეგები და მთავრობის მოქმედებები, ვიდრე პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორები და მთავრობის მოქმედებათა მიმართ სოციალური დაკვეთის იმპულსები (იხ. აგრეთვე Rogowski 1993). ეს ეხება შედარების ცვალებად მასშტაბებსაც. ამ თვალსაზრისით, ჩნდება კითხვა: აქვს თუ არა აზრი საუბარს პოლიტიკის (როგორც პროცესის) გავლენაზე საზოგადოების სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციის სფეროში იმ დროს, როცა შედარება მხოლოდ რამდენიმე მეტ-ნაკლებად მსგავსი შემთხვევით შემოიფარგლება? მესამე თემა, რომელიც IV ნაწილში განიხილება, ეხება თანამედროვე კვლევებში ზოგიერთი პრობლემის დაპირისპირებას, კერძოდ, ყურადღება დაეთმობა, ერთი მხრივ, ქვეყნების, როგორც ანალიზის ერთეულების როლს, მეორე მხრივ, ემპირიული მაჩვენებლების გამოყენებასა და მათ ფაქტობრივ ფენტიზაციას. V ნაწილი შეაჯამებს თავის შინაარსს მოკლე დისკუსიით შედარებითი პოლიტიკის ზოგიერთი თანამედროვე და მომავალი ტენდენციის შესახებ, კერძოდ, ყურადღება დაეთმობა პოლიტიკის კონტექსტისადმი ინტერესის ზრდას ისევე, როგორც კონკრეტულ შემთხვევათა გაღრმავებულ კვლევას.<sup>3</sup>

## 2. შედარების ფარგლები

შედარებითი პოლიტიკის წარსული და თანამედროვე მდგომარეობის 1960-იან წლების დასაწყისის ყველაზე ღირებულ და ფართო მიმოხილვაში ჰარი ეკსტეინი (Eckstein 1963: 22) აღნიშნავდა, რომ იმ დროის შედარებითი პოლიტიკა ხასიათდებოდა `ფართომასშტაბიანი შედარებე-

---

<sup>3</sup> ამ დისკუსიის უფრო ადრეული ვერსიისთვის, კერძოდ, შედარებითი მეთოდის შესახებ იხ. Mair 1995.

ბის მიმართ გამოღვიძებული ინტერესით; პოლიტიკის და მასთან დაკავშირებული ფენომენების მეტ-ნაკლებად ფართო გაგებით; მზარდი ყურადღებით საშუალო დონის თეორიული პრობლემების მიმართ, რომლებიც ეხება კონკრეტული ტიპის პოლიტიკური ქცევის დეტერმინანტებს, აგრეთვე გარკვეული პოლიტიკური ინსტიტუტების არსებობისათვის აუცილებელ პირობებს. ეკსტენისთვის ამ შემთხვევაში ათვლის წერტილს წარმოადგენდა შედარებითი პოლიტიკის `ოქროს ხანაღ` წოდებული პერიოდის ადრეული საფეხური, როცა გაბრიელ ალმონდისა და ამერიკის სოციალური მეცნიერების კვლევის საბჭოს შედარებითი პოლიტიკის კომიტეტში (დაარსდა 1954 წელს) მისი კოლეგების ძალისხმევით საფუძველი ჩაეყარა ფუნდამენტურ კვლევათა პროგრამების მთელ სერიას. ამ დახასიათებიდან და, საერთოდ, კომიტეტის მიერ ჩამოყალიბებული მიდგომიდან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო განსაკუთრებული ყურადღება “ფართომასშტაბიანი შედარებებისადმი”. ალმონდმა და მისმა კოლეგებმა უარყვეს კვლევათა ტრადიციული შემოსაზღვრა განვითარებული ქვეყნებით (განსაკუთრებით, აშშ-ით და ევროპით), აგრეთვე ასეთი შეზღუდვის პირობებში ჩამოყალიბებული და მხოლოდ მისთვის გამოსადეგი კონცეპტუალური ენა. მათ დაიწყეს ისეთი თეორიისა და მეთოდოლოგიის შემუშავება, რომელიც მოიცავდა და ერთმანეთს შეადარებდა ნებისმიერი ტიპის – პრიმიტიულ თუ განვითარებულ, დემოკრატიულ თუ არადემოკრატიულ, დასავლურ თუ არადასავლურ პოლიტიკურ სისტემას. მოგვიანებით, როგორც ალმონდი (Almond 1970: 16) აღნიშნავდა კომიტეტის მუშაობისა და იმ პერიოდის შედარებითი პოლიტიკის განვითარების მიმოხილვაში, მათი სტრატეგია გათვლილი იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის თემატიკაზე მომუშავე მკვლევრების შეკავშირებასა და მათთვის იმის დასაბუთებაზე, რომ ისინი `იყვნენ ერთიანი დისციპლინის წევრები, რომლებიც დაკავებული არიან ერთი და იმავე თეორიული პრობლემების შესწავლით და მათთვის ხელმისაწვდომია კვლევის საერთო მეთოდოლოგია`.

კვლევის გეოგრაფიული თუ ტერიტორიული საზღვრების გაფართოებას აუცილებლად თან სდევდა თავად პოლიტიკის ცნების გაფართოება, კერძოდ, უარი ითქვა ფორმალური პოლიტიკური ინსტიტუტების იმ დროისთვის ტრადიციულ და ვიწროდ განსაზღვრულ კვლევაზე. მართლაც, 1950-1960-იანი წლების წამყვანი კომპარატივისტების ნაშრომებში თვალში გვხვდება იმედგაცრუება პოლიტიკური ინსტიტუტების კვლევის მანამდე გაბატონებული მიდგომის მიმართ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ორი ფაქტორი: უპირველეს ყოვლისა, ტრადიციულად ინსტიტუტების ხაზგასმა ხელს უწყობდა პოლიტიკის ფორმალური და ლეგა-

ლური ასპექტების წინ წამოწევას, პოლიტიკის “პრაქტიკის” ხარჯზე; უპირატესობას ანიჭებდა ‘ოფიციალურ’ ნარატივს, ალტერნატიული და “რეალური” ნარატივის ხარჯზე. ახალი თაობის კომპარატივისტიკის ლექსიკონში ‘რეალიზმი’ წამყვანი გახდა ‘ლეგალიზმთან’ შედარებით. მეორეც, საჭირო გახდა ‘პოლიტიკის’ ცნების გაფართოება, რათა მას მოეცვა როგორც ნაკლებფორმალური სტრუქტურები და პროცესები, რომელიც პოლიტიკის სფეროს უფრო ფართოს ხდის, ვიდრე ეს ხელისუფლების ფორმალური ინსტიტუტებია. ეს ძვრა გამომდინარეობდა დისციპლინის გლობალური ამოცანებიდან, აგრეთვე ლეგალიზმის უარყოფიდან, რომელიც მჭიდროდ უკავშირდებოდა დასავლეთის პოლიტიკის პრიმატის აღიარებას. უფრო მეტიც, ახალმა მიდგომამ შესაძლებელი გახადა არა მარტო არადასავლური რეჟიმების უფრო დეტალური ანალიზი, არამედ გზა გაუხსნა ახალი თაობის კომპარატივისტიკებს, უფრო მეტი ყურადღება დაეთმოთ თვით დასავლური პოლიტიკის ნაკლებად ფორმალური ასპექტების შესწავლისათვის. ასე რომ, ახლა დასავლეთე-როპული პოლიტიკის მკვლევრებს შეეძლოთ უარი ეთქვათ ‘ფორმალურ და ინსტიტუციურ ტენდენციურობაზე’ და ყურადღება გადაეტანათ ‘პოლიტიკურ ინფრასტრუქტურაზე, კერძოდ, პოლიტიკურ პარტიებზე, ინტერესთა ჯგუფებსა და საზოგადოებრივ აზრზე’ (Almond 1970: 14).

გლობალურმა მისწრაფებებმა და პოლიტიკისა და პოლიტიკური სისტემის უფრო ფართოდ გააზრების აუცილებლობამ ორი მნიშვნელოვანი შედეგი მოიტანა. პირველი იყო არნახულად ნაყოფიერი კვლევითი პროგრამის დაწყება შედარებით პოლიტიკაში, რომლის ჩანაფიქრის ყოვლისმომცველი მასშტაბები და თანმიმდევრულობა დღემდე შეუდარებელია<sup>4</sup> და რომელიც დაკავშირებულია კომპარატივისტიკის ‘ოქროს ხანად’ წოდებულ პერიოდთან. შედარებითი პოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობის პესიმისტურ მიმოხილვაში ვერბა (Verba 1985: 29) აღნიშნავდა, რომ ‘შედარებითი პოლიტიკა ადრეც და ახლაც იმედს უცრუებს ზოგიერთ მკვლევარს... მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ მის დღევანდელ მდგომარეობას წარსულის იმედებსა და მოლოდინს შევადარებთ’. ‘ოქროს ხანის’ შემდგომ პერიოდში მუდმივად იგრძნობა შემფოთება იმის გამო, რომ დისციპლინა წინ აღარ მიდის. მკვლევრები აღნიშნავენ (ყოველ შემთხვევაში, ვერბასთან საუბარში), რომ ‘ხდება საგნის დაყოფა, ფრაგმენტაცია, ატომიზაცია... იგრძნობა მკვეთრად გამოკვეთილი მიმართუ-

---

<sup>4</sup> მნიშვნელოვანი მონოგრაფიების სერიის გარდა იხ. მაგ., Almond and Coleman 1960; Binder et al. 1971; Coleman 1965; LaPalombara 1963; LaPalombara and Weiner 1966; Pye 1962; Pye and Verba 1965.

ლების, წამყვანი სკოლის ან თუნდაც საყოველთაოდ მისაღები და შეთანხმებული თეორიული ბაზის უკმარისობა<sup>5</sup>. მეორე შედეგი გახლდათ `კონცეპტუალური აპარატის შემუშავების აუცილებლობა, რომელიც გლობალური მასშტაბების ემპირიული კვლევების შესატყვისი იქნებოდა~ (Rustow 1957/1963 : 65). ასეთად მოგვევლინა `სტრუქტურული ფუნქციონალიზმი~, რომელსაც დღეს ძალზე ხშირად აკრიტიკებენ. მანამდე, როგორც ზემოთ აღინიშნა, შედარებით პოლიტიკაში უპირატესობა ენიჭებოდა ჩამოყალიბებული, მკაფიოდ განსაზღვრული და ეკონომიკურად განვითარებული დემოკრატიული სისტემების შესწავლას, რომლებიც მეტ-ნაკლებად ხასიათდებოდნენ სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების მკაფიო გამიჯვნით და სახელმწიფოს ცნების არსებობით, რომელსაც განიხილავდნენ სპეციფიკური (შედარებადი) ინსტიტუტების – აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, პარლამენტების, სამოხელეო აპარატის, სასამართლო ორგანოების, შეიარაღებული ძალების და ა.შ. – ერთობლიობად, რომელშიც ყოველ მათგანს, როგორც ერთიანი სისტემის ნაწილს, თავისი საკუთარი როლი აქვს. ამის საპირისპიროდ, გლობალური მასშტაბის შედარებები გულისხმობდა არამარტო არადემოკრატიული რეჟიმების, არამედ ე.წ. `პრიმიტიული~ პოლიტიკური სისტემების მქონე სუსტად განვითარებული ქვეყნების კვლევასაც, რომლებშიც ძნელია არამარტო სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების გამიჯვნა, არამედ თითქმის შეუძლებელია სპეციფიკური მიზნებისა და ფუნქციების მქონე პოლიტიკური ინსტიტუტების გამოყოფა.

გლობალურმა მიზანდასახულებამ განაპირობა სახელმწიფო მმართველობის ინტერესის შესუსტება ფორმალური ინსტიტუტების, როგორც კვლევის ძირითადი ობიექტის მიმართ, აგრეთვე უარის თქმა თავად სახელმწიფოს ცნების გამოყენებაზე, რომელსაც `პოლიტიკური სისტემის~ აბსტრაქტული ცნება ჩაენაცვლა. როგორც მოგვიანებით Almond (1990: 192) აღნიშნავდა, ახალმა ტერმინოლოგიამ საშუალება მისცა მკვლევარებს, მხედველობაში მიეღოთ *ექსტრასამართლებრივი*, *პარასამართლებრივი* და *სოციალური* ინსტიტუტების ფაქტორი, რომელსაც საკვანძო მნიშვნელობა აქვს არადასავლური პოლიტიკის გაგებისათვის. ფაინერი (Finer 1970: 5) აღნიშნავდა, რომ ეს ტერმინოლოგია საჭირო იყო რათა შედარებით შესწავლას `მოეცვა წინასახელმწიფოებრივი და არასახელმწიფოებრივი საზოგადოებები ისევე, როგორც სტრუქტურები და როლები, რომელთა აშკარა კავშირი სახელმწიფოსთან ძნელად შესანიშნია~.

<sup>5</sup> იხ. ასევე დაალერის მიმოხილვა (Daalder 1993: 20), რომელიც მსჯელობს 1960-იანი წლების `პოლიტიკური განვითარების ბუშთან~ დაკავშირებული `აღფრთოვანების~ შესახებ.

უფრო მეტიც, ეს ახალი ენა სასარგებლო იყო დასავლური პოლიტიკის ტრადიციული კვლევების ფარგლებშიც, რომელთა ახალმა ტალღამ წარმოაჩინა, რომ `სახელმწიფო დაწესებულებები პრაქტიკაში ხშირად სცილდებიან ფორმალური კომპეტენციის ფარგლებს. წმინდა სამართლებრივი მიდგომა შეივსო ემპირიული დაკვირვებითა და ფუნქციონალური ანალიზით. ახლა საქმე ეხებოდა არა მხოლოდ იმას, თუ რა უფლებამოსილება აქვთ ამ დაწესებულებებს იურიდიულად, არამედ იმას, თუ რას აკეთებენ ისინი რეალურად, როგორია მათი ურთიერთმიმართება და როლი სახელმწიფო პოლიტიკაში` (Almond, Cole and Macridis 1955/1963: 53). ამან წარმოშვა სტრუქტურული ფუნქციონალიზმი, რომელიც გამოყოფს ყველა საზოგადოებისათვის საჭირო აბსტრაქტულ ფუნქციებს და საშუალებას იძლევა, ერთმანეთს შევუდაროთ მათი განხორციელება მრავალი ფორმალური და არაფორმალური სტრუქტურის მაგალითზე.

მას შემდეგ, რა თქმა უნდა, ეს ახალი მიდგომა კრიტიკის ქვეშ მოექცა და საპასუხო რეაქცია გამოიწვია, 1980-იან წლებში შედარებით პოლიტიკაში ჩამოყალიბდა ახალი სკოლა, რომლის წარმომადგენლებიც ამტკიცებდნენ ინსტიტუტების შესწავლისაკენ მიბრუნებისა და "სახელმწიფოს" კვლევის პრიმატის აღდგენის საჭიროებას. ალმონდისა და მისი კოლეგების მიდგომა პოლიტიკური მეცნიერების საგანს განსაზღვრავდა, "როგორც გარკვეული სახის მოღვაწეობას, ქცევას ან, უფრო ვიწრო გაგებით, ფუნქციას... რომელიც არაა შეზღუდული რაიმე სახის ისტორიულად ცვალებადი სტრუქტურის ან ინსტიტუტის მიერ, რომელთა მეშვეობითაც გამოხატულებას პოულობს პოლიტიკური მოღვაწეობა` (Easton 1968: 283; ასევე იხ. Fabbrini 1988), 1980-იან წლებში ჩამოყალიბებული ახალი მიდგომა კი აქცენტს აკეთებდა კონტექსტზე, რომელშიც `ისტორიულად მრავალფეროვანი სტრუქტურები და ინსტიტუტები` ცენტრალურ როლს თამაშობენ (Thelen and Steinmo 1992). პირველ რიგში, ინსტიტუტები და თავად სახელმწიფო სულ უფრო და უფრო ხშირად განიხილებიან, როგორც პოლიტიკის სრულუფლებიანი "აქტორები", იმ Yთვალსაზრისით, რომ მათ ან პირებს, რომლებიც მათში საქმიანობენ, აქვთ საკუთარი, ავტონომიური ინტერესები, შესაბამისად, წარმოადგენენ "რეალური" პოლიტიკის ნაწილს (მაგ., Skocpol 1985; ასევე იხ. Mitchell 1991). მეორე და, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი იყო იმის წარმოჩენა, რომ ინსტიტუტები განმსაზღვრელ ზეგავლენას ახდენენ ინდივიდუალურ ქცევაზე და ამკვიდრებენ პარამეტრებს, რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება არჩევანი უპირატესობის მინიჭებისა და მისი გამოხტვის გზით (March and Olsen 1984; Shepsle and Weingast 1987). მესამე, ამ ახალ მიდგომაში ინსტიტუტები და, განსაკუთრებით, ინსტიტუციური ფორმები განი-

ხილება როგორც პოლიტიკის შედეგების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები. ამასთანავე აქტორთა უნარი, განახორციელონ საკუთარი მიზნები, ნაწილობრივ მაინც განსაზღვრულია ინსტიტუციური კონტექსტით, რომლის ფარგლებშიც მათ უწევთ მოღვაწეობა. (მაგ., Scharpf 1988; Lijphart 1994a).

ერთი სიტყვით, კომპარატივისტიკის განვითარების კვალდაკვალ, ინსტიტუტების მიმართ მეცნიერული ინტერესის თითქმის ციკლური განვითარების მოწმენი ვხდებით. თუკი ინსტიტუტები და, შესაძლოა, თავად სახელმწიფოც თავდაპირველად განიხილება, როგორც საფუძველი პოლიტიკური სისტემების შედარებისთვის; მოგვიანებით `რეალიზმის პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც პოლიტიკის პროცესუალურ ხასიათს აღიარებს` (Almond, 1990: 192), მათ მიმართ ინტერესი დუნდება. შემდეგ თავს იჩენს პრობლემის ახალი ხედვა, რომელიც ინსტიტუტებს, როგორც ინდივიდუალური ქცევისა და მოქმედების განმსაზღვრელ კონტექსტს, თავად რეალური პოლიტიკის ნაწილად განიხილავს. ამ ციკლური განვითარების პოზიციიდან შეგვიძლია დავინახოთ მთელი სერია პარადიგმული ძვრებისა, რომლებიც შედარებითი ანალიზის არსს შეეხებოდა (Evans et al. 1985). თუმცა რიგი ავტორები ცვლილებებს არც იმდენად კონტრასტულად მიიჩნევენ. სახელმწიფოს იდეის ახალ მიმდევართა და ნეონსტიტუციონალისტების ზოგიერთი ადრეული ნაშრომის საკმაოდ კრიტიკულ მიმოხილვაში აღმონდი ხაზს უსვამდა სხვადასხვა სკოლის მემკვიდრეობითობას და აღნიშნავდა, რომ ახალ მიდგომაში არაფერია ისეთი, რაც აშკარად თუ ფარულად არ იყო მოცემული ადრინდელ მიდგომებშიც, მისი ტერმინოლოგია კი არსებითად `არ განსხვავდება "ზიპკვიორისტული" თუ სტრუქტურულ-ფუნქციონალური განსაზღვრებათაგან` (Almond 1990: 215).

აღმონდი, შესაძლოა, მართალი იყო იმაში, რომ რეალიები, რომელთაც ეფუძნება ახალი ტერმინოლოგია, არც ისე ახალია, როგორც ამას მისი ავტორები ამტკიცებენ, მაგრამ, რაც შეეხება კონცეპტუალურ ენას, იგი მართლაც განსხვავებულია და სწორედ აქაა ძირეული განსხვავება ორ მიდგომას შორის. მოკლედ, საქმე ის კი არაა, უგულებელყოფდნენ თუ არა აღმონდი და მისი კოლეგები სახელმწიფოსა და უფრო ფართო კუთხით, მისი ინსტიტუტებს შესწავლის მნიშვნელობას, ან სკოპოლი და სხვა "ახალი" ინსტიტუციონალისტები ცდილობდნენ თუ არა დარღვეული ბალანსის აღდგენას – ამგვარი კამათი აზრსმოკლებულია \_ აქ უფრო მთავარია შედარებათა მასშტაბები. თუკი აღმონდი და მისი კოლეგები შეგნებულად ავითარებდნენ გლობალური შედარებებისათვის გამოსადეგ კონცეპტუალურ ენას იმ შემთხვევებისთვისაც კი, როცა ანალიზი ერთი

ან რამდენიმე კონკრეტული შემთხვევით შემოიფარგლებოდა, თანამედროვე კომპარატივისტების მიდგომა უფრო გამოსადეგია შედარებით შეზღუდული, ხშირად საკმაოდ ერთფეროვანი რიგის მოვლენათა შესადარებლად, იქნება ეს რეგიონი (დასავლეთი ევროპა, ლათინური ამერიკა და ა.შ.), თუ ქვეყნების მცირე რაოდენობა, როგორც ეს გვხვდება სკოკპოლის (Skocpol 1979), ჰოლის (Hall 1986) ან შარპფის (Scharpf 1988) ნაშრომებში. შედეგი ისაა, რომ, თუკი ალმოდი და მისი კოლეგები აბსტრაქციის საკმაოდ მაღალი დონით ოპერირებდნენ და მათი იდეები გამოსადეგი იყო ნებისმიერი შემთხვევისათვის (იხ. Sartori 1970), კომპარატივისტების ახალი სკოლები აბსტრაქციის საშუალო და უფრო დაბალი დონითაც კი კმაყოფილდებოდა, რომლის ფარგლებშიც კონტექსტის თავისებურებანი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დეტერმინანტად გვევლინება (იხ. ქვემოთ).

ასე რომ, საქმე პარადიგმის ცვლილებაში კი არა, აბსტრაქციის დონეთა განსხვავებაშია, რაც, თავის მხრივ, შედარების საზღვრების დავიწროებითაა განპირობებული. ამ თვალსაზრისით ისევე, როგორც 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების სტრუქტურულ-ფუნქციონალური “რევოლუციის” შემთხვევაში, ცვლილება ასახავდა არა იმდენად თეორიის, რამდენადაც მეთოდოლოგიის განვითარებას. ვინაიდან შედარების მასშტაბები შეიზღუდა და შემოიფარგლა ერთი რეგიონით ან შემთხვევების მცირე რაოდენობით, შესაძლებელი გახდა უფრო ვიწრო, სპეციფიკური კონცეფციების გამოყენება, რომლებიც გამოუსადეგარია გლობალურ, ყოვლისმომცველ შედარებებში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ინსტიტუტები და სახელმწიფო თავისთავად კი არ გახდნენ მნიშვნელოვანი, არამედ, აბსტრაქციის უფრო დაბალი დონე მათი წინ წამოწევისა და საფუძვლიანი ანალიზის შესაძლებლობას იძლეოდა. დაბოლოს, სტრუქტურული ფუნქციონალიზმის კატეგორიებს გამოარჩევს არა ის, რომ ისინი ორიენტირებულია პროცესებზე, საზოგადოებაზე და ა.შ., რაც, თავისთავად, საკამათოა (Almond 1990: 189-218), არამედ ამ კატეგორიების აბსტრაქციის უაღრესად მაღალი დონე, რომელიც საჭირო იყო, რათა ერთი და იმავე პარადიგმის ფარგლებში ახსნილიყო ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სხვადასხვა სამყაროები. თუმცა ამ შემთხვევაში ინსტიტუტების სპეციფიკურობა იკარგება ისეთ აბსტრაქტულ ცნებებში, როგორებიცაა როლი, სტრუქტურა და ფუნქცია. თუკი პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და სახელმწიფოს კვლავ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ეს უმეტესწილად იმით იყო განპირობებული, რომ შედარების საზღვრები

დავიწროვდა.<sup>6</sup> შესაძლოა, სწორედ ესაა შედარებითი პოლიტიკის ისტორიის ბოლო ორი ათწლეულის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი.

შედარების საზღვრების დავიწროება შეიძლება სხვადასხვა პოზიციიდან განვიხილოთ. პირველ რიგში და ყველაზე თვალსაჩინოდ, ეს ცვლილება გლობალური ან თუნდაც რეგიონთაშორისი შედარებითი ანალიზის გაქრობით გამოიხატა. მართალია, შედარებითი პოლიტიკის ზოგიერთი თანამედროვე სახელმძღვანელო (მაგ., Blondel 1990; Hague et al, 1992), ასევე არაერთი ადრინდელი სასწავლო კურსიც<sup>7</sup>, ცდილობს შეინარჩუნოს პირველი, მეორე და მესამე სამყაროს პოლიტიკური სისტემების პრობლემატიკის ყოვლისმომცველი განიხილვა, მაგრამ მიმდინარე თანამედროვე გამოკვლევებს შედარებითი პოლიტიკის სფეროში, მცირე გამოწვევების გარდა, ახასიათებს მეცნიერული ანალიზის ერთი რეგიონით ან ქვეყნების მცირე რაოდენობით<sup>8</sup> შემოფარგვლა, მიუხედავად იმისა, რომ დღეისათვის ძალზე მცირე რაოდენობის დარჩა (თუკი საერთოდ დარჩა) *terrae incognitae*. ეს ორიენტაცია აშკარად უპირისპირდება 1950-იან წლებში შედარებითი პოლიტიკის კომიტეტის მიერ გამოხატულ განზრახვას და იმ ადრეულ ნაშრომებს, რომლებიც, მიუხედავად შემთხვევების მცირე რაოდენობით შემოფარგვლისა, აგრძელებდნენ უნივერსალური კონცეფციების გამოყენებას.

მეორე, რაც მთელ დისციპლინაში შეინიშნება, მკვლევართა მეტწილად თვითკმარ ჯგუფებად – ევროპის, ლათინური ამერიკის, აფრიკის სპეციალისტებად – დაყოფაა, რომელთა შორის კავშირი მცირე და სუსტია. ნაწილობრივ, ეს მზარდი სპეციალიზაციის შედეგია, სხვა მხრივ კი – პროფესიონალიზაციისა. სხვადასხვა სფეროში დაგროვდა სპეციალისტების `კრიტიკული მასა` თავიანთი სამეცნიერო ჟურნალებით. მათი მზარდი შესაძლებლობები საკმაოდ საფუძველს ქმნის ამ ჯგუფების თვითკმარობისათვის. ალმონდმა (Almond 1990 : 13-31) გარკვეულწილად სხვა

---

<sup>6</sup> თუმცა შეიძლება დავუშვათ ისიც, რომ ამ პროცესს მოქმედებათა განმაპირობებელი სხვადასხვა იდეოლოგიური იმპულსები განსაზღვრავდნენ, მაგ., იხ. Almond 1990: 189-218; Mitchell 1991 და Chilcote 1994 : 121-76.

<sup>7</sup> დისკუსიისათვის თემაზე `შედარებითი პოლიტიკის სწავლება XXI საუკუნეში` იხ. PS - Political Science and Politics, 28 (1995): 78-89.

<sup>8</sup> ერთი, შედარებით ახალი, გამონაკლისი ბლონდელის მიერ (Blondel 1985) სამთავრობო მინისტრების თემაზე ჩატარებული გამოკვლევა გახლავთ. ყდაზე მოთავსებული ანოტაცია საკმაოდ ზუსტად ახასიათებს მას, როგორც თეორიულ ნაშრომს, რომელიც არაა შემოფარგლული ცალკე ადგილი ქვეყნის შემთხვევის განხილვით. შემთხვევების რაოდენობრივი შეზღუდვის ტენდენციის საპირისპირო არგუმენტის როლი შეიძლება შეასრულოს სხვადასხვა რეგიონში მიმდინარე დემოკრატიზაციის პროცესებისადმი მზარდმა ინტერესმა (იხ. ასევე ქვემოთ).

კონტექსტში მიუთითა, პოლიტიკის მეცნიერებაში “ცალკე მდგომი მაგიდების” განვითარებაზე, რომლის მიხედვითაც მეცნიერთა ჯგუფები იყოფიან როგორ იდეოლოგიის (მემარცხენე / მემარჯვენე) და მეთოდის (რბილი / ხისტი) მიხედვით. შესაძლოა, უფრო რეალური იყოს ცალკე მდგომი მაგიდების წარმოსახვა, რომელთა ირგვლივ სხედან სპეციალისტები რეგიონების მიხედვით თავიანთი ევროპული, აზიური, აფრიკული თუ ლათინურ ამერიკული `სამზარეულოებით`. მიმდინარებს მათი შემდგომი დაყოფა სამეცნიერო სპეციალიზაციის მიხედვით, სადაც პარტიათა სპეციალისტები განცალკევებულები არიან საჯარო პოლიტიკის სპეციალისტებისაგან, ან ადგილობრივი თვითმმართველობის სპეციალისტები ელექტორული კვლევების სპეციალისტებისაგან. დისციპლინის განვითარებამ განაპირობა არა მხოლოდ რეგიონთა სპეციალისტების ერთმანეთისგან განცალკევება, არამედ რეგიონების ფარგლებში კვლევის დამოუკიდებელი სფეროების ჩამოყალიბების ტენდენცია. ამ სფეროების შიგნით იქმნება ვიწრო კავშირები და საკუთარი სამეცნიერო გამოცემები – თუ შედარებას გავაგრძელებთ, ყალიბდება საკუთარი მენიუ. ყოველივე ეს ადასტურებს ვერბას მიერ ჯერ კიდევ 1985 წელს აღნიშნულ ფრაგმენტაციის ტენდენციის გაგრძელებას (იხ. ზემოთ, ასევე იხ. Keman 1993a; პროცესის უფრო პოზიტიური ხედვისთვის იხ. Macridis and Brown 1986; Dalton 1991).

მესამე და, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი ისაა, რომ შედარებით პოლიტიკაში და ზოგადად შედარებით სოციალურ მეცნიერებებში მიმდინარე მეთოდოლოგიურ დისკუსიაში სულ უფრო დაბეჯითებით იკვეთება მცირე რაოდენობის შემთხვევათა (“small N”) ურთიერთშედარების უპირატესობები. ამ მხრივ, ინტერესმოკლებული არ იქნება, ერთმანეთს შევადაროთ, ერთი მხრივ, შედარებითი მეთოდის მიმოხილვა, შესრულებული ლიპპარტის მიერ 1971 წელს (რომელშიც დიდი ყურადღება ეთმობა იმ პრობლემათა დამლევა-გადალახვის გზებს, რომლებიც წარმოიშობა მცირე რაოდენობის შემთხვევათა შედარებისას), მეორე მხრივ კი, დ. კოლერის მოგვიანო ხანის ნარკვევი (Collier 1991), რომელშიც აქცენტი სწორედ ასეთ შედარებათა უპირატესობაზეა გაკეთებული.

ერთი თვალსაზრისით, შედარებითი მეთოდის მიმართ გამოხატული ეს ახალი განწყობა თითქოს თავსდება შედარებითი მეთოდის გამოყენებით პოლიტიკურ მეცნიერებაში, ისტორიაში, სოციოლოგიასა თუ დისციპლინათმორისი სინთეზის სფეროში ბოლო წლებში შესრულებულ ნაშრომებში (Ragin 1987; 1991), რომლებშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება “ჰოლისტურ” ანალიზსა და კერძო შემთხვევების სიღრმისეულ შესწავლას. სხვა თვალსაზრისით, მიუხედავად უნივერსალური კა-

ტეგორიებისა და გლობალური შედარებებისაგან გათავისუფლებისაკენ საყოველთაო სწრაფვისა, თანამედროვე შედარებითი პოლიტიკის სფეროში შესრულებული ნამუშევრების უმეტესობაში ალბათ მაინც შეიძლება დავინახოთ ორი სხვადასხვა სკოლა თუ მიდგომა (იხ. ასევე Collier 1991: 24-6). მკვლევართა ნაწილი დაჟინებით აგრძელებს განმაზოგადოებელი დასკვნებისა და მოდელების გამომუშავებას, თუმცა მეორე მსოფლიო ომის შემდგომი კომპარატივისტების პირველი თაობის გლობალისტური მისწრაფებებისგან განსხვავებით მათი მეთოდი, ჩვეულებრივ, რეგიონის ან სტატუსის ფარგლებითაა შემოზღუდული. ხოლო მკვლევართა მეორე ნაწილი უფრო მრავალი ქვეყნის ურთიერთშედარებას და უპირატესობას ანიჭებს ქვეყანათა მცირე რაოდენობის ჩაღრმავებულ ანალიზს, რომელიც ნათელს გახდის ზოგადი სურათის წვდომის უპირატესობას მისი გამოყენების ნაკლოვანებებთან შედარებით.<sup>9</sup> მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებებისა, ამ მიდგომათაგან თითოეულს შეუძლია განვითარების საუკეთესო ვარიანტების შემოთავაზება მომავლისათვის. როგორც კოლიერი (Collier 1991) აღნიშნავს, რაოდენობრივ გამოკვლევათა ტექნიკის სფეროში ბოლოდროინდელი მიღწევები უკვე იძლევა შედარებით მცირე რაოდენობის შემთხვევების ფარგლებში სტატისტიკური ანალიზის შესაძლებლობას, რაც ამგვარი კვლევის საშუალებით მიღებულ დასკვნებს მეტ დამაჯერებლობას მიანიჭებს.<sup>10</sup> თავის მხრივ, შემთხვევათა ღრმა თვისობრივ ანალიზს, მიუხედავად ამკარა შეზღუდულობისა, ის უპირატესობა აქვს, რომ უფრო საფუძვლიანია და უფრო გახსნილია `ინტუიციისათვის`, რაც მიღებულია `ახალი ინსტიტუციონალიზმისა` და რაციონალური არჩევანის პარადიგმათა ფარგლებში.<sup>11</sup> რალა თქმა უნდა, ბოლო დროის განახლებულ ინტერესს კონკრეტული შემთხვევების კვლევისადმი (case-study) და ამასთანავე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების სრული კონტექსტის შესწავლის აქცენტირებას ხელი შეუწყო ახალი ხედვების პოტენციალმა (იხ. V ნაწილი).

---

<sup>9</sup> მაგ., იხ. როდისის (Rhodes 1994) მსჯელობა დიდ ბრიტანეთში სახელმწიფოებრივი მშენებლობის შესახებ, რომელშიც ავტორი მხურვალედ იცავს შემთხვევათა შესწავლის (case-study) მეთოდს, როგორც განმაზოგადოებელი დასკვნის გამომუშავების საშუალებას.

<sup>10</sup> ამის მაგალითად გამოდგება შარპფის (Scharpf 1988) ანალიტიკური ნაშრომი მთავრობის მიერ საჯარო პოლიტიკის განხორციელების შესაძლებლობათა შესახებ.

<sup>11</sup> მაგ., იხ. ცებელისის (Tsebelis 1989: 119-234) მიერ ჯგუფური თამაშების მიდგომის გამოყენება ბრიტანული ლეიბორისტული პარტიის აქტივისტების, ბელგიური კონსოციონალიზმის, ფრანგული ელექტორალური კოალიციების კვლევისას.

### 3. საკითხები

შედარებითი პოლიტიკური კვლევების ძირითადი მიმართულებები პრაქტიკულად უცვლელი რჩება თაობათა და შესაძლოა საუკუნეთა მანძილზე. რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან პოლიტიკური რეჟიმები? რით არის განპირობებული მათი სტაბილურობა თუ ცვლილება? მმართველობის როგორი ფორმაა `საუკეთესო`? ყურადღება ამ `დიდი` საკითხების მიმართ პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა თაობაში სუსტდებოდა და ძლიერდებოდა, თანამედროვე პერიოდში კი მათ მიმართ ინტერესის გამოღვიძება დემოკრატიზაციის ახალ ტალღასთანაა დაკავშირებული (მაგ., იხ. Diamond and Plattner 1993), რაც თვალნათლივ აისახა დემოკრატიაზე გადასვლის, კონსტიტუციური მშენებლობისა და მათი ინსტიტუციური გაფორმების შესახებ გამოქვეყნებულ ახალ შთაბეჭქდავ ნაშრომებში.<sup>12</sup> განახლებულ ინტერესს დემოკრატიზაციის პროცესებისადმი, საერთო მოდელებისა და პროგნოზების ძიებას შეუძლია ხელი შეუწყოს შედარებითი პოლიტიკის გლობალური მიზანმიმართულების აღდგენას, ვინაიდან განვითარებადი ქვეყნების მკვლევრები სწორედ ამ კონტექსტში პოულობენ საერთო ენას მათთან, ვისი კვლევის ობიექტი განვითარებული დასავლეთით შემოიფარგლებოდა. `მეორე სამყაროს` მკვლევართა გამოცდილებაც მხოლოდ ამ კონტექსტში დგება კომპარატივისტიკის ძირითადი დინების კალაპოტში.

მაგრამ ეს შედარებითი პოლიტიკის კლასიკური თემატიკაა, რომელიც ძნელად ექვემდებარება ცვლილებებს. როგორც კი მის ფარგლებს გავცდებით, ცხადი ხდება, რომ მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა ამ სუბდისციპლინის სხვა კვლევით ინტერესებშიც. მაგალითად, შედარებითი პოლიტიკის თანამედროვე მდგომარეობის მიმოხილვაში, როგოვსკი (Rogowski 1993:431) გამოჰყავს ხუთ ტენდენციას, რომლებმაც თავი იჩინეს 1980-იანი წლების დასაწყისიდან: `პოლიტიკის ეკონომიკური ასპექტების მიმართ გაცილებით დიდი ყურადღება... პოლიტიკური ინსტიტუტებისა და საშინაო პოლიტიკის საერთაშორისო კონტექსტისადმი მზარ-

---

<sup>12</sup> ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ უახლეს მაგალითად შეიძლება დავსახელოთ ლინცის, ლიპპარტის, სარტორის, სტეპანის და სკეჩის მიერ ძალიან გონივრულად გაანალიზებული დისკუსია საპრეზიდენტო და საპარლამენტო სისტემების განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა შესახებ, გადმოცემული ლინცისა და ვალენსუელას ნაშრომში (Linz, Valenzuela 1994: 3-136). შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამ ნაშრომში შედარებითი პოლიტიკის პრაქტიკული მნიშვნელობა საუკეთესოადაა წარმოჩენილი. ეს იდეალური კონტრარგუმენტია იმ მოსაზრების წინააღმდეგ, რომ დისციპლინამ ამოწურა თავისი პოტენციალი და `ჩაწოლილი საქონელია`.

დი ინტერესი... მკვეთრი აქცენტი ინტერესთა ჯგუფების კვლევაზე... სახელმწიფოს სტრუქტურებისა და მათი მოქმედების მიმართ ინტერესის აღორძინება... ნაციონალიზმისა და ეთნიკური კონფლიქტების შესწავლის გაღრმავება. ეს ჩამონათვალი, რა თქმა უნდა, მრავალთავან ერთერთია. ორიოდ წლის შემდეგ, შესაძლოა, ვინმემ გვერდზე გადადოს ინტერესთა ჯგუფების კვლევა და უპირატესობა, ვთქვათ, დემოკრატიაზე გადასვლისა და თავად დემოკრატიის ფუნქციონირების პროცესში მატერიალისტურად ორიენტირებული ინტერესის ადგილისა და როლის კვლევას მიანიჭოს. როგორც არ უნდა იყოს დამოკიდებულება ამ ან სხვა ნებისმიერი მსგავსი ჩამონათვალის მიმართ, ყურადღებას იქცევს პოლიტიკის პროცესებისა და ინსტიტუტების შედეგების აქცენტირება: შეიძლება ითქვას, რომ აქ ყურადღების ცენტრშია რეალური პოლიტიკა, როგორც დამოუკიდებელი და არა დამოკიდებული ცვლადი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ ყურადღება მახვილდება პოლიტიკის საზოგადოებაზე ზეგავლენაზე და არა თავად პოლიტიკური პროცესის განმსაზღვრელ ფაქტორებზე (მაგ., იხ. Weaver and Rockman 1993). და აი, სწორედ აქ, იჩენს თავს მზარდი ინტერესი პოლიტიკური ეკონომიკისადმი ისევე, როგორც სახელმწიფო სტრუქტურებისა და ინსტიტუტებისადმი, ოღონდ ეს უკანასკნელი სავსებით თავსდება ტრადიციული დისკურსის (მაგ., Lijphart 1994a) ან "ახალი" ინსტიტუციონალიზმის ხედვის ფარგლებში (მაგ., Hall 1986; Evans et al. 1985).

აქვე შესაძლებელია კომპარატივისტების ახალ და 1950-1960-იანი წლების დასაწყისის პერიოდის თაობათა შორის განსხვავების წარმოჩენა. ნაწილობრივ მაინც, ეს სხვაობა განპირობებული იყო უარის თქმით ძველი თაობისათვის დამახასიათებელ უნივერსალიზმსა და გლობალურ შედარებებზე, რამაც შექმნა სივრცე უფრო რელევანტური თემატიკისათვის. პროცესი შეიძლება ორ ეტაპად დაიყოს. პირველ რიგში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შედარების საზღვრების შეზღუდვამ შესაძლებელი გახადა ინსტიტუციური თავისებურებებისთვის უფრო მეტი ყურადღების დათმობა, რამაც, თავის მხრივ, საშუალება მისცა მეცნიერებს, პოლიტიკის მნიშვნელობის საკითხი გამოეკვეთათ. მეორე მხრივ, შედარების საზღვრების შეკვეცამ პოლიტიკური ფაქტორების ზეგავლენის საკითხი წამოსწია. ეს უფრო მიზანშეწონილია, ვიდრე სამყაროს ყოვლისმომცველი შედარებები, რადგან შესაძლებელი გახდა საკვლევი ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისა თუ პოლიტიკური კულტურის დონეებს შორის განსხვავებებზე ყურადღების გამახვილება, რაც არცთუ იშვიათად უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე საკუთრივ პოლიტიკური სხვაობა (მაგ., იხ. Castles 1982). რამდენადაც შედარება შემოიფარგლება

მსგავსი შემთხვევების შესწავლით, მაგალითად, განვითარებული ინდუსტრიული დემოკრატიებით, რომლებშიც ეკონომიკური განვითარების დონეები, პოლიტიკური კულტურის ტიპები, სოციალური სტრუქტურები თითქმის მსგავსია, მკვლევარს ყურადღება ღამის გარდუვალად გადააქვს ცვალებად პოლიტიკურ სტრუქტურებსა და პროცესებზე.<sup>13</sup> და რადგანაც პოლიტიკის შესაძლო “დეტერმინანტები” – ეკონომიკის, (თანამედროვე) კულტურის თუ საზოგადოების დონეზე – მსგავსი შემთხვევების შედარების ფარგლებში მცირედ განსხვავდება ერთმანეთისაგან, ზემოაღნიშნული ცვალებადი პოლიტიკური სტრუქტურები და პროცესები სულ უფრო მეტად იძენენ ასახსნელის და არა ამხსნელის სტატუსს. შესაბამისად, ყურადღება ექცევა პოლიტიკის შედეგების კვლევას. მიზეზების მიუხედავად აშკარაა, რომ თანამედროვე შედარებით პოლიტიკურ კვლევებში ადრინდელთზე ხშირად ისმის კითხვა რა შედეგებამდე მივყავართ პოლიტიკას, ვიდრე კითხვა იმის შესახებ, თუ რა ფაქტორები ახდენენ გავლენას ამაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე კომპარატივისტები, განიხილავენ რა ინსტიტუციური სტრუქტურებისა და პროცესების მრავალფეროვნებას, ცდილობენ ჩაწვდნენ ასეთი მრავალფეროვნების ზეგავლენას. ადრე, განსაკუთრებით 1950-იანი წლების ბოლოს და 1960-იანი წლების დასაწყისში, უფრო მეტად აინტერესებდათ ამ მრავალფეროვნების წარმოშობის მიზეზები. აქ ნათლად მქლავნდება განსხვავება შედარებითი კვლევების მიმართულებებს შორის.

ეს ძვრა აისახა როგორც მრავალ ახალ მიმართულებაში, რომლებზეც როგოვსკიმ მიუთითა (Rogowski 1993), ასევე თანამედროვე კომპარატივისტული ლიტერატურის თითქმის ნებისმიერ ნაშრომში (მაგ. იხ. Keman 1993b). ამის დანახვა შესაძლებელია და, ალბათ, უფრო საინტერესოა, ცალკეულ მკვლევართა და სამეცნიერო სკოლათა მაგალითზე. შეიძლება მაგალითის სახით დავასახელოთ დარგის აღიარებული ავტორიტეტის არენდ ლიპპარტის ნაშრომები. მის ნაშრომებში აშკარად შეინიშნება დროთა განმავლობაში ყურადღების გადანაცვლება დემოკრატიის გარკვეულ ტიპთა აღმოცენების პირობების შესწავლიდან დემოკრატიის ამ ტიპების ფუნქციონირების შედეგთა შესწავლისაკენ. შედარებით პოლიტიკაში ლიპპარტის პირველი ფუნდამენტური ნაშრომი დემოკრატიული

---

<sup>13</sup> ისევე, როგორც სულ უფრო ხშირად ისტორიული ტრადიციების შესწავლაზე, რომელშიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს მოცემული ქვეყნის პოლიტიკური კულტურის სპეციფიკა (მაგ., იხ. Castles 1989; 1993; Katzenstein 1984 : 136-90; Putnam 1993). მაგრამ ამ შემთხვევაში არსებობს საფრთხე, რომ ყურადღების გამახვილებამ ისტორიულ ტრადიციებზე, შესაძლოა, მოცემული შემთხვევის განსაკუთრებულობის აღიარებამდე და ფატალისტურ ახსნამდეც კი მივიყვანოს.

რეჟიმების ტიპოლოგიას მიეძღვნა. დემოკრატიის სხვადასხვა ტიპი (განსაკუთრებით აღსანიშნია კონსოციატიური დემოკრატია) განსაზღვრული იყო ორი საკვანძო მნიშვნელობის ცვლადის საფუძველზე: ერთი მხრივ, ელიტათა შორის კონფლიქტის ან ურთიერთთანამშრომლობის ხარისხისა და, მეორე მხრივ, პოლიტიკური კულტურის ჰომოგენურობისა თუ ფრაგმენტაციის დონის (რომელიც სოციალური დაყოფისა და სოციალური პლურალიზმის კონცეპციის ჩარჩოებში თავსდება) მიხედვით (Lijphart 1968). ამ კონტექსტში ძალზე საინტერესოა ლიპჰარტის მიდგომის ცვლილება: კვლევის გაღრმავებისა და მის საფუძველზე ძირითადი იდეების მოდიფიცირების კვალობაზე, თანასწორობის სპეციფიკურად სოციალურმა მხარემ თანდათან დაკარგა მნიშვნელობა, 1984 წელს გამოცემულ ნაშრომში კი, რომელიც დემოკრატიის ორ ზოგად მოდელს შეეხებოდა (Lijphart 1984), პოლიტიკურ სტრუქტურათა სოციალური დეტერმინანტების საკითხი საერთოდ ყურადღების მიღმა დარჩა (Lijphart 1984, იხ. ასევე Bogaards 1994). ათი წლის შემდეგ შედარებითი კვლევის სფეროში განხორციელებულ მის ბოლო ნაშრომში მეცნიერული ინტერესის ცვლილება უფრო შესამჩნევი გახდა: ავტორის კვლევის საგანს ამჯერად დემოკრატიის სხვადასხვა ტიპის ფუნქციონირება წარმოადგენდა, დეტერმინანტების საკითხი კი თითქმის აღარ განიხილებოდა (Lijphart 1994a).

მსგავსი ძვრები შეინიშნება სხვა მეცნიერული სკოლების ფარგლებშიც. დემოკრატიზაციის პროცესებისადმი მიძღვნილი ლიტერატურა ყველაზე ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ გადაინაცვლა ახსნიტმა პრინციპმა დემოკრატიის “ობიექტური” სოციალური და ეკონომიკური პირობებიდან (მაგ. Lipset 1959) ელიტათა მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის, ვოლუნტარიზმისა და პოლიტიკური პროცესების მონაწილე ინსტიტუტებისა და პოლიტიკური სტრუქტურების კვლევისაკენ. ხდება თუ არა დემოკრატიის აღმოცენება? იქნება თუ არა იგი მდგრადი? – ამ კითხვებზე პასუხს სულ უფრო ნაკლებად უკავშირებენ სოციალური და ეკონომიკური განვითარების დონეს და თვლიან, რომ გადამწყვეტ როლს ასრულებს პოლიტიკური არჩევანი (Rustow 1970), პოლიტიკოსთა “ოსტატობა” (Di Palma 1990), ასევე რაციონალური მოქმედებისა და ინფორმაციის ზემოქმედების შედეგები (მაგ., Pjeworski 1990). როგორც კარლი (Karl 1991 : 163) აღნიშნავს, `ხერხები, რომლითაც თეორეტიკოსები განვითარებად ქვეყნებში დემოკრატიის ახსნას ცდილობდნენ, შეიცვალა, როგორც კი დემოკრატიის წინაპირობათა ფაქტორებზე ორიენტირებულმა ძიებამ გზა დაუთმო პროცესებზე ორიენტირებულ ჯგუფური არჩევანის კვლევებს” (იხ. Karl 1991; იხ. ქვემოთ Whitehead, თავი 14). იმავე თვალსაზრისით, ახალი დემოკრატიების კონსოლიდაციისა და სიცოცხლისუ-

ნარიანობის საკითხი ახლა უფრო საკვლევ ინსტიტუტთა თავისებურებების ჭრილში განიხილება (მაგ., Linz and Valenzuela 1994). შედარებითი პოლიტიკური მეცნიერების ამ სფეროშიც ისევე, როგორც სხვა სფეროებში, მკვლევართა ყურადღება კონცენტრირებულია იმაზე, `თუ რას აკეთებს პოლიტიკა` და არა იმაზე, `თუ რა ქმნის პოლიტიკას ისეთად, როგორც ის არის`. ეს, თავის მხრივ, მიგვანიშნებს, რომ ამ ცვლილებებისკენ მოწოდებიდან ოცზე მეტი წლის შემდეგ (Sartori 1969), ბოლოს და ბოლოს შედარებითი კვლევები იხრებიან პოლიტიკური სოციოლოგიის მიმართულებით და არა უბრალოდ პოლიტიკის სოციოლოგიისაკენ.

#### 4. პრობლემები

შედარებითი პოლიტიკის სფეროში მუშაობა ხშირად მომქანცველია და თითქოს უშედეგო. მკვლევარი დიდ დროსა და შრომას ანდომებს სხვადასხვა ქვეყნის შესახებ ისეთი მონაცემების შეკრებას, რომელთა შედარებაც შესაძლებელია მოცემული კვლევის ფარგლებში. ის ცდილობს, რომ კვლევასთან დაკავშირებული არც ერთი ფაქტორი არ დარჩეს ანალიზს მიღმა. შემდეგ მეცნიერი ქმნის ზოგად, მაგრამ შეძლებისდაგვარად კომპაქტურ მოდელს, რომელსაც შეეძლება გაუგებარი მოვლენების ახსნა, სადაც და როდესაც არ უნდა ხდებოდეს იგი. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება უკვე ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის წარდგენა რაიმე კონფერენციაზე, სადაც რომელიმე ქვეყნის ექსპერტი ეჭვს გამოთქვამს იმის თაობაზე, რომ სინამდვილეში ყველაფერი ისე არაა, როგორც მოცემულ მოხსენებაშია წარმოდგენილი და რომელიც კამათს გააგრძელებს იმით, რომ მკვლევარს შესთავაზებს უფრო დეტალურ, მაგრამ არსებითად იდიოგრაფიულ საპირისპირო თვალსაზრისს (რასაც ჰანს დაალდერმა `ზანზიბარული ხრიკი` უწოდა). მეორე მხრივ, შედარებითი კვლევები საშუალებას იძლევა, წარმატებით ავარიდოთ თავი პასუხისმგებლობას, რადგან `ზანზიბარული ხრიკის` გვერდს ავუვლით, თუ ზოგად თეორიას წავუმძღვარებთ შენიშვნას იმის თაობაზე, რომ იგი შეიძლება არ იყოს აუცილებლად სწორი რომელიმე ქვეყნისთვის, მაგრამ ზოგადად სწორია. ორივე შემთხვევაში მკვლევართა წინაშე არსებითად ერთი და იგივე რეალური სიძნელე წამოიჭრება: თუმცა ქვეყანა ანალიზისა და მიმოხილვის ერთეულს წარმოადგენს, მკვლევარმა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იმუშაოს უფრო ზოგად დონეზე. მიუხედავად იმისა, შესაძარბელი შემთხვევების რაოდენობა შეზღუდულია თუ გაზრდილი, მან უნდა მოახერხოს ეროვნული გამოცდილების გადათარგმნა ოპერაციულ კატეგორიათა ენაზე. თუ არ შევუდ-

გებით შედარების მეთოდთა დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვას, აღმოჩნდება, რომ მკვლევრები არსებითად ორი ძირითადი პრობლემის წინაშე დგანან.

პირველ პრობლემაზე თავის დროზე მიუთითა როგოვსკიმ (Rogowski 1993), დისციპლინის ირგვლივ გამართულ დისკუსიებში ხშირად დგება საკითხი იმის შესახებ, კვლავ რჩება თუ არა სახელმწიფო კვლევა-ძიების მნიშვნელოვან ერთეულად. ამ პრობლემის ერთ-ერთი ასპექტია ნაციონალურ სახელმწიფოთა პოლიტიკის სპეციფიკის განსაზღვრის სირთულე საერთაშორისო გარემოს მზარდი ინტერნაციონალიზაციის პირობებში. მაგალითად, შედარებითი კვლევა სულ უფრო მეტად კონცენტრირდება პოლიტიკური პროცესის შედეგებზე, შესაბამისად, მას მოუწევს შემობრუნება იმ დეტერმინანტებისა და ფაქტორების მიმართულებითაც, რომლებიც ნებისმიერი ეროვნული სახელმწიფოს კონტროლს მიღმაა. რა თქმა უნდა, შესაძლებელია ერთმანეთის მსგავსი შემთხვევების კვლევის სტრატეგიის შემუშავება, რომლის ფარგლებშიაც საერთაშორისო გარემო განხილული იქნება, როგორც საერთო მოცემულობა ყველა განსახილველი შემთხვევისათვის. მაშინ შესაძლებელი იქნება, არ აიხსნას კვლევის პროცესში აღმოჩენილი განსხვავებანი ქვეყნებს შორის (მაგ., იხ. Scharpf 1988). ამავე დროს, ამგვარი სტრატეგია ერთსა და იმავე დროს შეზღუდულიცაა და შემზღუდავიც (Mair 1995). ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი დავეთანხმებით თვალსაზრისს, რომ ეროვნულმა სახელმწიფომ და ეროვნულმა ინსტიტუტებმა დაკარგეს უნარი, თავად ჩამოაყალიბონ საკუთარი ეროვნული გარემო, მაშინ შედარებითი პოლიტიკური მეცნიერება რამდენიმე პოტენციური პრობლემების წინაშე აღმოჩნდება.<sup>14</sup> ამ პრობლემის მეორე ასპექტი ეხება იმას, რომ ეჭვქვეშ დგება ქვეყნის, როგორც კვლევის ერთეულის, აბსოლუტური მნიშვნელობა შესაბამისი საერთაშორისო კონტექსტისგან დამოუკიდებლად. სიძნელეს ერთი უბრალო ფაქტი წარმოშობს, კერძოდ ის, რომ თავად ქვეყნები დროთა განმავლობაში იცვლებიან და, შესაბამისად, სახელმწიფოთა შორის განსხვავებათა ვარიანტების გარდა, მეცნიერებს ასევე სჭირდებათ დროითი ცვლილების გააზრება, როცა ქვეყანა “A” X დროში, შესაძლოა, შესამჩნევად განსხვავდებოდეს ქვეყანა “A”-გან Y დროში ისევე, როგორც ქვეყანა “B”-გან ერთსა და იმავე X დროში (Bartolini 1993). ეს სიძნელე განსაკუთრებით თვალსაჩი-

---

<sup>14</sup> და არა მარტო შედარებითი პოლიტიკა: გავიხსენოთ სიუზან სტრეინჯის (Strange 1995: 55) პროვოკაციული მსჯელობა იმის შესახებ, რომ სახელმწიფოს, როგორც კვლევის ყველაზე მნიშვნელოვანი ერთეულის, გაქრობასთან ერთად, 'დასავლური სოციალური მეცნიერება მეტწილად კვდომის გზას დაადგა ან მან უკვე ამოწურა თავისი თავი'.

ნოა მაშინ, როცა კვლევის საგანია ინსტიტუციური სტრუქტურები, რადგან სწორედ ამ დონეზე შეიძლება მოხდეს და ხდება კიდევ მნიშვნელოვანი ცვლილებები. სხვაგვარად, თუკი პოლიტიკური ინსტიტუტები ესოდენ მნიშვნელოვანია, მაშინ როგორ შეიძლება ერთმანეთს შევადართო ქვეყნები, სადაც ისინი ცვლილების პროცესში არიან? ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთი შესაძლებელი ვარიანტი, რომელიც სულ უფრო ხშირად გვხვდება, იმაში მდგომარეობს, რომ უარყოფილია ქვეყანა, როგორც ანალიზის ერთეული და გამოიყოფა ცვლადების კონკრეტული ქვეკლასები. ეს თვალსაზრისი მოცემულია ბართოლინისა და მეირის (Bartolini and Mair 1990), განსაკუთრებით ლიჰჰარტის (Lijphart 1994b) ბოლო დროის ნაშრომებში, რომლებშიც ქვეყნის, როგორც ერთიანი და განუყოფელი ერთეულის, გაანალიზების მაგიერ, ყოველი საკვლევი ქვეყნის მრავალმხრივი შესწავლის უპირატესობაა დასაბუთებული. ლიჰჰარტის ბოლო გამოკვლევა საარჩევნო სისტემებისა და მათი ფუნქციონირების პოლიტიკურ შედეგებს შეეხება. მასში შედარებულია სწორედ საარჩევნო სისტემები და არა ქვეყნები, როგორც ასეთი. მაგალითად, საფრანგეთი, რომელიც ერთერთია ლიჰჰარტის ნაშრომში განხილული ოცდაშვიდი დემოკრატიული ქვეყნიდან, როგორც სახელმწიფო, არ წარმოადგენს ანალიზის ერთეულს. აქ გამოკვლეულია ექვსი საარჩევნო ფორმულა, რომლებიც ამ ქვეყანაში 1945 წლიდან დღემდე იყო მიღებული და რომლებიც აღნიშნული გამოკვლევის სამოცდაათი შემთხვევიდან ექვს შემთხვევას წარმოადგენდნენ (Lijphart 1994b). სამართლიანობისათვის უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიდგომა სრულიადაც არაა ახალი. მსგავსი ხედვა შემოღებული იყო ჯერ კიდევ პოლიტიკური კოალიციების შედარებით კვლევებში. მიუხედავად ამისა, ეს უფრო მისაღები სტრატეგიაა, რომელიც ანალიზის ალტერნატიული ერთეულებით ექსპერიმენტირებისა და, შესაბამისად, დროში ცვალებადობის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა (Bartolini 1993).

მეორე პრობლემა, შესაძლოა, უფრო მწვავეა და კონკრეტულ შემთხვევათა შესწავლის შედეგად მიღებული დასკვნების რეალიების ოპერაციულ კატეგორიათა ენაზე თარგმნის სხვადასხვა ხერხისა და ინდიკატორების სანდოობას შეეხება. ეს პრობლემა უფრო მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც მკვლევარებმა თავიანთ გამოკვლევებში პოლიტიკური ინსტიტუტებისა და პოლიტიკური სტრუქტურების ცვალებადობის განზომილებათა შეტანა სცადეს. სოციალური და ეკონომიკური ხასიათის დასკვნების ოპერაციონალიზაცია შედარებით იოლია. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკის სოციოლოგიაში `ობიექტურობა` ადვილი მისაღწევია (Sartori 1969) მონაცემთა ისეთი სანდო წყაროების წყალობით, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორ-

განიზაცია, ევროკავშირი თუ გამოკითხვათა შედეგებიც კი. როგორც კი დაიწყო ინსტიტუტების შესწავლა და ერთმანეთთან შედარება, გაჩნდა ეჭვი მონაცემთა სანდოობის მიმართ, რადგან მყარი მონაცემები (მონაცემები, რომლებიც ნებისმიერ კონტექსტში უცვლელია) ხშირად ხელმიუწვდომელია მკვლევართათვის. შედეგად ვიღებთ კვლევისთვის საჭირო `ინდიკატორების` ძიების გაუთავებელ პროცესს და, უკიდურეს შემთხვევაში, მათ აშკარა ფეტიშიზაციასაც კი. ამგვარი ხედვის ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს დისკუსია ლანჟს, გარეტს, ჯეკმანს, ჰიკსსა და პატერსონს შორის „პოლიტიკის ჟურნალის“ (Journal of Politics) ფურცლებზე 1980-იანი წლების ბოლოს. კამათი შეეხებოდა თანაფარდობას მემარცხენეთა სიძლიერესა (იზომებოდა პარტიული და ორგანიზაციული ცვლადების საშუალებით) და ეკონომიკურ ზრდას შორის. შემდგომში შედარებითი მეთოდის თანამედროვე განვითარების მიმოხილვაში (Collier 1991: 22) ეს კამათი შეფასდა, როგორც `ზოგიერთი მკვლევრის მეთოდოლოგიური მცდელობა, გადაეჭრათ მნიშვნელოვანი პრობლემა მცირერიცხოვან ობიექტთა (small N) შედარებითი ანალიზის ფარგლებში`. ამ კამათმა მართლაც წვლილი შეიტანა შედარებითი პოლიტიკური კვლევების განვითარებაში, იგი მეთოდოლოგიური და სტატისტიკური დახვეწილობით ხასიათდებოდა, რამაც გაამძაფრა დაპირისპირება სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომის მომხრე და მოწინააღმდეგე მკვლევართა შორის. თვალსაჩინო გახდა, თუ როგორ იქცა ეკონომიკური ზრდის მიმართების პრობლემა მემარცხენე პოლიტიკური ფრთის სიძლიერესთან სტატისტიკური გამოკვლევის ტექნიკისა და შემთხვევის შერჩევის საკითხად; ამასთანავე ყურადღების მიღმა დარჩა მემარცხენეთა სიძლიერის ზუსტი გაზომვისა და ოპერაციონალიზაციის უფრო ფუნდამენტური პრობლემა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სანამ მეთოდოლოგიის შესახებ მსჯელობდნენ, თავად ინდიკატორები თავისთავად ყურადღების ღირსად მიიჩნეოდა. თუ დავუბრუნდებით ზემოთ აღნიშნულ კამათს და შევეცდებით გავარკვიოთ, როგორ განისაზღვრებოდა და დგინდებოდა ეს ძირეული ინდიკატორები, აღმოჩნდება, რომ სათავე უნდა ვეძებოთ 1980-იანი წლების დასაწყისის ერთ-ერთ სტატიაში, რომელშიც `მემარცხენე` შემდეგნაირად განისაზღვრებოდა: `კომუნისტური, სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული და შრომის (ლეიბორისტული), ასევე მრავალი წვრილი პარტიის (ისინი დაუნსის იდეოლოგიურ სპექტრში ცენტრიდან მარცხნივ არიან განლაგებული) ერთობლიობა, სადაც მემარცხენე ძალთა სიძლიერე გამოიხატება მთავრობაზე მათი ზეგავლენით“. ამას ავლენს როგორც „მინისტრთა კაბინეტში პორტფელების რაოდენობა“, ასევე `მმართველი მემარცხენე პარტიების სიძლიერე პარლამენტში` (Cameron

1984: 159). პროფკავშირების წევრობისა და მშრომელთა კავშირებში გაერთიანების ხარისხის გამოთვლა კი ემყარება მონაცემებს, რომლებიც ... `ევროპის წელიწდეულის“ (Europa Yearbook) ანგარიშებში შევიდა (Cameron 1984: 165).

ვერ ვიტყვით, რომ ეს ინდიკატორები არ არის ღირებული. უფრო მეტიც, შეიძლება ისინი ისევე ფასეულია, როგორც ქემერონის კვლევის პერიოდში. უნდა აღინიშნოს, რომ ლაპარაკია მხოლოდ ინდიკატორებზე და არა რეალურ ობიექტებზე. ბუნებრივია, ესოდენ პატივსაცემი ჟურნალის ფურცლებზე კამათს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ, თუ რამდენად უნდა უკავშირდებოდეს მემარცხენეთა სიძლიერე ეკონომიკურ ზრდას, პირველ რიგში, დადგებოდა თავად ინდიკატორთა კორექტულობა-სანდოობისა და არა სტატისტიკური მეთოდის, ტექნიკის საკითხი. მართლაც, თუკი ინდიკატორები არ ასახავენ რეალობას, მაშინ არანაირ სტატისტიკურ გამოთვლებს არ მოჰყვება ცოდნის გაფართოება შესასწავლი რეალობის შესახებ. არის კი `ცენტრიდან მარცხნივ` ყოფნის დაუნსისეული განსაზღვრება ყველაზე მარჯვე საშუალება პოლიტიკური სექტრის დაყოფისათვის მემარცხენე და მემარჯვენე ნაწილებად, თუკი სხვა საზომებს უბრალოდ არ იყენებდნენ? არის კი მინისტრთა პორტფელების განაწილებაზე კონტროლი მთავრობაზე გავლენის საუკეთესო მაჩვენებელი, ან იქნებ ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, თუ კერძოდ რომელ პორტფელებზეა საუბარი? იქნებ მემარცხენე პროფესიული კავშირების წევრობა მემარცხენეთა სიძლიერის უფრო ზუსტი საზომია, ვიდრე პროფკავშირების წევრობა, როგორც ასეთი? რჩება კი „ევროპის წელიწდეული“ (Europa Yearbook) ასეთი მნიშვნელოვანი მონაცემების საუკეთესო, მყარ, სანდო წყაროდ? დაბოლოს, მაშინაც კი, თუ ეს ინდიკატორები საუკეთესოა მათ შორის, რაზეც ამ მწვავე კამათის მონაწილეებს ხელი მიუწვდებოდათ, უბრალოდ გასაოცარია, რომ არავის მოსვლია აზრად მათი შემოწმება.

არსებობს უამრავი სხვა მაგალითი, როცა პოტენციურად მცდარ ან ზედაპირულ ინდიკატორებს თითქმის ბიბლიური სტატუსი ენიჭებათ. ქასთლზ-მეირის (Castles and Mair 1984) მონაცემები დასავლურ დემოკრატიულ სისტემებში მემარცხენე-მემარჯვენეებად პარტიების დაყოფის თაობაზე დღემდე ავტორიტეტულადაა მიჩნეული და მათ ხშირად იყენებენ ზემოხსენებული მიმართულებით განხორციელებულ კვლევებში. ეს მონაცემები, შესაძლოა, ავტორიტეტულია, მაგრამ მათ საფუძველზე შექმნილ სურათს არ უნდა ენიჭებოდეს ამოდენა მნიშვნელობა და წონა. ისინი ემყარება საექსპერტო შეფასებების მცირე რაოდენობას და ვერ გაითვალისწინებს უფრო ადრეული და მომდევნო პერიოდების რეალობებს. იგ-

ივე შეიძლება ითქვას არენდ ლიჰპარტის მიერ თავდაპირველად (Lijphart 1984) შემოთავაზებულ ინდიკატორებზე, რომლებიც საფუძვლად უნდა დადებოდა დემოკრატიის ცნობილ დაყოფას მაჟორიტარულ და კონსენსუსურ სახეობებად. ეს მოსაზრება შემდგომ მრავალ ნაშრომში აისახა. ლიჰპარტისეული ინდიკატორი, შეიძლება, მართლაც საუკეთესოა ამ ორი ტიპის დემოკრატიის ერთმანეთისაგან გასარჩევად, მაგრამ ეს ერთადერთი შესაძლებელი ინდიკატორი როდია. ამიტომ მათი გამოყენებისას ყველა ჯერზე აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, თუ რომელ კონკრეტულ პერიოდთან მიმართებაში (1945\_1980 წწ.) გამოიყენებოდა ისინი. სხვა დროითი ჭრილის მოვლენათა ანალიზმა, შესაძლოა, სრულიად განსხვავებულ კლასიფიკაციამდე მიგვიყვანოს (მაგ., იხ. Mair 1994). რობერტ პატნემის (Putnam 1993) თანამედროვე კლასიკური ნაშრომი იტალიური დემოკრატიის შესახებ უთუოდ მაღალ შეფასებას იმსახურებს როგორც არგუმენტაციის, ისე შინაარსის თვალსაზრისით, აგრეთვე იმის გამო, რომ ავტორმა შეძლო თანამედროვე პოლიტიკური კულტურის ნიმუშების მათ ადრეულ საფუძვლებთან დაკავშირება. თუმცა აქაც კი, მიუხედავად კვლევის ინტელექტუალური დიაპაზონისა, პოლიტიკური ინსტიტუტების მოქმედების შედეგთა ანალიზი ემყარება ინდიკატორების მცირე რაოდენობას, რომელთაგან ზოგიერთი მხოლოდ ერთი კალენდარული წლით შემოიფარგლება (Morlino 1995).

აქაც ისევე, როგორც საერთოდ შედარებით პოლიტიკურ კვლევებში, მთავარი პრობლემა ისაა, რომ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის ანალიზს უფრო მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე თავად ცვლადების სანდობასა და სიზუსტეს (ხარისხს). ეს პრობლემა მეტად გამძაფრდა მას შემდეგ, რაც წინ წამოიწია ინსტიტუციურ და პოლიტიკურ ფაქტორთა და მათ ოპერაციულ ინდიკატორთა მნიშვნელობამ. ამავე დროს, ბოლო წლებში შედარებითი პოლიტიკური კვლევების სტატისტიკური და მეთოდოლოგიური დახვეწა-გართულებისა და სერიოზული თეორიული ამბიციების მიუხედავად, მკვლევართა მიერ გამოყენებული მონაცემები ბოლომდე დამუშავებული და გააზრებული ჯერ კიდევ არ არის (იხ. ასევე Schmidt 1995). სწორედ სანდო და საიმედო შედარებადი მონაცემების ნაკლებობა განაპირობებს ხელმისაწვდომი მონაცემების გაფეტიშებას, მიუხედავად მათი შესაძლო მცდარობისა. ჯერჯერობით ჯობს კომპარატივისტები მიჰყვნენ სტეინ როკანის რჩევას იმის თაობაზე, რომ უნდა გაგრძელდეს სისტემატური შედარებისათვის გამოსადეგი მონაცემების შეგროვება, რაც რეალურად შეუძლებლად რიცხობრივ მონაცემთა რაოდენობას ეროვნებათაშორისი განსხვავებების კვლევისას (ციტატირებულია ფლორას მიხედვით. იხ. Flora 1986: v-vi).

## 5. დასკვნა: დღევანდელი და მომავალი მიმართულებები

შედარებითი პოლიტიკის ყველა მკვლევარს ერთი საერთო თვისება ახასიათებს: ანალიზისა და დაკვირვების ობიექტებად ქვეყნების ან მაკროსოციალური ერთობების გამოყოფა (Ragin 1987; Keyman 1993a). ამავდროს, შედარებითი პოლიტიკური ანალიზი ცდილობს მივიდეს განმაზოგადებელ დასკვნებამდე, რომლებიც გამოსადეგი იქნება ყველა მოვლენის ასახსნელად, დროისა და ადგილის მიუხედავად. ამას შედეგად მოსდევს გარკვეული წინააღმდეგობა ამა თუ იმ ქვეყნის სპეციფიკური მახასიათებლებისა და უნივერსალური ურთიერთკავშირების მნიშვნელობებს შორის. თუმცა, თუკი 1950-60 წწ.-ში ჯერ კიდევ `ახალგაზრდა` შედარებითი პოლიტიკა მეტ ყურადღებას უნივერსალურ ურთიერთობებსა და, შესაბამისად, გლობალურ შედარებებს უთმობდა, ამ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში ტენდენცია შეიცვალა და აქცენტმა ზოგადი თეორიიდან კონტექსტის მნიშვნელობაზე გადაინაცვლა.

ნაწილობრივ, ეს ტენდენცია ასახავს ისტორიული კვლევების გავლენის ზრდას სოციალურ მეცნიერებებში, კერძოდ, `ისტორიული სოციოლოგიის` ჩამოყალიბებას (Skocpol and Somers 1980; Abrams 1982), რომელიც ფენომენის ახსნას ძალიან ფართო ან `პოლისტურ` კონტექსტში ცდილობს (იხ. ასევე Thelen and Steinmo 1992, იხ. ნაწ. II და ზემოთ). უფრო ზოგადი თეორიები, პირიქით, თითქოს ხელოვნურად ანაწევრებენ კვლევის ობიექტებს შემადგენელ ნაწილებად, რომლებიც შეიძლება შედარდეს ცალკეული ქვეყნების მიხედვით, მაგრამ ამ დროს იკარგება ობიექტის თავდაპირველი მთლიანობა (Ragin 1987: ix-x). ამასთანავე, უპირატესობა ენიჭება საერთო სურათის მთლიან და სიღრმისეულ შესწავლას და არა მისი ცალკეული ნაწილების განმაზოგადებელ ინტერპრეტაციას. ეს შემობრუნება კონტექსტისაკენ გარკვეულწილად დადლილობისა და იმედგაცრუების შედეგია. 1950-იანი წლების ბოლოსა და 1960-იანი წლებში, როცა შედარებითი პოლიტიკის კვლევის საზღვრები გაფართოვდა და კომპარატივისტიკისათვის ხელმისაწვდომი გახდა მონაცემები მრავალი ქვეყნის შესახებ, გაჩნდა შედარების ობიექტთა რაოდენობის ზრდის ტენდენცია. კვლევა წარმართა დედუქციური მოდელების გამომუშავების გზით, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნებოდა დიდი რაოდენობის შემთხვევების მიმართ. დასკვნების სანდოობის ასამაღლებლად მიმართავდნენ ან მონაცემთა ბაზის გაფართოებას, ან ამხსნელი ცვლადების დეტალიზაციას, ან კიდევ ასახსნელი საკითხების დაზუსტებას. 1960-80-

იან წლებში კომპლექსური თეორიების განვითარების ბევრი მომენტი შეიძლება სწორედ ამ ჭრილში განვიხილოთ: შემთხვევების სახით განიხილებოდა ქვეყნების დიდი რაოდენობა, მოდელებს დაემატა ახალი ცვლადები – პოლიტიკა, იდეოლოგია, მართვის გამოცდილება და ა. შ.; უფრო ზუსტად განისაზღვრა, თუ რა ფაქტორები ქმნის 'გამარჯვებულ' კოალიციას (მიმოხილვისთვის იხ. Browne and Franklin \_ 1986; Budge and Laver 1992). სწორედ ასე შეიქმნა შრომები, რომლებიც იკვლევდნენ პოლიტიკის გავლენას საჯარო პოლიტიკის შედეგებზე (Castles 1982). საკვლევად შემთხვევების დაგვარად ბევრი შემთხვევა შეირჩა. ახსნის შესაძლებლობები იზრდებოდა, ერთი მხრივ, საზომთა დახვეწითა და პოლიტიკის ცნების დაზუსტებით (პოლიტიკა მოიცავს პარტიის იდეოლოგიას, პარტიულ პოლიტიკას, ინსტიტუციურ სტრუქტურებს, ინტერესის ჯგუფების წარმომადგენლობას და ა.შ.), მეორე მხრივ კი, პოლიტიკის შედეგების გაგების დაზუსტებით, რომელიც მოიცავს სახელმწიფო ხარჯებს, პოლიტიკურ სტილს, მართვის სხვადასხვა სფეროს და სხვა. ორივე შემთხვევაში ამოცანას წარმოადგენდა შესაბამისი ფენომენების მაქსიმალურად ყოვლისმომცველი ახსნა, თანაც ისე, რომ მუდმივად მოდიფიცირებულიყო მეცნიერული კვლევის საშუალებები.

ამ ბოლო დროს ეს სტრატეგია იცვლება და ამის მიზეზს განსხვავებათა ახსნის შესაძლებლობათა ამოწურვა წარმოადგენს: სხვადასხვა მოდელის შემდგომი დახვეწა ამ თვალსაზრისით ცოტას თუ გვპირდება. მაგალითად, კოალიციათა თეორეტიკოსები უფრო ხშირად მიმართავენ ინდუქციურ მოდელებს (მაგ., Pridham 1986) და ცდილობენ, შეისწავლონ ფართო ეროვნულ-პოლიტიკური კონტექსტი, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს კოალიციური თამაშები. ამავე დროს, ის მკვლევრები, რომლებიც სახელმწიფო პოლიტიკის შედეგებს სწავლობენ, ცდილობენ შემობრუნებას ჰოლისტიური კვლევისაკენ, რომელიც კონკრეტულ შემთხვევათა სპეციფიკასაც მოიცავს. კომპარატივისტიკის ახალი მიმართულების ერთ-ერთმა ფუძემდებელმა ფრენსის ქასთლმა უარი თქვა საერთო დედუქციურ მოდელებზე, რომლებშიც კონტექსტი მეტად მცირე როლს თამაშობდა ან საერთოდ უგულებელყოფილი იყო. მან ორიენტაცია აიღო კულტურული სპეციფიკისა და ტრადიციის კვლევაზე (მაგ., ინგლისურენოვან ან სკანდინავიურ ქვეყნებში), რაც არ ექვემდებარება მკაფიო რაოდენობრივ ანალიზს (Castles and Merrill 1989; Castles 1993). ასევე დიდი ყურადღება ეთმობა ქვეყნების სპეციფიკის შესწავლასა და ეროვნულ კონტექსტს. თანდათანობით უარყოფილ იქნა განმაზოგადებელი მოდელები და კვლევამ ცალკეული შემთხვევებისა და ქვეყნების უფრო ღრმა გააზრებაზე გადაინაცვლა. ეს მრავალი თვისობრივი მონაცემის შეფასებას, აგ-

რთვე კონტექსტის ინსტიტუციურ მახასიათებელთა და პოლიტიკური კულტურის თავისებურებების გათვალისწინებას გულისხმობს. შესაბამისად, აშკარაა ინტერესის ზრდა, ერთი მხრივ, კულტურაზე ორიენტირებული (მაგალითად, ინგლისურენოვანი სახელმწიფოები), მეორე მხრივ კი, სახელმწიფოზე ორიენტირებული (მაგალითად, მხოლოდ გაერთიანებული სამეფო) და სახელმწიფოს ინსტიტუციური მოწყობის თავისებურებებზე ორიენტირებული (მაგალითად, გაერთიანებული სამეფო ტექჩერის მმართველობის პერიოდში) კვლევებისადმი. აქვე თავსდება მრავალი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მიდგომა, რომლებიც ახალი ინსტიტუციონალიზმის ფარგლებში განიხილება (მაგ., Tsebelis 1990; Ostrom 1991).

ამავე დროს, დიდი შეცდომა იქნებოდა, ეს მერა უბრალოდ ცალკეული ქვეყნების კვლევისკენ მიბრუნებად აღვექვა. ამგვარი კვლევა წინ უსწრებდა 1954 წლიდან დაწყებულ საქმიანობას, რომელიც შედარებითი პოლიტიკის კომიტეტის ცვლილებებისკენ იყო მიმართული. არსებობს ძირეული განსხვავება ცალკეული ქვეყნების შესწავლისადმი დღევანდელ ინტერესსა და კონტექსტის მნიშვნელობის ხელახალ აღმოჩენას შორის. ეს განსხვავება გადამწყვეტ როლს თამაშობს შედარებითი პოლიტიკური მეცნიერების განვითარების საქმეში. ადრეული პერიოდის კომპარატივისტების ინტერესი ცალკეული ქვეყნებისადმი მაშინ ჩამოყალიბდა, როცა თავად პოლიტიკური მეცნიერება განვითარების ადრეულ სტადიაზე იმყოფებოდა და პოლიტიკური მეცნიერების კვლევის ცენტრები თავმოყრილი იყო სულ რამდენიმე ქვეყნის უნივერსიტეტის თითოეულ ჩამოსათვლელ ფაკულტეტებზე. კონტექსტით დღევანდელი დაინტერესება აღმოცენდა დისციპლინის ყოველმხრივი გაფართოების, ინტერნაციონალიზაციისა და პროფესიონალიზაციის კვალდაკვალ (Daalder 1993). თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადრე ნაციონალური კვლევების სფეროში ისეთი კომპლექსური ნაშრომები, როგორცაა, მაგალითად, დალის გამოკვლევა 'ოპოზიციების' შესახებ (Dahl 1966), გამოწვევის წარმოადგენდა. მეცნიერები, რომელთაც ცალკეულ ქვეყნებთან დაკავშირებულ საკითხებზე სპეციალური ცოდნა ჰქონდათ, ძალზე იშვიათად იკრიბებოდნენ საკვლევ ქვეყნებთან და შემთხვევებთან ზოგადი ჰიპოთეზების მისადაგების პრობლემებზე სამსჯელოდ. დღეისათვის მეცნიერული ძალისხმევისა და ცოდნის მსგავსი გაერთიანება ჩვეულებრივი ამბავია და განსაზღვრავს ბევრი კროს-ნაციონალური კვლევითი პროგრამის სტრატეგიას. ამ პროგრამებს, ჩვეულებრივ, რეგიონული სპეციფიკა აქვთ. ეს თანაბრად ეხება სხვადასხვა მეცნიერულ დისციპლინას, განსაკუთრებით კი შედარებითი პოლიტიკას, სადაც განათლების მსგავსი სისტემების, მსგავსი პარადიგმე-

ბისა და ფორმალიზებული საერთაშორისო ქსელების (მაგალითად, პოლიტიკური კვლევების ევროპული კონსორციუმის – ECPR) არსებობა განაპირობებს იმას, რომ პოლიტიკის მკვლევარები, რეგიონული მასშტაბით მაინც, საერთო მეცნიერულ ენაზე ლაპარაკობენ. დღეს შედარებით იოლია ცალკეული ქვეყნის სპეციალისტთა შეკრება და მათი ცოდნის თავმოყრა ფართო კომპარატივისტულ კონტექსტში, რომელიც, ამავე დროს, კონკრეტულ ნიუანსებს ითვალისწინებს (მაგ., იხ. Pridham 1986; Budge et al. 1987; Castles 1989; Katz and Mair 1994; Laver and Shepsle 1994). სწორედ ექსპერტთა ერთობლივი მუშაობის, სიღრმისეული და უფრო ზოგადი მიდგომების შერწყმით ხდება შესაძლებელი სარწმუნო და საკმარისად დეტალური შედარებითი ანალიზის დამაკმაყოფილებლად ჩატარება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა თანამშრომლობის (ამას ხელს უწყობდა პოლიტიკური მეცნიერების პროფესიონალიზაცია) შედეგად ხერხდება კერძო შემთხვევათა კვლევის (case-study) განმაზოგადებელ თეორიებთან და მოდელებთან ადაპტირება, ეს კი საფუძველს ქმნის განსხვავებულ მეთოდთა ურთიერთდაკავშირებისთვის. ამრიგად, შედარებითი პოლიტიკური კვლევების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელია კონკრეტული შემთხვევითა და კონტექსტით დაინტერესებული მეცნიერების ურთიერთთანამშრომლობა და გაერთიანება. ამან შეიძლება ხელი შეუწყოს პოლიტიკურ ფენომენტთა გაგების ფარდობითობის გააზრებასა და შედარებითი პოლიტიკური მეცნიერების განვითარებას.<sup>15</sup> რა თქმა უნდა, შედარების ეს ფორმა გაცილებით მეტა-

---

<sup>15</sup> ეს სტრატეგია შეიცავს გარკვეულ საშიშროებასაც. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ინტერნაციონალიზაციისა და პროფესიონალიზაციის კომბინირებული ეფექტი ქმნის არსებითად ორიენტაციის პროფესიის აღმოცენების საფრთხეს. ერთ მხარეს არიან ჭეშმარიტი კომპარატივისტები, რომლებიც წარმართავენ მრავალეროვნულ პროგრამებს და პასუხისმგებელი არიან საერთო ინტერპრეტაციაზე, მეორე მხარეს კი – ცალკეული ქვეყნის ექსპერტები, რომლებიც მოვლენას თავიანთ ქვეყანაში ან კონკრეტულად ფაქტს განიხილავენ იმ ჩარჩოებში, რომელსაც პროექტის ინიციატორები და ავტორები აწესებენ. ეს დაშორიშორება არაა მკაფიოდ გამოკვეთილი. იმათ, ვისი საქმეცაა ქვეყანა X-ის ინტერპრეტაცია A-პროექციისათვის, მოგვიანებით შეუძლიათ განავითარონ საკუთარი მრავალეროვნული პროექტები და შეკრიბონ ექსპერტთა საკუთარი გუნდები. პრაქტიკულად, ყოველივე დამოკიდებულია სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ კვლევით და პროფესიული დახელოვნების ინფრასტრუქტურაზე. თუკი ეროვნული პოლიტიკური მეცნიერების განხრები ან ისინი, ვინც მსგავსი გამოკვლევების დაფინანსების საშუალებას ელოდს, დიდ ყურადღებას უთმობენ მრავალეროვნული გამოკვლევების საჭიროებას, აუცილებლად შეძლებენ პროექტის ინიციატორების მოძებნას ან პროფესიულ აღზრდას. შესაბამისად, ვინც მეტ წილ ყურადღებას უთმობს საკუთარი ეროვნული პოლიტიკის პრობლემებს, მეტ ძალისხმევას მიმართავს საკუთარი ქვეყნის ექსპერტების

დაა შეზღუდული მასშტაბით, ვიდრე ამას კომიტეტი გულისხმობდა. შესაძლოა, პარადოქსულად ჟღერდეს, მაგრამ თუ ეკსტენს დაფუძრუნდებით (Eckstein 1963 : 22), ესაა შედარების ისეთი მოდელი, რომელიც უკეთ გამოდგება `საშუალო დონის თეორიული პრობლემების ასახსნელად`, მიუხედავად იმისა, რომ ეს პრობლემები ახლა უფრო პოლიტიკის შედეგებს მოიცავს, ვიდრე `მის დეტერმინანტებს`.

## რასელ ჯ. დალტონი. შედარებითი პოლიტიკა: მიკრობიჰევიორისტური ხედვა

XX საუკუნის განმავლობაში აღინიშნა დემოკრატიის გავრცელების სამი ტალღა, როსაც თან ახლდა სოციალური მეცნიერების თეორიული და ემპირიული განვითარების მწვავე და დრამატული პერიოდები. პირველმა პერიოდმა თავი იჩინა საუკუნის დასაწყისში, როცა ვუდრო ვილსონმა, ჰაროლდ გოსნელმა, ვალტერ ლიპმანმა და სხვებმა გადასინჯეს შეხედულებები პოლიტიკის არსის შესახებ თანამედროვე მასობრივ დემოკრატიებში. მეორე პერიოდი დაიწყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მკვლევრებმა ძალისხმევა მიმართეს სტაბილური და წარმატებული დემოკრატიისათვის აუცილებელი პირობების განსაზღვრისა და იმ ფაქტორების გამოვლენისაკენ, რომლებიც ხელს უშლიდა დემოკრატიულ პროცესებს ომთაშორის გამოკვლევების ავტორები არიან ბარინგტონ მური, ჰანნა არენდტი, გეაბრიელ ალმონდი, რაიმონ არონი და სეიმურ მარტინ ლიპსეტი.

ჩვენ ახლა ვცხოვრობთ დემოკრატიული აღმავლობის მესამე პერიოდში, რომელიც განაპირობებს აკადემიური კვლევის შთამბეჭდავ აღმავლობას დემოკრატიზაციის, დემოკრატიული პოლიტიკის ბუნებისა და მისთვის აუცილებელი პირობების შესახებ. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოლიტიკურმა სისტემებმა რეჟიმის ცვლილებების განსაც-

---

გამოსაზრდელად. აღნიშნულიდან გამომდინარე, შემთხვევითი არაა, რომ შედარებით პოლიტიკურ მეცნიერებაში და თავად ევროპულ შედარებით პოლიტიკაშიც დისპროპორციულად დომინირებენ ამერიკელი მეცნიერები, რომლებიც მრავალეროვნულ გამოკვლევებზე ორიენტირებული ამერიკის ეროვნული მეცნიერებათა ფონდის (American National Science Foundation, ANSF) ფინანსური მხარდაჭერის მოპოვებისას უპირატესობებით სარგებლობენ მაში როდესაც ევროპული ორგანიზაციები კონკრეტულ ეროვნულ შემთხვევათა კვლევების დაფინანსებას ამჯობინებენ.

ვიფრებული პროცესი განიცადეს. სახალხო ზეწოლამ წარმართა დემოკრატიზაციის პროცესი აღმოსვლეთ აზიაში, დაწყებული ფილიპინების სახალხო მოძრაობით, დამთავრებული დემოკრატიული რეფორმებით სამხრეთ კორეასა და ტაივანში. დემოკრატიული არჩევნების ტალღამ გადაუარა აფრიკას საჰარის სამხრეთით 1990-ანი წლების პირველ ნახევარში. ამგვარმა დემოკრატიულმა ძვრებმა შექმნა ახალი სამოქალაქო თავისუფლებები ამ საზოგადოებებისათვის და დააყენა ახალი თეორიული და პოლიტიკური საკითხები სოციალური მეცნიერებების მკვლევართა წინაშე. პირველად ვხვდებით კომუნიზმიდან დემოკრატიაზე გადასვლის მოწმენი, მაგრამ ამ პროცესის არსი და დანიშნულება ნათელი არ არის. მსგავსად ამისა, დემოკრატიის გავრცელება იმ საზოგადოებებში, რომლებიც კონფუციური ტრადიციებს ეფუძნებიან, ბადებს კითხვას ამ საზოგადოებებში დემოკრატიის კულტურული ბაზისის შესახებ.

დემოკრატიაზე გადასვლის პროცესების აღმავლობის კვალდაკვალ, თავი იჩინა ახალმა გამოწვევებმა. უკვე ჩამოყალიბებულ დემოკრატიებში, მაგალითად, შერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპაში, მსგავსი პრობლემები წამოიჭრება განვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფოების უმეტესი ნაწილის წინაშე ეკონომიკური სტრუქტურებისა და კულტურული ინიციატივების განახლების, მოქალაქეებსა და ხელისუფლებას შორის ახალი ტიპის ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესში. კულტურული მრავალფეროვნება და ეთნიკური ფრაგმენტაციის ეფექტი პოლიტიკაზე ახლა ჩვეულებრივი პრობლემებია დასავლური და აღმოსავლეთევროპული სახელმწიფოებისთვის. პოლიტიკური მოთხოვნები, გამოთქმული გარემოს დამცველითა, ქალთა მოძრაობისა თუ მოქალაქეთა სხვა ჯგუფების მიერ, ზემოქმედებას ახდენს ფაქტობრივად ყველა განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაზე. პოლიტიკური მონაწილეობის ახალი და გაფართოებული სახეები ისევე, როგორც საკითხები ელექტორალური ქცევისა და ელექტორალური არჩევანის ცვალებადი ბუნების შესახებ, ჩვეულებრივი მოვლენაა ჩამოყალიბებული დემოკრატიების უმეტეს ნაწილში. როგორც ჩანს, ახალი საკითხები დემოკრატიის ბუნების შესახებ ყველგან წარმოიშობა.

ნაჩქარევი იქნება იმის თქმა, თუ რამდენად მოგვეცემს პოლიტიკური ცვალებადობის ეს პერიოდი სოციალურ მეცნიერებებში ისეთ თეორიულ და ემპირიულ წინსვლას, როგორც წინა ორმა პერიოდმა მოიტანა. რა თქმა უნდა, ჩვენი კვლევის ხერხები ადრეულთან შედარებით უფრო დახვეწილია, შეივსო ჩვენი ცოდნაც საზოგადოებებისა და პოლიტიკის შესახებ. ეს სიახლეები გვამლევს სრულიად ახალ საშუალებებს ჩვენი თეორიების გამოსაცდელად, ცოდნის გასაფართოებლად და ახალი თეორიების

გასავითარებლად. ჩვეულებრივ, პოლიტიკურ სისტემებს შევისწავლით წონასწორობის ზოგად მდგომარეობაში, როცა დასკვნებში დომინირებდა სტაბილურობისა და თანდათანობით ცვალებადობის იდეები. ახლა შესაძლებლობა გვაქვს, შევისწავლოთ უფრო ფუნდამენტური ცვლილებებისა და მათთან ადაპტაციის საკითხები, რომლებიც ხშირად პირდაპირ უკავშირდება ჩვენს თეორიულ ინტერესებს, მაგრამ რომელთა პირდაპირი შესწავლაც ძალზე იშვიათად შეგვიძლია.

თავად დემოკრატიზაციის საკითხი სულ სხვა თავის საგანია (თავი 14). მოცემული ნაკვეთი მიმოიხილავს პოლიტიკური ქცევის კვლევების ბოლო დროის ზოგიერთ ძირითად მიღწევას. რამდენიმე გვერდზე ამოწურავი მიმოხილვის მოცემა შეუძლებელია (იხ. Dalton and Wattenberg 1993; Klingeman and Fuchs 1995). ამის მაგვრად ჩვენ ვფოკუსირდებით კვლევის რამდენიმე ძირითად სფეროზე,<sup>1</sup> რომლებიც შერჩეულია ორი მიზეზით: ისინი წარმოადგენენ სფეროებს, რომლებშიც, ჩემი აზრით, ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი პოზიტიური ძვრები განხორციელდა კვლევის სფეროში, მეორე მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ ეს მაგალითები ძირითადად აღებულია განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოებების კვლევებიდან, ისინი ახლად აღმოცენებული დემოკრატიული რეჟიმების დემოკრატიაზე გადასვლის პროცესის დინამიკის ასახსნელად გამოდგება. ეს კვლევის ის სფეროებია, რომლებში ბოლო დროს დაროვილი ცოდნა დემოკრატიზაციის გლობალური ტალღის კონტექსტში შეიძლება განვავრცოთ.

## 1. პოლიტიკური კულტურა და დემოკრატიზაცია

დემოკრატიზაციის კვლევების წინა ტალღიდან აღმოცენებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ძლიერი ცნება სოციალურ მეცნიერებაში პოლიტიკური კულტურის ცნებაა. გაბრიელ ალმონდისა და სიდნეი ვერბას 1963 წლის ნაყოფიერი გამოკვლევა *სამოქალაქო კულტურა* ამტკი-

---

<sup>1</sup> ერთი დამატებითი სფერო, რომელსაც ჩავრთავთ, თუკი ამის საშუალებას სტატიის მოცულობა მოგვცემს, არის პოლიტიკური მონაწილეობა. პირველ რიგში, კვლევის ეს სფერო მნიშვნელოვანია იმის გამო, რომ გასული ათწლეულის განმავლობაში ამ მიმართულებით განხორციელებულ კვლევებში სერიოზული წინსვლა აღინიშნა, სხვა მხრივ კი, ეს საკითხები პოტენციურად უკავშირდება დემოკრატიული გამოცდილების განვითარებისა და დემოკრატიული პოლიტიკის ინსტიტუციური ჩარჩოების გაფართოების თემატიკას (მიმოხილვისათვის იხ. Dalton 1996; Rosestone and Hansen 1993; Parry, Moyser and Day 1992; Verba et al. 1995).

ცებდა, რომ ინსტიტუტები და მოქმედების სახეები (ინდივიდუალური და ჯგუფური მოქმედება) პოლიტიკურ სისტემაში უნდა შეესაბამებოდეს, ასახავდეს ერის, საზოგადოების პოლიტიკურ კულტურას. კულტურის კვლევები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც მკვლევრები შეეცადნენ დემოკრატიისთვის აუცილებელი კულტურული წინაპირობების დადგენას (Almond and Verba 1963; 1980; Verba 1965; Baker, Dalton and Hildenbrandt 1981).

დემოკრატიის შესახებ შექმნილ ლიტერატურაში კულტურის კვლევებში სამი სახის მიდგომა შეინიშნება: პირველი ესაა „სამოქალაქო კულტურის“ აღმონდისა და ვერბას თეორია. ხუთი დემოკრატიული საზოგადოების მონაცემებიდან გამომდინარე, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ერის პოლიტიკური კულტურა დამოუკიდებლად ახდენს გავლენას სოციალურ და პოლიტიკურ ქცევაზე. კულტურა აწესებს ქცევის ნორმებს, რომლებსაც საზოგადოების წევრები აღიარებენ და მისდევენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირადად არ იზიარებენ ამ ღირებულებებს. ეს ყველაზე გავლენიანი მიდგომაა; მისი ხაზით გაწეული სამუშაო მეტად მოცულობითია და არ შემოიფარგლება მხოლოდ დემოკრატიული სისტემებით (მიმოხილვისათვის იხ. Almond and Verba 1980). მეორე მიდგომა „ძალაუფლებითი კულტურის“ თეორიაა (Eckstein 1966). ეკსტაინის ნამუშევარი განსაკუთრებით შეესაბამება მეცნიერთა დღევანდელ ინტერესებს, რადგანაც იგი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან კულტურის მკვლევარ თეორიტიკოსებს შორის, რომლებიც მსჯელობენ კულტურის დინამიკურ ასპექტებზე და იმაზე, თუ რა როლს თამაშობს კულტურა პოლიტიკურ ცვლილებათა პროცესში (Eckstein 1988; 1990). აარონ ვილდავსკიმ განავითარა პოლიტიკური კულტურის კვლევის მესამე, სრულიად განსხვავებული გზა (Wildavsky 1987). ვილდავსკი დაეყრდნო მერი დუგლასის „მმართველობითი ზადის“ (grid-group) მიდგომას, რათა განევითარებინა კულტურათა ტიპოლოგია ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა, ურთიერთგანსხვავებული ოთხი სტილის საფუძველზე. ეს ტიპები ეფუძნებოდა სოციალურ ურთიერთობებსა და ღირებულებებს, რომლებსაც ისინი გამოხატავდა.

მიუხედავად პოლიტიკური კულტურის ცნების ევრისტიკული და ინტერპრეტატიული ძალისა, სხვა მკვლევრებმა წამოჭრეს სიზუსტისა და პროგნოსტიკული ძალის საკითხი, რაც მაქს კაასემ (Kaase 1983) შემდეგნაირად გამოხატა: პოლიტიკური კულტურის შესწავლა იგივეა, რომ ვცადოთ, კედელზე შეღე მივაჭედოთო. ეს იმას ნიშნავს, რომ ცნება მოკლებული იყო სიზუსტეს და ხშირად იღებდა ერის სუბიექტური, სტერეოტიპული აღწერის ფორმას, არ წარმოადგენდა ემპირიულად დასაბუთებულ ცნე-

ბას. ზოგიერთი მკვლევარი პოლიტიკურ კულტურას, ფაქტობრივად, პოლიტიკური ცხოვრების ყველა დეტალში ხედავდა, სხვები კი კულტურას განიხილავდნენ ნაშთურ კატეგორიად, რომელიც ხსნიდა ყველაფერს, რაც კი სხვა საშუალებებით აუხსნელი რჩებოდა. უფრო პრობლემური იყო პოლიტიკური კულტურის ცნების გამოყენება მიზეზობრივი ეფექტის ასახვას ნელად.<sup>2</sup> პოლიტიკური კულტურის კვლევები ხშირად ემყარება საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებს ერთი ერის ფარგლებში. ასეთი მიდგომის დროს რთულია გამოყო პოლიტიკური ქცევის ეროვნულ სახეებზე კულტურის გავლენის როლი.

დემოკრატიაზე გადასვლის მიმდინარე ტალღაზე გაცილებით ადრეც პოლიტიკური კულტურის კვლევები მზარდი აკადემიური ინტერესის საგანს წარმოადგენდა. 1981 წლის მსოფლიო ღირებულებათა კვლევაზე (World Values Study) დაყრდნობით დონალდ ინგლჰარტმა (Inglehart 1990: თავი 1) სცადა ფართო პოლიტიკურ განწყობებსა და დემოკრატიულ სტაბილურობას შორის კავშირის დასაბუთება ოცდაორი ქვეყნის მაგალითზე.<sup>3</sup> რობერტ პატნემის (Putnam 1993; cf. 1973) გამოკვლევამ იტალიაში რეგიონალური ხელისუფლების განვითარების შესახებ უფრო მეტად შთამბეჭდავი მოწმობა მოგვცა კულტურული თეორიის მხარდასაჭერად. პატნემმა შეაღწა იტალიაში რეგიონულ ხელისუფალთა მოქმედება მთელ რიგ წარმოსახვით კრიტერიუმებს. მან აღმოაჩინა, რომ რეგიონის კულტურული ტრადიცია \_ ჩრდილოეთის კოოპერატიული პოლიტიკური სტილი უხეშად უპირისპირდება სამხრეთის უფრო იერარქიულ ტრადიციას \_ ყველაზე ძლიერი განმაპირობებელი იყო შესაბამისი (კულტურული ტრადიციის ადეკვატური) სამთავრობო ქმედებებისა. უფრო მეტიც, პატნემმა აჩვენა ამ კულტურული ტრადიციების ღრმა ისტორიული კავშირი სამოქალაქო გაერთიანებათა ადრეულ სახეებთან. პატნემის ძალზე შემოქმედებითმა და სისტემატიურმა კვლევამ კულტურის გავლენის საკითხების შესახებ სათავე დაუდო კულტურის კვლევების საერთო აღორძინებას.

---

<sup>2</sup> სხვა კრიტიკული მიდგომა კითხვას შემდეგნაირად სვამდა: რა არის კულტურა, ინსტიტუციური წყობის მიზეზი თუ შედეგი (Barry 1970)? ვფიქრობ, რომ ეს გარკვეულწილად ხელოვნური სხვაობაა. მართალია, კულტურის თეორიის ბიძგმა მკვლევარებს ყურადღება გაამახვილებინა ინსტიტუციურ წყობაზე კულტურის გავლენის საკითხის ირგვლივ, მაგრამ აღმონდისა და ვერბას მიზანი იყო, ყურადღება მიექციათ კულტურის სახეებზე ისე, რომ ეჩვენებინათ, რომ ხელისუფლებას და ელიტებს შეეძლოთ ეპასუხათ ამ საკითხებზე და რიგ შემთხვევაში გარდაექმნათ კულტურა (Verba 1965).

<sup>3</sup> ინგლჰარტის აღმოჩენები მეთოდოლოგიის თაობაზე შემდეგში გააკრიტიკეს მიულერმა და სელიგსონმა (Muller and Seligson 1994), ინგლჰარტმა ამ კრიტიკას უპასუხა ახალი მონაცემებით 1990-1991 წლების მსოფლიო ღირებულებათა კვლევიდან.

მიმდინარე გლობალური დემოკრატიზაციის ტალღა ანახლებს კულტურისა და პოლიტიკური სისტემის ურთიერთკავშირის საკითხს და წამოჭრის პოლიტიკური კულტურის კვლევის საკითხების ახალ ჯგუფს. ჩვეულებრივ, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და რეჟიმის საბაზისო პრინციპების საკითხი მუდმივია, ამიტომაც ძნელია ინსტიტუციური და კულტურული ცვლილებების ურთიერთქმედების შესწავლა. და მაინც, სახელმწიფოების უზარმაზარ რიგში მიმდინარე რეჟიმის ფორმების ბოლოდროინდელი ცვლილებები ქმნიან ახალ შესაძლებლობებს კულტურულ და ინსტიტუციურ არჩევანს შორის ურთიერთკავშირის შესაწავლად. აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკური ცვლილებები რამდენად იყო გამოწვეული ძველი რეჟიმებით ხალხის უკმაყოფილების საფუძველზე? როგორ შეიძლება შეფასდეს დემოკრატიის მომავალი ამ რეგიონში მათი კულტურების დემოკრატიული პოლიტიკისადმი მისწრაფების თუ კეთილგანწყობის საფუძველზე? მაგალითისათვის შეგვიძლია შევისწავლოთ, როგორ აფასებენ მოქალაქეები სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემას რეალური გამოცდილების საუძველზე, შესაბამისად, გამოვარკვევთ კავშირს პოლიტიკურ ნორმებსა და ინსტიტუციურ ალტერნატივებს შორის. მაგრამ კვლევის ასეთი ხერხი არ იქნება რეალისტური პოლიტიკის ერთიან კონტექსტში. უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, მიმდინარე მოვლენები აცოცხლებენ წარსულ დებატებს კულტურული პროცესის ხანგრძლივობაზე, მუდმივობასა და იმ გზებზე, რომლითაც შესაძლებელია კულტურული ნორმების გარდაქმნა (Almond and Verba 1980). ეკსტინის ბოლო ნაშრომი კულტურულ ცვლილებებზე ასევე გვთავაზობს თვალსაზრისს, რომ პოლიტიკური კულტურა უნდა შეისწავლებოდეს როგორც საზოგადოებაში არსებული სხვა სოციალური ურთიერთობებისა და „სამოქალაქო ჩართულობის“ ზოგადი დონეების გაგრძელება (Eckstein 1988; 1990), ხოლო დემოკრატიასთან თავსებადი კულტურული ნორმების სიღრმე და მოცულობა შეიძლება ყოფილიყოს ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელიც ახსნიდა მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების გეზს.

ბერლინის კედლის დაცემასთან ერთად მკვლევართა ყურადღება აღმოსავლეთმა მიიპყრო. მოკლე დროში შეიკრიბა ემპირიული მონაცემები რუსებისა და აღმოსავლეთ ევროპელების პოლიტიკური განწყობილებების შესახებ. ისინი მოიცავენ პოლიტიკური კულტურის მრავალ ასპექტს. მაგალითად, მეცნიერთა რამდენიმე ჯგუფმა მოულოდნელად აღმოაჩინა დემოკრატიის ბაზისური პრინციპებისადმი მხარდაჭერის მაღალი დონე ყოფილ საბჭოთა კავშირში (Miller et al. 1993; Gibson, Duch and Tedin 1992; Finifter and Mickiewicz 1992), შემდგომმა კვლევებმა აღმოსავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოებში თითქმის იგივე სურათი აჩვენა – დემოკრატიული

ნორმები და პროცედურები ხალხისთვის მისაღები აღმოჩნდა (McIntosh and MacIver 1992; Dalton 1994b; Weil 1993). თუმცა საჭიროა დაფიქრება იმაზე, რამდენად ასახავენ ისინი მუდმივ და მყარ კულტურულ ნორმებს, თუ ეს თანამედროვე მტკიცებულ პოლიტიკურ მოვლენათა პასუხია. უმეტესი პოსტსაბჭოური სახელმწიფოების საზოგადოებებმა დემოკრატიული გამოცდილება დაიწყეს იმით, რომ იმაზე მეტად მიიღეს დემოკრატიული პრინციპები, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო, განსხვავებით მემარჯვენე ავტორიტარული სახელმწიფოებისაგან, სადაც დემოკრატია აპათიით ან მტრულად შეხვდნენ. კომუნიზმის კულტურული მემკვიდრეობა გაცილებით განსხვავებული აღმოჩნდა.

გამოკვლევათა მდიდარი სერია ეძღვნება აღმოსავლეთ აზიასაც. დო შინი და მისი კოლეგები კრებენ შთამბეჭდავ კვლევით მონაცემებს სამხრეთ კორეაში დემოკრატიული განწყობების განვითარების შესახებ (Shin, Chey and Kim 1989; Shin and Chey 1993). მიუხედავად მთავრობის მიერ დემოკრატის მერყევი მხარდაჭერისა, დემოკრატის კულტურული საფუძვლები უფრო ფართოდაა გავრცელებული. მსგავსი კვლევები ვითარდება ტაივანში, სადაც დემოკრატიაზე გადასვლას თან ახლდა საჯარო მხარდაჭერა (Chu 1992). შესაძლოა, ყველაზე საინტერესო მონაცემები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან მოდის. ამ მტრულ გარემოშიც კი ენდრიუ ნათანმა და ტიანძიან შიმ (Shi 1993) აღმოაჩინეს, რომ ტიანენმინის წინა პერიოდის ჩინური საზოგადოება მთელი რიგი დემოკრატიული პრინციპების მიმართ გასაოცარ მხარდაჭერას იჩენდა. ვინმემ შეიძლება იკითხოს კიდევ, რამდენად საკმარისადაა გამჯდარი ეს განწყობილებები ამ ერთმანეთისაგან განსხვავებულ საზოგადოებებში, რათა მოხერხდეს პოლიტიკური კულტურის მყარი მახასიათებლების ჩამოყალიბება. თუმცა დემოკრატის მომავლისათვის მსგავსი მხარდაჭერაც კი პოზიტიური ნიშანია.

ამრიგად, სოციალურმა მეცნიერებამ ბოლო ათი წლის განმავლობაში პროგრესის დიდი გზა განვლო, მოიპოვა პოლიტიკისა და კულტურის რელევანტურობის თეზისის ემპირიული საბუთები, რომლებიც საფუძვლად უდევს პოლიტიკური კულტურის მოდელს, აგრეთვე მოიპოვა ევროპისა და აღმოსავლეთ აზიის ახლადაღმოცენებულ დემოკრატიებში მოქალაქეთა პოლიტიკური რწმენის ამსახველი მონაცემები. თუმცა ეს ემპირიული მიღწევები, განსხვავებით დემოკრატიზაციის წინა ორი ტალღისგან, ჯერ კიდევ არ არის გაწონასწორებული რაიმე სახის თეორიული ინოვაციითა და შემოქმედებითი მიდგომით. პოლიტიკური მეცნიერების მკვლევრებმა მეტი უნდა გააკეთონ, ვიდრე უბრალოდ ძველი პრობლემების შესახებ ახალი მონაცემების შეკრება. ამავე დროს, განმეორებითი კვლევა მეცნიერების მნიშვნელოვანი და ღირებული ელემენტია. იმისათვის, რომ წინ წავი-

წილთ, დროა დავსვათ დამატებითი კითხვები: არის თუ არა მხოლოდ ერთი `სამოქალაქო კულტურა` ის ერთადერთი მოდელი, რომელიც შეესაბამება დემოკრატიული სისტემის ფუნქციონირებას? გამოცდილება გვკარნახობს, რომ არსებობს დემოკრატიული კულტურების მრავალი ნაირსახეობა ისევე, როგორც არსებობს სხვადასხვა გზა კულტურის განსაზღვრისათვის, რომლებიც საჭიროებს აღწერასა და შესწავლას (Flanagan 1978; Seligson and Booth; Almond and Verba 1980). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პოლიტიკური კულტურის ელემენტებისა და მათი ურთიერთკავშირის ჩვენებულ გაგებას, **სამოქალაქო კულტურის** კვლევასთან შედარებით, თითქმის არ განუცდია პროგრესი.

უფრო ზოგადად, დემოკრატიის გზაზე დამდგარი საზოგადოებების ემპირიული კვლევების ახალი ტალღის უმეტესი ნაწილი არ აფართოებს პოლიტიკური კულტურის კვლევის თეორიულ საზღვრებს. აღმონდისა და ვერბას, ეკსტინისა და ვილდავსკის ურთიერთსაპირისპირო მოდულების შემოწმება იდეალურ შუალედს გვაპოვნიებდა ამ ახალ პოლიტიკურ გამოცდილებაში და შესაძლოა, ამ კვლევებიდან ახალი თეორიული ჩარჩოების აღმოცენებამდეც კი მიგვეღწია. რადგანაც მსოფლიო მუდმივად იცვლილება, ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს გამოვცადოთ კულტურული თეორია, როგორც პროგნოზირების საშუალება. შეგვიძლია შევამოწმოთ, როგორ იცვლება დამოკიდებულება კულტურასა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს შორის, რადგანაც რიგ ქვეყნებში ახლა პოლიტიკური ცვლილების პროცესი მიმდინარეობს. კულტურული ცვლილების თეორიის ან პოლიტიკური კულტურის არაპოლიტიკური წარმოშობის თეორიების შემოწმების მცდელობები ძალზე ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიან კვლევისათვის პოლიტიკური ცვლებადობის ამ უჩვეულო პერიოდში. არის სხვა საკითხების მთელი ჯგუფი, რომელიც მოიცავს კულტურული ნორმებისა და პოლიტიკური იდენტურობების შექმნას, პიროვნული პრეფერენციებისა და გაცნობიერებული სოციალური ნორმების ურთიერთთანხვედრას. აქა-იქ ცოტაოდენი პროგრესიც შეიმჩნევა, მაგრამ ეს მაინც არ არის ფრონტალური შეტევა მსოფლიოს შესახებ თეორიულ მსჯელობებზე, რომლებიც სათავეს დემოკრატიზაციის ადრეული ტალღებიდან იღებს.

შესაძლოა, კვლევის დღევანდელი მდგომარეობა მომწიფებული მეცნიერების მიღწევებს ასახავს. შემდგომში ის, კარგად განვითარებული ინსტრუმენტებითა და საკვლევი საკითხებით, მასალის მოძიების გზით უფრო წარიმართება და არა შემოქმედებითი თეორიული მუშაობით, რაც დემოკრატიზაციის ადრეულ ტალღებს ახასიათებდა. და მაინც, მე ვხედავ პოტენციალს თეორიული და მეთოდოლოგიური შემოქმედებისათვის, თუმ-

ცა დემოკრატიზაციის ამ ტალღამ ჯერ-ჯერობით ხელიდან გაუშვა ეს შესაძლებლობა.

## 2. ღირებულებათა ცვლილება და მოდერნიზაცია

შემდეგი სფერო, რომელშიც შედარებითმა ბიჰევიორისტულმა კვლევებმა მნიშვნელოვნად წაიწია წინ, მოიცავს საზოგადოებრივი ღირებულებების ცვალებადობას. ადრეული ბიჰევიორისტული კვლევები ინდუსტრიული საზოგადოების განვითარებასა და საზოგადოების ღირებულებათა ცვლილებას შორის ურთიერთობას შეისწავლიდა (მაგ., Inkeles and Smith 1974). უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე ეს კვლევა გავრცელდა ღირებულებათა ცვლილების შემდგომ პროცესებზე, რომლებიც თან სდევდა განვითარებული ინდუსტრიული ან პოსტინდუსტრიული საზოგადოების განვითარებას.

რონალდ ინგლჰარტის ნაშრომმა პოსტმატერიალისტური ღირებულებების დამკვიდრების შესახებ (Inglehart 1977; 1990; Abramson and Inglehart 1995) განვითარებული ინდუსტრიული დემოკრატიების საზოგადოებებში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა უმნიშვნელოვანეს თეორიულ ჩარჩოებში მოაქცია. ღირებულებათა ცვლილების ინგლჰარტისეული ხედვა ორ წინაპირობას ემყარება. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ის, რომ საზოგადოების საბაზისო ღირებულებათა პრიორიტეტები განისაზღვრება უკმარისობის ჰიპოთეზით: ინიდივიდებისთვის ღირებულია ის, რაც შედარებითი იშვითია.<sup>4</sup> ინგლჰარტის თეორიის მეორე ნაწილი სოციალიზაციის ჰიპოთეზაა: ინდივიდის ღირებულებითი პრიორიტეტები ასახავს იმ პირობებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ პიროვნების ცხოვრებას ბავშვობის ასაკში. ორივე ჰიპოთეზის კომბინაცია წარმოშობს ღირებულებათა ჩამოყალიბების ერთიან მოდელს: ინდივიდის საბაზისო ღირებულებები ყალიბდება ინდივიდუალური ცხოვრების ადრეულ ეტაპზე მოცემული პერიოდის სოციო-ეკონომიკური პირობების (პიროვნულისა და საზოგადოებრივის) პასუხად, ჩამოყალიბების შემდეგ ეს ღირებულებები ჩვეულებრივ აგრძელებს არსებობას, მიუხედავად ცხოვრების პირობების შემდგომი ცვლილებებისა.

---

<sup>4</sup> ადრეულ ნაშრომში ინგლჰარტი ცდილობდა განეზოგადებინა თავისი `უკმარისობის ჰიპოთეზა` აბრაჰამ მასლოუს ადამიანური ღირებულებების იერარქიის ფართო თეორიული ჩარჩოების ფარგლებში. მასლოუსეული თეორიული ჩარჩო სულ უფრო და უფრო ნაკლებად იკავებს ინგლჰარტის ბოლოდროინდელ ნაშრომებში.

ინგლჰარტი ამ მოდელს იყენებს იმის დასამტკიცებლად, რომ დასავლური ინდუსტრიული საზოგადოებების გარდამქმნელი სოციოეკონომიკური ძალები ცვლიან ღირებულებითი მიზნების შედარებით უკმარისობას და, შესაბამისად, დასავლური საზოგადოებების ღირებულებით პრიორიტეტებს. უფროსი ასაკის თაობები ჯერ კიდევ მეტ ყურადღებას უთმობენ „მატერიალისტურ“ სოციალურ მიზნებს – ეკონომიკურ კეთილდღეობას, სოციალურ უზრუნველყოფას, კანონსა და წესრიგს, რელიგიურ ღირებულებებს და ძლიერ ეროვნულ უსაფრთხოებას. ისინი აღიზარდნენ გარემოში, რომელშიც ეს ტრადიციული მიზნები მეტ-ნაკლებად საყოველთაოდ მიღებული იყო. დასავლელთა ახალ თაობებს ყურადღება გადააქვთ „პოსტმატერიალისტურ“ ღირებულებებზე, ისეთ მიზნებზე, როგორცაა თვითგამოხატვა, პიროვნული თავისუფლება, სოციალური თანასწორობა, თვითრეალიზაცია და ცხოვრების ხარისხის შენარჩუნება.

ინგლჰარტის პოსტმატერიალისტური იდეა ყველაზე გამოსადეგია განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების შესასწავლად. ღირებულებათა ცვლილების მისეული კონცეფცია სასარგებლო იყო საერთო ბაზრისადმი სხვადასხვა თაობის ადამიანთა განსხვავებული დამოკიდებულების შესასწავლად. მატერიალისტური და პოსტმატერიალისტური ღირებულებების ბაზისური განზომილება აგრეთვე დაკავშირებულია საზოგადოების მხარდ ინტერესთან გარემოს დაცვის, ქალთა უფლებების, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ცხოვრების ხარისხის სხვა საკითხების მიმართ.

პოსტმატერიალისტური ღირებულებების წარმოშობა დემოკრატიზაციის თემას ორგვარად შეიძლება დაუკავშიროთ: ჯერ ერთი, პოსტმატერიალისტურმა ღირებულებითმა ორიენტაციამ ნაწილობრივ ხელი შეუწყო შეხედულების გადასინჯვას პოლიტიკის ბუნებაზე განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში. ამგვარმა ინტერესმა გამოიწვია მოქალაქეთა ახალი მოძრაობების ჩამოყალიბება, რომლებიც დემოკრატიული პროცესის აქტიური და ხმაურიანი მონაწილეები გახდნენ. გარემოს დამცველები და ქალთა ჯგუფები, მაგალითად, აქტიურად ითხოვენ ყურადღებას თავიანთი ალტერნატიული პოლიტიკური პროგრამების მიმართ (Dalton 1994a; Gelb 1989). ეს საკითხები ხშირად იწვევს მათ დაპირისპირებას არსებულ გაბატონებულ ეკონომიკურ ინტერესებთან, როგორცაა ბიზნესის ლობი და მუშათა პროფესიული კავშირები. ეს ახალი სოციალური მოძრაობები ხშირად უერთდება ახალ მემარცხენეებს ან მწვანეთა პარტიას, რომლებიც თავიანთ პოზიციებს ელექტორალურ და საპარლამენტო ასპარეზზე იცავენ (Mueller-Rommel 1989). მოკლედ, ამ ორიენტაციებს წვლილი მიუძღვის ბევრ პოლიტიკურ დაპირისპირებაში, რომლებიც ახლა განსაზღვრავენ სა-

ზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების დაყოფას განვითარებულ ინდუსტრიულ დემოკრატიებში.

პოსტმატერიალისტებმა, ალტერნატიული საზოგადოებრივი მიზნების გარდა, დემოკრატიული პოლიტიკის სტილიც შეცვალეს. პოსტმატერიალიზმს წვლილი მიუძღვის დასავლურ საზოგადოებებში მოქმედების „რეპერტუარის“ ცვლილებაში. (Barnes and Kaase 1979; Jennings and van Deth 1990). პოსტმატერიალისტები მეტად ესწრაფვიან გამოიყენონ პოლიტიკური მოქმედების არატრადიციული ფორმები, მაგალითად, პროტესტი ან სხვაგვარი ქცევა ელიტის გამოსაწვევად. მოქალაქეთა ჯგუფები და მწვანეთა პარტიები მსგავსი ხერხებით ითხოვდნენ დემოკრატიული პროცესის გაფართოებას, რათა საზოგადოებას პოლიტიკის შემუშავებასა და ადმინისტრირებაში ჩართვის მეტი საშუალება ჰქონდეს. პოსტმატერიალისტები შეზღუდული წარმომადგენლობითი დემოკრატიის აქამდე მიღებულ სტილს მოქალაქეთა მრჩევლების ჯგუფებს, რეფერენდუმებსა და პირდაპირი დემოკრატიის სხვა ფორმებს ამჯობინებენ. ერთი სიტყვით, პოსტმატერიალიზმმა დემოკრატიის პრინციპები ეჭვქვეშ დააყენა \_ ე.წ. 'დემოკრატიის კრიზისის'~ ლიტერატურამ (Klingemann and Fuchs 1995) წარმოშვა კამათი წარმომადგენლობით დემოკრატიასა და მონაწილეობით დემოკრატიას შორის.

პოსტმატერიალიზმის თეზისის მეორე ეფექტი ისაა, რომ იგი ყურადღებას აქცევს ღირებულებათა ურთიერთდაპირისპირებას იმ ერებში, რომლებიც ახლა დაადგენენ დემოკრატიზაციის გზას აღმოსავლეთ ევროპასა და აღმოსავლეთ აზიაში. იყო მცდელობები, პოსტმატერიალისტური კონცეფცია ამ საზოგადოებებზე გადაეტანათ (Inglehart and Simenska 1990; Gibson and Duch 1994), მაგრამ ეს საეჭვო კვლევითი ჰიპოთეზაა. ინგლჰარტმა პოსტმატერიალიზმი განსაზღვრა, როგორც ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების იმ პროცესების შედეგი, რომლებსაც ეს საზოგადოებები ახლა იწყებენ. ამიტომაც უფრო იმას უნდა ველოდეთ, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთ აზიის საზოგადოებები და ელიტები მეტ ყურადღებას დაუთმობენ იმ მატერიალისტურ მიზნებს, რომლებიც ერთხანს ბატონობდნენ დასავლურ დემოკრატიებში. მაგალითად, თუ ჰოლანდიელები შეეცდებიან გახდნენ პოსტმატერიალისტები, პოლონელები უნდა იმედოვნებდნენ მიაღწიონ ისეთ მატერიალისტურ სიუხვეს, რომელსაც ჰოლანდიელები უკვე შეეჩვივნენ. გარდა ამისა, დემოკრატიის გზაზე შემდგარი ერები უფრო მეტ მნიშვნელობას უნდა ანიჭებდნენ წარმომადგენლობითი დემოკრატიის ინსტიტუციური ფორმების განვითარებას და ალბათ უნდა გაურბოდნენ კიდევ განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში აჟიტირებულ მონაწილეობით დემოკრატიას.ეს წარმო-

აჩენს მნიშვნელოვან დაშორიშორებას განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოებებისა და ახლადამოცნეული დემოკრატიების უახლოეს ამოცანებს შორის.<sup>5</sup> ეგრების ორივე ჯგუფი უფრო და უფრო დემოკრატიული ხდება, მაგრამ სხვადასხვა წარმოდგენით იმაზე, თუ რა არის დემოკრატია და როგორ უნდა იმოქმედოს მან.

### 3. ელექტორალური ცვლილება

არჩევნები თანამედროვე დემოკრატიებში წარმომადგენლობის მთავარი პროცედურაა. ადრინდელმა კვლევებმა დიდი წვლილი შეიტანა იმის გარკვევაში, თუ როგორ იღებენ ამომრჩევლები გადაწყვეტილებებს. თანამედროვე ელექტორალური კვლევების ერთ-ერთი ძირითადი თემა ამომრჩეველთა გადაწყვეტილებებზე გავლენის მქონე ფაქტორების მნიშვნელობის ცვლილებათა შესწავლაა. დასავლური დემოკრატიების უმეტეს ნაწილში პოლიტიკური არჩევანი ტრადიციულად კლასობრივი, რელიგიური და სხვა სოციალური სხვაობების საფუძველზე სტრუქტურირდებოდა, რადგანაც ხშირად ინდივიდები პოლიტიკის სირთულეებში გასარკვევად მზად არ იყვნენ. ისინი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას გარე რეფერენტული ჯგუფების პოლიტიკურ კარნახს ენდობოდნენ. ისეთი სოციალური ინსტიტუტები კი, როგორც კონფესიური ორგანიზაციები და პროფკავშირები, ასრულებდნენ ძირითადი პოლიტიკური აქტორების როლს, რომლებიც გავლენას ახდენდნენ როგორც პოლიტიკურ ელიტაზე, ისე რიგით მოქალაქეებზე. სეიმურ ლიპსეტმა და სტეინ როკანმა ეს მდგომარეობა ამგვარად შეაჯამეს: „1960-ანი წლების პარტიული სისტემები მცირე, მაგრამ არსებითი გამონაკლისებით ასახავდნენ 1920-ანი წლების პოლიტიკური კონფლიქტების სტრუქტურას“ (Lipset and Rokkan 1967 : 50). ადრეული ელექტორალური კვლევები უხვად ადასტურებდნენ ლიპსეტისა და როკანის მტკიცებებს.

---

<sup>5</sup> ინგლჰარტი თავის ბოლო ნაშრომებში (გამოცემის პროცესშია: Abramson and Inglehart 1995) ამტკიცებს ღირებულებათა დაახლოების მსოფლიო მასშტაბის საერთო პროცესს. რაღაც ზომით შემძლია დავეთანხმო ამ მტკიცებას, თუ კი „დაახლოება“ განისაზღვრება დასავლურ პოლიტიკურ ტრადიციაში გამოხატული დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებებისაკენ სწრაფვის ხარისხით, მაგრამ ვხედავთ, \_ პოსტმატერიალისტური მოდელი ამტკიცებს, რომ განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოებები გადადიან სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციის ახალ ფორმაში. ეს ნაპრალი განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებსა და განვითარებად დემოკრატიებს შორის არის ღირებულებათა დაშორიშორების გამომხატველი, რომელზეც აქაა საუბარი.

როგორც კი საზოგადოების შიგნით არსებულ დიფერენციაციაზე დაფუძნებული სტაბილური ხმის მიცემა აღიარებულ ჭეშმარიტებად იქცა, პარტიულ სისტემებში მაშინვე შთამბეჭდავი ცვლილებები დაიწყო. სუკვე არსებული პარტიები ახალი მოთხოვნებისა და ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ. ამა თუ იმ პოლიტიკური ძალისათვის ამომრჩეველთა მხრიდან მხარდაჭერის მოტივთა ცვლილება აშკარა გახდა. ელექტორალური პოლიტიკის სიცოცხლისუნარიანობის ახსნის აუცილებლობა, ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, სულ რაღაც ათწლეულის მანძილზე ელექტორალური ცვლილებების ახსნის აუცილებლობით შეიცვალა (Dalton et al. 1984; Crewe and Denver 1985).

ელექტორალური ქცევის ცვლილებებისადმი მზარდი ყურადღება დაკავშირებული იყო კლასობრივი და რელიგიური დაყოფის გავლენის შემცირებასთან. მაგალითად, „პოლიტიკური ადამიანის“ მეორე გამოცემაში ლიპსეტმა აჩვენა ზოგიერთ დასავლურ დემოკრატიაში კლასობრივად განპირობებული ელექტორალური პრეფერენციების დონის შემცირება (Lipset 1981 : appendix). მსგავსი გამოკვლევები ავსტრალიიდან (McAllister 1992), ბრიტანეთიდან (Franklin 1985), გერმანიიდან (Baker, Dalton and Hildebrandt 1981), იაპონიიდან (Watanuki 1991) და სხვა განვითარებული ინდუსტრიული დემოკრატებიდან (Ingelhart 1990; Lane and Ersson 1991) აჩვენებს, რომ ბოლო ათწლეულიდან მოყოლებული, ელექტორალურ კვლევებში პოლიტიკურ განწყობილებებს აღარ განსაზღვრავს სოციალური პოზიციები, განსხვავებით იმ პერიოდისაგან, როცა სოციალური რეგულირების საპირწონე მექანიზმები გაყინული იყო.<sup>6</sup>

მარკ ფრანკლინი და მისი კოლეგები დაეთანხმნენ ამ დასკვნის არ-გუმენტებს (Franklin et al. 1992). მათ თვალი მიადევნეს, თუ რამდენად ახდენს გავლენას ამომრჩეველთა პრეფერენციებზე სოციალური მახასიათებლები (კლასი ან სოციალური ჯგუფებისადმი კუთვნილება, განათლება, შემოსავლები, რელიგია, სქესი). მეცნიერებმა თოთხმეტი დასავლური დემოკრატის მაგალითზე აღმოაჩინეს სოციალური სტრუქტურის ზეგავლენის თანმიმდევრული კლება ხმის მიცემის შედეგებზე. ამ პროცესის ხარისხი და დრო სხვადასხვა ერში განსხვავებულია, მაგრამ საბოლოო შედეგი ერთია. თავიანთი შრომა შედარებითი ელექტორალური კვლევის სფეროში მათ ახალი „შეუვალი სიბრძნით“ შეაჯამეს: „ამ წუთისათვის ერთი რამ

---

<sup>6</sup> რა თქმა უნდა, სოციალურ მეცნიერებაში ყველაფერი საკამათოა. ბრიტანელი და ამერიკელი მკვლევრების სხვადასხვა ჯგუფები საეჭვოდ მიიჩნევენ კლასობრივად განსაზღვრული ხმის მიცემის დონის კლებას (მაგ., Heath et al. 1991), თუმცა, ჩემი აზრით, მათ მოსაზრებები არადამაჯერებელია.

ცხადია: თითქმის ყველა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენ ვსწავლობდით, აშკარაა ... სოციალური დიფერენციაციის გავლენის კლება ამომრჩევლის არჩევანზე“ (Franklin et al. 1992 : 385).

ბევრ დასავლურ დემოკრატიაში არჩევანზე ჯგუფურ განსხვავებათა ზეგავლენის კლებას თან ახლდა პარტიული იდენტიფიკაციით ინდივიდუალური პოლიტიკური ქცევის განსაზღვრის შესაძლებლობის შემცირება. ბოლო დროს რამდენიმე დასავლურ დემოკრატიაში პარტიული კუთვნილება შესუსტდა (მიმოხილვისათვის იხ. დალტონის ნაშრომი 1996), შესაბამისად, მოხდა პარტიული ნიშნით ხმის მიცემის დონის კლება და გაიზარდა მხარდაჭერის ცვალებადობის დონე, დამკვიდრდა მრავალპარტიული რეიტინგული ხმის მიცემის ბიულეტენები (split-ticket voting), თავი იჩინა მოვლენებმა, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ ამიერიდან მოქალაქეები აღარ აძლევენ ხმას პარტიული ნიშნით. პეროს ძლიერი პოზიცია 1992 აშშ საპრეზიდენტო არჩევნებზე, იაპონური პარტიული სისტემის მსხვრევა, ბერლუსკონის გამოსვლა იტალიურ პოლიტიკაში თვალსაჩინო ილუსტრაციაა იმისა, თუ რამდენად ზრდის პარტიული კავშირების როლის შესუსტება მოქალაქეთა ელექტორალური ქცევის შეცვლის შესაძლებლობებს.

გრძელვადიანი ფაქტორების (მაგალითად, სოციალური მდგომარეობის ან ჯგუფური მატერიალური ინტერესის საფუძველზე პარტიების მხარდაჭერის) მნიშვნელობის შემცირებამ უნდა გაზარდოს ელექტორალურ ქცევაზე მოკლევადიანი ფაქტორების გავლენა ისეთ ცვლადებზე, როგორცაა ასარჩევი კანდიდატის იმიჯი და მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე ამომრჩეველთა აზრი. აშკარაა, რომ ახალი “ელექტორალური წესრიგი” გულისხმობს კანდიდატის საარჩევნო პოლიტიკის ცენტრად გადაქცევას. მარტინ ვატენბერგმა (Wattenberg 1991) დასაბუთა არჩევნებში ამერიკელთა გადაწყვეტილებაზე კანდიდატის იმიჯის მხარდი ზეგავლენა. მსგავსი მონაცემები არსებობს სხვა დასავლური დემოკრატიების შესახებაც (Bean and Mugham 1989). უფრო მეტიც, დასავლურ დემოკრატიებში შეინიშნება პოლიტიკური კამპანიების პერსონალიზაციის მხარდი ტენდენცია: ფოტოკამპანიები, პერსონალიზებული ინტერვიუები, ამომრჩევლებთან კარდაკარ ჩამოვლა და კანდიდატებს შორის ტელედებატები უფრო და უფრო იღებენ სტანდარტული საარჩევნო მართონის სახეს (Kaase 1994).

გრძელვადიანი ფაქტორების გავლენის კლებამ ასევე გაზარდა მიმდინარე პრობლემების მიხედვით ხმის მიცემის ალბათობა. მარკ ფრანკლინმა (Franklin 1985) აჩვენა, თუ როგორ ჩაენაცვლა ბრიტანელ ამომრჩეველთა საარჩევნო გადაწყვეტილებებში გრძელვადიანი ფაქტორების გავ-

ლენას მიმდინარე პრობლემების მზარდი გავლენა (იხ. ასევე Baker et al. 1981: chap. 10; Eijk and Niemoeller 1983; Budge and Farlie 1983; Rose and McAllister 1986). ოდბიორნ კნუსტენმა (Knusten 1987) და სხვებმა ამ მოკლევადიანი საკითხებით დაინტერესების გავლენის ზრდა წინა პერიოდის სოციალური საზღვრების წაშლას დაუკავშირეს.<sup>7</sup> მარკ ფრანკლინმა (Franklin 1992 : 400) საარჩევნო ქცევის შედარებითი კვლევის მტკიცებათა მიმოხილვისას ყურადღება მიქაცია და მხარი დაუჭირა შემდეგ მოსაზრებას: „თუკი ამომრჩეველთათვის მნიშვნელოვანი ყოველი საკითხი გაიზომებოდა და მიეცემოდა მისი შესაბამისი წონა, „პრობლემის მიხედვით“ კენჭისყრის ზრდა მეტ-ნაკლებად გააწონასწორებდა სოციალური კონფლიქტების მნიშვნელობის შემცირებას“.

ელექტორალურ ქცევაში გადაწყვეტილებების მიღების საფუძვლებში მომხდარმა ამ ცვლილებებმა ისევე, როგორც მათთან დაკავშირებულმა ცვლილებებმა პოლიტიკური მონაწილეობის სახეებსა და პოლიტიკურ სისტემასთან ინდივიდის ურთიერთობაში მიგვიყვანა იმასთან, რასაც შეიძლება “პოლიტიკის ინდივიდუალიზაცია” დავარქვათ. ამან განაპირობა ძვრა სოციალურ ჯგუფებზე და/ან პარტიულ კარნახზე დაფუძნებული ელექტორალური გადაწყვეტილების მიღების სტილიდან უფრო ინდივიდუალიზებული და “შინაგანად ორიენტირებული” პოლიტიკური არჩევანის სტილისაკენ. იმის მაგივრად, რომ დაეყრდნონ პარტიულ ელიტებს და რეფერენტული ჯგუფების აზრს, სულ უფრო მეტი მოქალაქე ცდილობს, თავად გაერკვეს პოლიტიკის სირთულეებში და მიიღოს ინდივიდუალური გადაწყვეტილება. ვითარდება მოქალაქეობრივი გადაწყვეტილების მიღების ეკლექტიკური და ეგოცენტრული სახე. სოციალურად სტრუქტურირებული და მეტ-ნაკლებად ჰომოგენური პიროვნული კავშირების მაგიერ, თანამედროვე საზოგადოება გადაწყვეტილებათა მიღებისას უფრო ემყარება პოლიტიკურ პრეფერენციებს, ქმედებათა განსჯასა და კანდიდატთა იმიჯს.

---

<sup>7</sup> ელექტორალური ქცევის შინაარსთან დაკავშირებულ ახალ საკითხებზე მეტად საინტერესო და საყურადღებო განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. ზოგიერთი საკითხი წარმოადგენს ძველი სოციალური კონფლიქტების გაგრძელებას, ოღონდ ამჟამად ჯგუფური ბაზისის გარეშე. სხვა საკითხები გზას უხსნის ახალ პოლიტიკურ წინააღმდეგობებს განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში. კიდევ ერთი მიდგომა ამტკიცებს, რომ ამგვარი „პოზიციური საკითხები“ დაიკარგა მეცნიერთა თვალსაწიერიდან „ვალენტურ საკითხებზე“ ყურადღების გადატანის გამო. ეს უკანასკნელნი აფასებენ მთავრობის ქმედებებს ფართოდ მისაღები ამოცანების მიმართ, როგორებიცაა, მაგალითად, პარტიების განსჯა მათი შესაძლებლობის მიხედვით – ეკონომიკას წარუძღვენ თუ საგარეო პოლიტიკას. ამგვარად, დღის წესრიგში დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი პრობლემებია მნიშვნელოვანი.

ამ მიმართულებით ცვლილებებში წვლილი მიუძღვის ასევე ინდივიდსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს შორის ურთიერთობასაც. იგი წარმართავს კიდევ ცვლილებათა ამ პროცესს (Semetko et al. 1991). თანამედროვე მასმედია ამომრჩევლებს უზრუნველყოფს ინფორმაციის მრავალგვარი წყაროთი და არსებული პოლიტიკური აქტორების (მაგალითად, პარტიები, პროფესიული კავშირები, ბიზნესი) უფრო კრიტიკული ხედვით. დივერსიფიცირებული მასმედიის გარემოში ჩართვა საზოგადოებას საშუალებას აძლევს, გახედოს ინფორმაციის აქტიური **შემრჩევი** და არა ვინმეს მიერ მოწოდებული პოლიტიკური კარნახის პასიური **მომხმარებელი**. ამასთანავე, საპარლამენტო ლიდერებისა და კანდიდატების ტელევიზიით ხილვის საშუალება იწვევს იმას, რომ მეტი ყურადღება ეთმობა პოლიტიკოსის ისეთ პირად თვისებებს, როგორცაა კომპენტენცია და პატიოსნება. ამ თვალსაზრისს 1992 წელს ახალ მედია ფორუმებზე გაშლილი აშშ საპრეზიდენტო არჩევნების კამპანიაც ასაბუთებს. განვითარების იგივე ხაზი შეიძლება შევნიშნოთ სხვა დასავლურ დემოკრატიებშიც, თუმცა უფრო მოკრძალებული სახით, რადგანაც კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიები ცვლიან ინფორმაციის მიწოდების სახეებს.

პოლიტიკის ინდივიდუალიზაცია ასევე ვლინდება საზოგადოების ინტერესების მზარდ არაერთგვაროვნებაში. გარემოს დაცვის, ქალთა უფლებების, ცხოვრების სტილის არჩევის პოსტმატერიალური საკითხები დაემატა განვითარებული ინდუსტრიული დემოკრატიების აქტუალური საკითხების პროგრამებს. ამასთანავე, სქემური თეორია ამტკიცებს, რომ პოლიტიკა ადამიანებს ჯგუფური და სოციალური ნიშნით კი არ აჯგუფებს, არამედ ამა თუ იმ ჯგუფში მოქალაქეების გაერთიანება რომელიღაც პრობლემისადმი დამოკიდებულების მიხედვით ხდება. დღეს მოქალაქეთა ყურადღებას იქცევს ამწუთიერი ან პირადი ხასიათის კონკრეტული საკითხები.

განვითარებულ ინდუსტრიულ დემოკრატიებში ამ პროცესების ზეგავლენა დემოკრატიულ საარჩევნო პროცესზე ძნელად პროგნოზირებადია (Dalton 1996; Klingemann and Fuchs 1995). ამ ცვლილებებს შეუძლია გააძლიეროს ან დაასუსტოს დემოკრატიული პროცესისა და საზოგადოების პოლიტიკური ინტერესების წარმოჩენის „ხარისხი“. თანამედროვე პოლიტიკურ რწმენათა ხასიათი უჩვენებს, რომ საზოგადოებრივი აზრი ერთბაშად უფრო სწრაფად ცვალებადი და ნაკლებად გათვლადი ხდება. ეს გაურკვეველობა თუ არასტაბილურობა აიძულებს პარტიებს და კანდიდატებს უფრო მგრძნობიარენი იყვნენ საზოგადოებრივი აზრის მიმართ, ყოველ შემთხვევაში იმათი აზრის მიმართ, ვინც ხმის მიცემის უფლებას ფლობს. მიმდინარე აქტუალური საკითხებით მოტივირებული ამომრჩევლები

სულ მცირე იმას მაინც მიესალმებიან, რომ მათი ხმა გაიგონონ, თუნდაც ეს ხმა არ მიიღონ. უფრო მეტიც, პოლიტიკოსთა უნარს, იქონიონ უშუალო ურთიერთობა ამომრჩევლებთან, შეუძლია გააძლიეროს კავშირი პოლიტიკოსებსა და ხალხს შორის. რაღაც დონეზე ელექტორალური არჩევანის ინდივიდუალიზაცია აცოცხლებს ინფორმირებული დამოუკიდებელი ამომრჩევლის ძველ სახეს, რომელიც კლასიკური დემოკრატიის თეორიისთვისაა დამახასიათებელი (Popkin 1991).

ამავდროულად, ელექტორალურ პოლიტიკაში ამ ახალ ტენდენციებს პოტენციური ჩრდილოვანი მხარეც აქვს. `პრობლემისათვის ხმის მიცემის“ გავრცელება ზღუდავს საზოგადოების უნარს, ზეგავლენა მოახდინოს პოლიტიკურ პრობლემებზე, რომლებიც სცილდებიან სპეციფიკური ინტერესების ფარგლებს, ისეთებს, როგორცაა, მაგალითად, აშშ ბიუჯეტის დეფიციტი. ელიტებს, რომლებიც სხვადასხვა პრობლემატურ ჯგუფებს ემსახურებიან, შეუძლიათ ყურადღება არ მიაქციონ ელექტორალურად არააქტიურ, სამოქალაქო უფლებებს მოკლებულ პირებს. ცალკე აღებული საკითხისადმი ზედმეტად დიდმა ინტერესმა, ან უახლესი სამთავრობო ქმედებების მიმართ ზედმეტად დიდმა ყურადღებამ შეიძლება წარმოშვას რაციონალობის ვიწრო გაგება, რაც ისევე მავნეა დემოკრატიისათვის, როგორც „გაყინული“ სოციალური სხვაობები. ამასთან პირდაპირი უშუალო კონტაქტი პოლიტიკოსებსა და მოქალაქეებს შორის ქმნის შესაძლებლობას დემაგოგიისათვის და პოლიტიკური ექსტრემიზმისათვის. როგორც უკიდურესად მემარჯვენე, ისე უკიდურესად მემარცხენე პოლიტიკურ მოძრაობებს შეუძლია მოგებული დარჩეს ამ ახალ პოლიტიკურ გარემოში, ყოველ შემთხვევაში, მოკლევადიანი პერსპექტივით მაინც.

შესამჩნევ მსგავსებებს ელექტორალური არჩევანის ახლახან აღწერილ სურათთან განვითარებად დემოკრატიებშიც ვხედავთ. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პარტიული სისტემები არ ეფუძნებიან ერთმანეთისაგან დივერსიფიცირებულ სტაბილურ ჯგუფებს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი დემოკრატიზაციამ ძალიან სწრაფად იჩინა თავი ისე, როგორც ეს აღმოსავლეთ ევროპაში მოხდა.<sup>8</sup> ამ ქვეყნების ახალი ელექტორატი ასევე არ ამყდვენებს გრძელვადიან პარტიულ მხარდაჭერას, რომელსაც მათი ელექტორალური ქცევის წარმართვა შეეძლებოდა. ამგვარად, ბევრ ახალ დემოკრატიასშიც ელექტორალური არჩევანი შეიძლება ემყარებოდეს იმავე მოკ-

---

<sup>8</sup> გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდნენ ლათინური ამერიკისა და აღმოსავლეთ აზიის (ტაივანი და სამხრეთ კორეა) პარტიული სისტემები, რომელთაც, შესაძლოა, აქვთ შესაძლებლობები არსებული სოციალური დაშორიშორების ინტეგრირებისათვის, რადგანაც დემოკრატიაზე გადასვლის ეს შემთხვევები სხვაგვარად ხორციელდება (მაგ., Remmer 1991; Chu 1992).

ლევადიან ფაქტორებს \_ კანდიდატის იმიჯსა და მიმდინარე აქტუალური საკითხებისადმი დამოკიდებულებას, რომლებმაც ამ ბოლო დროს განვითარებული ინდუსტრიული დემოკრატიების ელექტორალურ პოლიტიკაში დიდი მნიშვნელობა მოიპოვეს.

თუმცა ეს მსგავსებები მხოლოდ ზედაპირულია. განვითარებული ინდუსტრიული დემოკრატიები განიცდიან ელექტორალური არჩევანის სახეების ევოლუციას, რომელიც პარტიული მხარდაჭერისა და ძველი სოციალური წყებების მსხვერვიდან, უფრო დახვეწილი ელექტორატის განვითარებიდან და რეპრეზენტაციული დემოკრატიის შეზღუდვების დამღევის მცდელობებიდან იღებს სათავეს. დასავლურ დემოკრატიებში ახალი ელექტორალური ძალები ასევე ვითარდება იმ ელექტორალურ ჯგუფებში, რომლებშიც ტრადიციული ჯგუფურ ინტერესებზე დაფუძნებული და პარტიული კუთვნილების ფაქტორები ჯერ კიდევ ფლობენ მნიშვნელოვან, მაგრამ შესუსტების ტენდენციის მქონე გავლენას.

აღმოსავლეთ ევროპისა და აღმოსავლეთ აზიის დემოკრატიული პარტიული სისტემები დგანან ელექტორალური არჩევანის საბაზისო სტრუქტურის განვითარების ამოცანის წინაშე \_ ესაა პოლიტიკური ჩარჩოები, რომლებიც ლიპსეტმა და როკანმა ისტორიულად შეისწავლეს დასავლეთის მაგალითზე. ეს იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას ამ პროცესის მეცნიერული შესწავლისთვის: თუ როგორ მკვიდრდებიან ახალი პარტიული კუთვნილებანი; როგორ ყალიბდება ურთიერთობები სოციალურ ჯგუფებსა და პარტიებს შორის; როგორ იქმნება პარტიული იმიჯები; როგორ გადაეცემა ეს იმიჯები ახალ ამომრჩევლებს და თუ როგორ სწავლობენ მოქალაქეები ელექტორალური არჩევანისა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის პროცესს. ლიპსეტ-როკანის მეტად აღიარებულ და ანგარიშგასაწევ თეორიულ ნაშრომს შეუძლია შექმნას საწყისი პოზიცია ამ კვლევის განსახორციელებლად, ხოლო მიჩიგანის პარტიული იდენტიფიკაციის მოდელს შეუძლია მოგვცეს თეორიული ჩარჩო იმის გამოსაკვლევად, თუ როგორ უნდა ხდებოდეს პარტიული იდენტობების ჩამოყალიბება. თუმცა გლობალური ტელევიზიის, ელექტორალური პოლიტიკის გაცილებით დიდი ცოდნის (ელიტური და საზოგადო დონეებიდან) და საფუძვლიანად განსხვავებული ელექტორატების სამყაროში პარტიული სისტემების ფორმირების საკითხების კვლევა არ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ნიმუშად 1920-ანი წლების დასავლეთ ევროპის სახე ავიღოთ.

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა პარტიული კუთვნილებისა და ელექტორალური ცვლილებების ამ პროცესებზე დინამიკურ ხედვას ითხოვს. ასე მალე იმის განსაზღვრა, თუ როგორ უპასუხებდნენ პოლიტიკის მკვლევრები ამ გამოწვევებს, ნაადრევია. ამ ახალ დემოკრატიებში უკვე ამ-

კარაა კვლევის ემპირიული ბაზის შთამბეჭდავი განვითარება. ესაა განვითარების პროცესი, რომელსაც ზოგიერთ დასავლურ დემოკრატიაში ათწლეულები დასჭირდა, აღმოსავლეთ ევროპიდან და აღმოსავლეთ აზიიდან წამოსული საინტერესო კვლევების ნაკადი აღფრთოვანებას იწვევს. თუმცა ჭეშმარიტი გამოცდა ისაა, რამდენად შეძლებენ მკვლევრები საკითხთა ამ ფართო სპექტრზე ფოკუსირებას, თუ ისინი უბრალოდ დასავლეთის ძველი თაობის მკვლევართა ცოდნის გადამუშავებას დაიწყებენ.

#### 4. დასკვნა

ჩვენ, როგორც პოლიტიკის მკვლევრებს, ჩვენი ცხოვრების უქველად ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების პერიოდში მოგვიხდა მოღვაწეობა: საბჭოთა იმპერიის დანგრევა და დემოკრატიზაციის გლობარული ტალღა ეს არის დასკვნა, რომელიც გამოძახილს პოულობს ამ ნაშრომის ყველა თავში, ეს მოვლენები ეხება სამოქალაქო პოლიტიკის ხასიათის და პოლიტიკური პროცესის ყველაზე ბაზისური საკითხების ძირითად ბირთვს. ჩვეულებრივ, ჩვენ ვიკვლევთ მყარად გაწონასწორებული დემოკრატიულ სისტემებს და ვსპეკულირებთ საკითხებზე, თუ როგორ შეიქმნა ეს წონასწორობა (ან როგორ ხდება მისი თუნდაც უმნიშვნელო ცვლილება). უფრო მეტიც, დემოკრატიაზე გადასვლის ადრეული ტალღების განმავლობაში ემპირიული სოციალური მეცნიერების კვლევითი ხერხები არ იყო ხელმისაწვდომი უშუალოდ პოლიტიკური ქცევის შესასწავლად. დემოკრატიზაციის მიმდინარე ტალღა გვაძლევს ფაქტობრივად უნიკალურ შესაძლებლობას, მივმართოთ ყურადღება იდენტობების ფორმირებისაკენ, პოლიტიკური კულტურების შექმნისაკენ (და შესაძლოა, იმისკენ, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს კულტურული მემკვიდრეობა), ხმის მიცემის პირველადი ათვლის დამკვიდრებისაკენ და იმ დინამიური პროცესებისაკენ, რომლებიც ერთმანეთს უკავშირებენ პოლიტიკურ ნორმებსა და ქცევას. პასუხები ამ კითხვებზე არა მარტო ახსნის, თუ რამ იჩინა თავი დემოკრატიზაციის ამ ტალღის პერიოდში, არამედ დაგვეხმარება საბაზისო პრინციპების გაგებაშიც, თუ როგორ იქცევიან მოქალაქეები დემოკრატიულ პროცესში.

# ლორენს უაიტჰედი. შედარებითი პოლიტიკა: დემოკრატიზაციის კვლევები

## 1. შესავალი

ეს თავი სხვადასხვა ეროვნული პოლიტიკური პროცესების, სტრუქტურებისა და სისტემების შედარებას ეხება. კონკრეტულად შევადარებთ ავტორიტარული რეჟიმების დინამიკას. ასევე შევხებით ასეთი რეჟიმების მხრიდან საზოგადოებაზე კონტროლის დაკარგვის გამოძწევი პროცესების, ავტორიტარული მართვის ფორმებიდან გადასვლისა და დემოკრატიული რეჟიმების შესაძლო დაფუძნებისა და კონსოლიდაციის საკითხებს სხვადასხვა ეროვნული შემთხვევის შედარების საფუძველზე. პოლიტიკის ამ თემების კვლევას ხანგრძლივი ისტორია აქვს, რადგანაც ეს პრობლემატიკა განიხილებოდა ლათინურ ამერიკასთან მიმართებაში. თუმცა, რაღა თქმა უნდა, ეს საკითხები სცილდება რეგიონალური ინტერესის საზღვრებს. სამხრეთი და აღმოსავლეთი ევროპის თანამედროვე პოლიტიკის კვლევებში მათ ცენტრალური ადგილი უკავიათ. აღნიშნული თემების მიმართ მზარდ ინტერესს იჩენენ საჰარის სამხრეთით აფრიკის, აზიის სხვადასხვა რეგიონებისა და ყოფილი კომუნისტური ქვეყნების მკვლევარებიც. მთლიანობაში შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამგვარი „რეჟიმების ცვლის“ შედარებითი ანალიზი პოლიტიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთი ძირითადი საკვლევი სფერო იყო გასული ათწლეულის მანძილზე. მეცნიერებმა შემოგვთავაზეს პოლიტიკური პროცესების ანალიზის ორგანიზების ხერხი ერთმანეთისაგან განსხვავებულ ქვეყნების ფართო სპექტრში. ეს ქვეყნები სშირად ახლადჩამოყალიბებულია, ჩვეულებრივ, ღარიბია და არასტაბილური. რომ არა დემოკრატიზაციის კვლევები, ისინი სხვაგვარად არც კი მოექცეოდნენ პოლიტიკური მეცნიერების რომელიმე დისციპლინის ყურადღების ცენტრში, რომლებიც, ჩვეულებრივ, ძველი, მდიდარი და სტაბილური ქვეყნებით ინტერესდებიან.

თანამედროვე მსოფლიოში მიდინარე დემოკრატიზაციის მასშტაბური და სიღრმისეული პროცესების ფონზე პოლიტიკური მეცნიერება, რომელიც არ შემოგვთავაზებს სისტემატიზირებულ და კარგად დასაბუთებულ მიდგომას ამ რეალობის ასახსნელად, კვლევათა არსებითი ამოც-

ანებისგან განზე გამდგარი აღმოჩნდება. მაგრამ ჩვენი შესაძლებლობები, ჩამოვყალიბოთ ძლიერი, წინასწარხედვის პოტენციალის მქონე თეორია, სუსტია. ავტორიტარული კაპიტალისტური მართვიდან დემოკრატიზაცია გადასვლის თემატიკაზე ათწლიანი მუშაობის მიუხედავად, ჩვენი დისციპლინა მზად არ აღმოჩნდა ეწინასწარმეტყველა ან თუნდაც განეჭვრიტა დემოკრატიზაციის ტალღა, რომელმაც 1989 წლის შემდეგ ყოფილ საბჭოთა ბლოკს გადაუარა; დიდი ალბათობით არც იმის განჭვრეტა შეგვიძლია, თუ როდის და როგორ მიყვებიან დარჩენილი კომუნისტური ქვეყნები (ჩინეთი, კუბა, კორეა, ვიეტნამი) წარმავალ რეჟიმთა რიგს. თვით ჩვენ მიერ გამოყენებული ძირითადი ტერმინოლოგიაც – „მსხვერვა“, „ლიბერალიზაცია“, „გადასვლა“, „კონსოლიდაცია“ და თავად „დემოკრატიაც“ – თვისობრივად გაურკვეველია. ეს ტერმინოლოგია გახსნილია ერთზე მეტი განსაზღვრებისთვის და მგრძობიარეა შერჩევითი მნიშვნელობების მიმართ (გაიხსენეთ, როგორ ცდილობდა რეიგანის ადმინისტრაცია დიფერენციალურად გამოეყენებინა ეს იარაღი ცენტრალური ამერიკის რეჟიმების წინააღმდეგ). რა თქმა უნდა, ეს ტერმინოლოგია განსხვავებულ სიტუაციებში გამოიყენება და აუცილებლად წარმოიქმნება ცნებათა აზრობრივი ვარიაციები, რომლებიც, გარკვეულწილად, დამოკიდებულია კონტექსტზე.

## 2. ვისთვისაა იგი საჭირო?

შედარებითი პოლიტიკის კვლევათა საერთო კონტექსტში დემოკრატიზაციის შესახებ ლიტერატურის ადგილის განსაზღვრისათვის ამ თავში დასმულია სამი კითხვა: „ვისთვისაა იგი საჭირო?“, „რა არის ეს?“ და „როგორ უნდა გაკეთდეს ეს?“ მოწინავე სტატიაში, რომელიც ჟურნალის – „Comparative Politics“ – პირველ ნომერში დაიბეჭდა, ჰაროლდ ლასუელმა აღნიშნა, რომ ინტერესი შედარებითი ცოდნისადმი იმპულსურ კლება-მატებას განიცდის. ლასუელმა, წერდა რა ამერიკული პოლიტიკური მეცნიერების თვალსაწიერიდან გამომდინარე, სამი მაგალითი გამოყო, რომელთაგან თითოეული ნაწილობრივ ეხებოდა აშშ-ის ჩარევას საერთაშორისო კონფლიქტებში. ესპანეთ-ამერიკის ომმა ბიძგი მისცა მსოფლიო პოლიტიკისა და კოლონიალიზმის შედარებით კვლევას; პირველმა მსოფლიო ომმა და ბოლშევიკურმა რევოლუციამ გააღრმავა `ევროპაცენტრულ` სამყაროზე ფოკუსირებული რეგიონალური კვლევები; მეორე მსოფლიო ომმა, ცივი ომის დაწყებამ და დეკოლონიზაციამ კი სათავე დაუდო გამოკვლევებისა და მეცნიერული სრულყოფის პროგრამებს. ჰა-

როლდ ლასუელი ასკვნიდა: „მოთხოვნილება შედარებით ინფორმაციაზე მომდინარეობს პოლიტიკური ელიტებისაგან, რომლებიც იმედოვნებენ, რომ მათი მდგომარეობა განმტკიცდება მათ მიერ მიღებული პოლიტიკური ინფორმაციის ტერიტორიული საზღვრების გაფართოებით. ამასთანავე, პოლიტიკის ზოგიერთი მკვლევარი შედარებით კვლევებში ცოდნის გაფართოებისა და კოლეგათა თვალში საკუთარი ავტორიტეტის გაღრმავების საშუალებას ხედავდა (Lasswell 1968 : 3).

ლასუელი გასცდა აშშ-ის გამოცდილების ფარგლებს, კვლევის უფრო ფართო ასპარეზზე გავიდა და თქვა, რომ ცივილიზებული იმპერიები (როგორც აღმავლობის, ისე შედარებითი დაცემის ფაზებში) ხელს უწყობენ კვლევებს შედარებით სახელმწიფო მმართველობაში. იგივე შეიძლება ითქვას საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ. მაგალითად, მსოფლიო ვაჭრობაში ჩართული ფირმები ან მისიონერული ორგანიზაციები ასევე განწყობილნი არიან, მხარი დაუჭირონ სისტემატურ შედარებით ანალიზს. პოლიტიკური ინსტიტუტების შედარებით კვლევებს უპირატესობას ანიჭებდნენ რევოლუციურად განწყობილი კონტრელიტებიც. თუმცა ლასუელს აინტერესებდა, თუ რამდენად შეუწყობდა ხელს შედარებითი კვლევებისადმი ინტერესის ზრდა, რომელიც ელიტათა პრაგმატული მოსაზრებებით იყო გამოწვეული, პოლიტიკური ცოდნის მდგრადი სივრცითი და დროითი განზომილების ჩამოყალიბებას. ნუთუ „ჩვენი უმრავლესობა დაუბრუნდება ამერიკული პოლიტიკის შესწავლას ახალ სამყაროებში მცირეოდენი „მოგზაურობის“ შემდეგ?“ (Lasswell 1968 : 5). ლასუელის დასკვნა შედარებითი პოლიტიკის მომავლის შესახებ იმედისმომცემი იყო. მას სწამდა, რომ ჩვენი დისციპლინის „ბაზისური ცოდნა“ შეცვალა „ბიჰევიორალისტულმა რევოლუციამ“ იმგვარად, რომ სულ უფრო მეტია მოთხოვნა თეორიაზე, რომელიც მეცნიერულ მეთოდებსა და მონაცემთა შეკრებაზე დაფუძნებულ შედარებით ანალიზს ემყარება. ამასთანავე ლასუელი აღიარებდა, რომ ყოველივე ამან მოგვიანებით არცთუ საიმედო შედეგები გამოიღო. ამის მიზეზად მეცნიერი მიიჩნევდა შედარებით მეთოდს, რომელიც ნაკლებად ითვალისწინებდა კონტექსტს და რომელსაც არ ჰქონდა მკაფიოდ ფორმულირებული პრობლემები და მკაცრი ტექნიკა – ერთი სიტყვით, არასაკმარისად იყო ჩამოყალიბებული (Lasswell 1968: 6).

მეოთხედი საუკუნის შემდეგ ლასუელისეული დიაგნოზის ზოგიერთი ასპექტი ჰგავს გამოძახილს სხვა სამყაროდან. თუმცა ორ ძირითად თემაზე მაინც ღირს ყურადღების შეჩერება: „ვისთვის არის საჭირო შედარებითი პოლიტიკა?“ და „როგორ უნდა გაკეთდეს იგი?“ რა თქმა უნდა, ეს ორი საკითხი მჭიდროდაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული. თუ გვსურს ჩავ-

წვდეთ, რამდენად ადასტურებს თავის სიცოცხლისუნარიანობას აქტიურობის ეს მოულოდნელი, უახლესი „ამოფრქვევა“ კომპარატივისტიკის სფეროში, უნდა განვიხილოთ საკითხები „ვისთვის?“ და „როგორ?“ თუკი გავაშუქებთ საკითხს `ვისთვის?`, ცხადია, შეიძლება გავიკვლიოთ გზა ჩვენი მოქმედებების განსასჯელად საჭირო მეთოდებისა და კრიტერიუმებისაკენ (მაგალითად, ლასუელის იმპერიული ელიტებისა და რევოლუციური კონტრელიტების საპირისპიროდ, ჩვენი ცოდნის ბევრი მომხმარებელი, შესაძლოა, უფრო მეტად კეთილგანწყობილი იყოს იმ ანგარიშების მიმართ, რომელთაც ნაკლები წინასწარმეტყველური ძალა აქვთ, თუმცა შეიძლება ისინი უფრო მომთხოვნი იყვნენ ამ ცოდნის კონტექსტის აღქმის უნარიანობის მიმართ).

მოთხოვნილება, ინტელექტუალურად ახსნას იმგვარი თანამედროვე პროცესები, როგორცაა ავტორიტარული მართვის ფორმებიდან დემოკრატიაზე გადასვლა ან სუსტი დემოკრატიების კონსოლიდაცია (იმთავითვე Kშედარებითი კვლევების თემები), ახლა იმდენად ძლიერია და გავრცელებული, რომ პოლიტიკის ზოგიერთ მკვლევარს მისთვის ანგარიშის გაწევა უწევს.

დემოკრატიზაციის შედარებითი პოლიტიკური კვლევის ამ თანამედროვე მოთხოვნას რამდენიმე სათავე აქვს. ბრიტანელი მკვლევრების ადრეული ინტერესები დეკოლონიზაციის პროცესში `ვესტმინსტერული სისტემის` გადანერგვის იმედების ირგვლივ განვითარდა. ეს ინტერესი სწრაფად გაქრა, როგორც ყველა სხვა მსგავსი მცდელობა, რომელთა უსაფუძვლობაც მალე გამოიქვლია. ინტერესი ისევ განახლდა 1970-იანი წლებიდან, როდესაც აღმოცენება იწყეს ახალმა დემოკრატიებმა ჯერ სამხრეთ ევროპაში, მოგვიანებით, 1980-იან წლებში, ლათინურ ამერიკასა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში, შემდეგ კი პოსტსბჭოთა სივრცეში და საპარის სამხრეთით აფრიკის ერთპარტიულ სახელმწიფოებში. წამყვანი დასავლური სახელმწიფოების ელიტებს უეჭველად ჰქონდათ წარმოდგენა ამ თემაზე. ისინი უფროთხოდნენ (კისინჯერის მსგავსად), რომ ეს პროცესები გამოიწვევდა მსოფლიო წესრიგის იდეის ჩაშლას, ან იმედოვნებდნენ (ბრანტის ან კარტერის მსგავსად), რომ ეს ცვლილებები განავითარებდა ხსენებულ იდეას. თუმცა მთლიანობაში დასავლურ ხელისუფლებებს არ გამოუჩენიათ დიდი ძალისხმევა და არ დაუწყიათ ახლებური ანალიტიკური ხედვის ძიება, ვიდრე ძალზე გვიან არ აღმოჩნდა.

ამის საპირისპიროდ, ესპანურენოვან ქვეყნებში აქტივისტებმაც და ანალიტიკოსებმაც ამ საკითხს ყურადღება მიაპყრეს ჯერ კიდევ მანამ, სანამ ცხადი გახდებოდა მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. თუკი შესაძლებელი იყო, რომ ისეთი „ტოტემური“ რეჟიმები, როგორც სალაზარისა

(პორტუგალია) და ფრანკოს (ესპანეთი) დიქტატურებია, შეცვლილიყო მეტ-ნაკლებად სტაბილური და ქმედითი ლიბერალური დემოკრატიებით, რა თქმა უნდა, ლათინური ამერიკის მმართველ ელიტებსა თუ განათლებულ კლასებს სჭირდებოდათ იმის ცოდნა, თუ როგორ შეძლო ამ განსაცვიფრებელმა მოვლენებმა მათ პოლიტიკურ გარემოში შეჭრა. ახალი კომპარატივისტული ხედვების მოთხოვნა `სამხრეთულ` პოლიტიკურ ერთობებს მეტად ჰქონდათ, ვიდრე `ჩრდილოეთის` პოლიტიკურ ელიტებს. თანამედროვე პერიოდში აღმოსავლეთ ევროპის და სამხრეთ აფრიკის ახლად აღმოცენებულმა პოლიტიკურმა ერთობებმა კიდევ უფრო გააფართოვეს და გააღრმავეს აღნიშნულ მოთხოვნათა წყაროები. რა თქმა უნდა, `ჩრდილოეთის` მოთხოვნა შედარებით კვლევებზე ასევე სწრაფად გაიზარდა, მაგრამ მეტწილად ეს `სამხრეთელთა` მწვავე მოთხოვნებით იყო განპირობებული.

სულ სხვაა, შექმნა კომპარატივისტული ცოდნა ამ ახალი მომხმარებლისთვის და ეს არ ჰგავს იმპერიული ტიპის ელიტებისთვის იმავე სამსახურის გაწევას. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ კონტრასტს ქმნის სტილიზებული ფორმა, რომელიც რეალობას აუცილებლად აზვიადებს. ყველაზე თვალში საცემი განსხვავება ისაა, რომ შედარება თავის თავს თითქოს ერთგვარ ლინგვისტურ უფლებამოსილებას ანიჭებს როგორც ესპანურში, ასევე ინგლისურში. ეს ქმნის ისეთ განსაცვიფრებელ ნეოლოგიზმებს, როგორცაა, მაგალითად Democradura (შედგება სიტყვებისგან Democracia და Dictadura) ან Dictablanda (რომელიც ხისტ დემოკრატიაზე, რბილ დიქტატურაზე მიუთითებს). უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ეს პროცესი ხელს უწყობს იდეების საგრძნობ გაცვლას, შეიძლება ითქვას, ქმნის ერთგვარ სინკრეტიზმს ერთმანეთისგან განსხვავებულ ლინგვისტურ ერთობებს შორის, რომელთაგან თითოეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი და მდიდარი პოლიტიკური თეორიისა და პრაქტიკის ტრადიცია (მაგალითად, „სახელმწიფო“, „სამოქალაქო საზოგადოება“ და „კანონის უზენაესობა“ საკვანძო ლიბერალური კატეგორიებს ძლიერი, მაგრამ გარკვეულწილად განსხვავებული, რეზონანსი აქვს ორთაგან თითოეულ ერთობაში).

ამასთანავე არსებობს კონტრასტი იმპერიულ ელიტებსა და ნაჩქარევად შექმნილ პოლიტიკურ ერთობებს შორის. იმპერიულ ელიტები აკონტროლებენ მაღალი კონცენტრაციის სახელმწიფო ძალაუფლებას, მიჩვეულნი არიან თავიანთი ნების ზეწოლით განხორციელებას მაშინ და მყარად იცავენ თავიანთი ქვეყნის მოსახლეობას გარე საფრთხისგან, ნაჩქარევად შექმნილი პოლიტიკური ერთობები კი მხოლოდ ნაწილობრივ აკონტროლებენ სახელმწიფო ძალაუფლების საკმაოდ სუსტ ინსტრუმენ-

ტებს და აცნობიერებენ საკუთარ დაუცველობას გარეშე ჩარევის შემთხვევაში. პირველი ტიპის მომხმარებელს შეუძლია, მოითხოვოს მეცნიერულად დასაბუთებული აღმოჩენები პროგნოზის ძლიერი შესაძლებლობებით, რომლებიც წაადგება პრაქტიკულ ქმედებებს და არ წამოჭრის ბევრ უხერხულ ნორმატიულ დილემას. მეორე ტიპის მომხმარებელი, სხვა მხრივ, შეიძლება უფრო შემწყნარებელი იყოს გაურკვეველობისადმი და ნაკლებად მომთხოვნი მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკური რეკომენდაციების მიმართ. ორივე განწყობა იმის მაჩვენებელია, რომ ამ კატეგორიის მომხმარებლები ითვალისწინებენ გაურკვეველობისა და მოულოდნელობების საკუთარ გამოცდილებასა და ძალაუფლებრივ შეზღუდულობას. მათ ასევე უწევთ მეთოდოლოგიური პოზიტივიზმის ამორალურ და, შესაძლოა, არადემოკრატიული სტილის პოლიტიკასთან (“ძალის პოლიტიკის”) შეთანხმება. ანალიზის უფრო **ინტერპრეტაციული**, ვიდრე **ახსნითი** სტილი შეიძლება შეთანხმდეს „ხალხის აზრის მოსმენის“ პარტიციპატორულ პრაქტიკასთან.

არსებობს მესამე (უმნიშვნელო) განსხვავება ძლიერ, ჰომოგენურ, თავდაჯერებულ პოლიტიკურ ერთობასა და სუსტ, ჰეტეროგენურ პოლიტიკურ ერთობათა კრებულს შორის, განსაკუთრებით მაშინ, თუკი შედარება ძალზე კატეგორიული და “ობიექტურია”. პირველ შემთხვევაში, მოქალაქეთა მხოლოდ მცირე ნაწილი თუ მსჯელობს აღმფოთებით შიდაპოლიტიკურ წყობაზე, მეორე შემთხვევაში მოქალაქეები შეიძლება იოლად მოიცვას დაუცველობისა და არასრულფასოვნების გრძნობამ. პირველ შემთხვევაში, არსებული პოლიტიკური ინსტიტუტები და პრაქტიკები, საერთაშორისო კონტექსტის გათვალისწინებით, შეიძლება მეტ-ნაკლებად სასურველად ან მარგინალურად მივიჩნიოთ. მეორე შემთხვევაში, საიდანმე შემოთავაზებულმა ან საკუთარმა გამოცდილებამ შეიძლება ბიძგი მისცეს გარდაქმნებს, რადგან ამ ქვეყნებში ნებისმიერი პოლიტიკური პრინციპი (არა მხოლოდ სპეციფიკური, არამედ ფუძემდებლურიც) პირობითია და საჯარო დისკუსია არ გამოდგება ცვლილებების საიმედო საფუძვლად.

### 3. რა არის დემოკრატიზაცია?

ზემოთ განხილული პარალელები გვხმარება იმ ორი ძირითადი განსხვავების ახსნაში, რომელიც დემოკრატიზაციის თანამედროვე შედარებით ლიტერატურას კომპარატივისტიკის უფრო ადრეული კვლევებისაგან განასხვავებს. განსხვავება შემდეგში მდგომარეობს: 1) უფრო მეტი

რელატივიზმი; @2) ნორმატიულ დილემებთან უფრო ღია კავშირი. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს თვისობრივ სხვაობასთან და, გამარტივების მიზნებიდან გამომდინარე, ამ სხვაობების კვალდაკვალ სინამდვილის დამახინჯებასთან.

რელატივიზმთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ლიტერატურა გარდამავალი პერიოდების შესახებ, ჩვეულებრივ, მეტ-ნაკლებად „თანაბარ“ პირობებში მყოფ ქვეყნებს ადარებს. ეს იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება, რომელიმე კერძო შემთხვევა წამყვანი შემთხვევის უბრალო გამოძახილად ან კონტრასტად განვიხილოთ. ნებისმიერი ცალკეული სახელმწიფო შესაბამის განხილვას და თანაბარ მიდგომას მოითხოვს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კვლევა მართლაც შედარებითი უნდა იყოს. ასე რომ, თუკი მოსაზრება მოქცეულია ქვეყანა B-ის ჩარჩოებში და მიმართულია ქვეყანა A-ზე, მაშინ კვლევა გამოყოფს კონტრამოსაზრებებს, რომლებიც მოითხოვს შესაბამის გააზრებას (მაგალითად, არგენტინის, ჩილესა და ურუგვაის ხელისუფლებები შეიძლება გამოდგეს მოქალაქეებისა და სამხედროების სპეციფიკური ურთიერთობების შესასწავლად. ამ შემთხვევაში, თითოეულ ქვეყანასთან შესადარებლად შეიძლება მოიძებნოს სხვა ქვეყნის მაგალითი საპირისპირო მტკიცებულებებით). მართლაც, ამ სახის კომპარატივისტულ კვლევას თითოეული შემთხვევის შედარებით „სრული“ ინტერპრეტაცია სჭირდება. ეს იმთავითვე ამხელს კონკრეტული სიტუაციის ნიუანსებისადმი ზერელე ან ზედმეტად სქემატურ დამოკიდებულებას და გზას უღობავს ძნელად ასახსნელი პროცესების საყოველთაოდ მიღებულ, მაგრამ შეუსაბამო ფარგლებში მოქცევას. ყოველი საკვლევი შემთხვევის `სრული` ან კონტექსტუალურად სრულყოფილი ინტერპრეტაცია, თავის მხრივ, განსაზღვრავს კონცეპტუალური მეთოდების შემუშავების პროცესს შესაბამის მტკიცებულებათა შესაფასებლად. თუკი ძლიერ და დაცულ პოლიტიკურ სისტემაში მონაცემთა შეკრება და ჰიპოთეზის აპრობაცია შეიძლება საკმაოდ პირდაპირ და იოლ მეთოდად მოგვეჩვენოს, დაუცველ და დიფერენცირებულ პოლიტიკურ ერთობებში, რომლებიც ზედმეტად მგრძობიარენი არიან თავიანთი შინაგანი ჰარმონიის მიმართ, იმავე მეთოდების კომპარატივისტულ გამოკვლევებთან მისადაგება ბევრ ეჭვსა და გაურკვევლობას ბადებს.

ამის მიზეზი ისაა, რომ ამგვარი შედარებებს უეჭველად აქვთ ნორმატიული დატვირთვა. აბრაჰამ ლოუენთალმა წინასიტყვაობაში თავისი გამოკვლევისთვის გადასვლა ავტორიტარიზმიდან (Transitions from Authoritarian Rule) გამოთქვა მოსაზრება, რომ ძირითადი კვლევითი პროექტები `აშკარა მიკერძოებას იჩენენ დემოკრატიის მიმართ`. მან ეს დაახასიათა, როგორც სავარჯიშო `ჩანაფიქრის` განსახორციელებლად

(O'Donnell et al. 1986: x). ფაქტსა და შეფასებას შორის არსებული სხვაობის მსგავსი გაცნობიერებული დაკავშირება წინ წამოსწევს მოსაზრებას, რომ დემოკრატიზაციის შედარებითი კვლევა უფრო ახლოსაა სოციალური მეცნიერებების სპექტრის ჰუმანიტარულ სფეროსთან.

ამგვარი ნორმატიული დატვირთვა არც მხოლოდ იმის ასახვაა, თუ რომელ ღირებულებებს ანიჭებს მკვლევარი უპირატესობას, არც მოცემული კვლევის იმპლიციტური შინაარსია, ის ჩართულია კვლევის ერთიან ქსოვილში. ამ მჭიდრო კავშირის საილუსტრაციოდ, საკმარისია ზერელედ მიმოვიხილოთ თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა მოსაზრებები. ფრანკოს რეჟიმის უკომპრომიზობის პირისპირ აღმოჩენილ არაერთ ესპანელ დემოკრატს სჯეროდა, რომ ისინი `დემოკრატიული გარღვევისათვის` იღვწოდნენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ სწამდათ, რომ ქვემოდან დაწყებული მასობრივი მობილიზაცია შესაძლებელს გახდიდა დემოკრატიის ხელახლა მოპოვებას. თეორიულმა გააზრებამ და კომპარატივისტულმა კვლევამ სათავე დაუდო თვალსაზრისს, რომ იმავე (თუმცა იყო კი ეს ზუსტად იგივე?) მიზნის მისაღწევად უფრო მეტად ეფექტური ალტერნატიული გზაც არსებობდა. ამ მოსაზრების თანახმად, ელიტათაშორისი ინტერაქტიული დიალოგი დემოკრატიაზე გადასვლას უკეთ უზრუნველყოფდა. ამგვარი დიალოგის პროცესში ძველი რეჟიმის მნიშვნელოვანი ელემენტები ხელახალ სტარტს აიღებდნენ და ანტიდიქტატორული ოპოზიცია თავის რადიკალიზმს დაკარგავდა. ასეთი მიდგომა ნაყოფიერი აღმოჩნდა, ეს თვალსაზრისი ერთდოულად ეფექტური რეკომენდაციაც იყო და ძლიერი იარაღიც ცვლილებათა გამომწვევი ზოგიერთი ჯგუფის ქმედითუნარიანობის აღიარებისა და ზოგიერთი ჯგუფისათვის ამ თვისების ჩამორთმევის საქმეში. ამან განაპირობა კონკრეტული `თამაშის წესების` ლეგიტიმიზაცია, რაც საფუძვლად დაედო ესპანური დემოკრატიის ფუძემდებლურ პრინციპებს, `თამაშის სხვა წესები` კი აღმოიფხვრა. ამ პროცესმა, რომელიც წარმატებული აღმოჩნდა ესპანეთისთვის, გავლენა იქონია სხვა ქვეყნებზეც და მის მიმართ თეორიული ინტერესიც გაიზარდა. ზემოთ მოყვანილ მსჯელობაში ფაქტის გამიჯვნა შეფასებისაგან უმადური საქმე იქნებოდა.

თუკი ადრე სხვაგვარი პარადიგმა იყო გაბატონებული, დემოკრატიზაციის შემდგომი კომპარატივისტული კვლევა სამხრეთ ამერიკაში ამტკიცებდა პარტიების ავტონომიურობას და რეჟიმის ცვლილების პროცესში არა საერთაშორისო, არამედ შიდაპოლიტიკური ფაქტორების უპირატესობას. პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს არგუმენტები კვლავ ეფექტური აღმოჩნდა. ისინი ამტკიცებდნენ აქტორთა გარკვეული ტიპების ქმედითუნარიანობას მაშინ, როცა სხვა ჯგუფებს ამგვარი თვისება არ

ჰქონდათ. ამან, შესაძლოა, ხელი შეუწყო ახლებური დისკურსის ლეგიტიმიზაციას. როგორც უკვე ვთქვით, ანალიზის ნორმატიული შინაარსი გადაჯაჭვულია მის ანალიტიკურ სტრუქტურასთან, რომლის ძალაც მომდინარეობს როგორც პოლიტიკური პროცესის წამყვანი ტენდენციების ზუსტი ასახვიდან, ასევე მისი უშუალოდ მეცნიერული და მეთოდოლოგიური სანდოობიდან. ასეთივეა საქმის ვითარება შედარებითი კვლევების სხვა უფრო კრიტიკულ მიდგომაში (რომელიც უფრო საზოგადოების დემოკრატიზაციასა და ფოკუსირებულ, ვიდრე პოლიტიკურ რეჟიმებზე და რომელიც მონაწილეობას უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და შესაბამისად სოციალურ რედისტრიბუციას ინსტიტუციურ რეფორმებზე მაღლა აყენებს), ისევე როგორც მის ნორმატიულ ორიენტაციასა, ანალიტიკურ სიცხადესა თუ მონაცემთა საფუძვლებთან მიმართებაში.

რელატივიზმისა და ნორმატიული საქმიანობის კომბინაცია გვეხმარება თავიდან ავიცილოთ მისი ახალ მიმართველთა იდეოლოგიად გადაქცევა. ამ განსაკუთრებული პროცესების დაწყებისთანავე ყველა ითხოვს თანაბარ ყურადღებას და აქედან მოყოლებული კვლევის უმეტესი ნაწილის შედეგები ღიადაა დატოვებული, კავშირი უფრო დილემებთან ჩანს, ვიდრე ნათლად ჩამოყალიბებული პრობლემის გადაწყვეტასთან.

არის თუ არა ამგვარი რელატივიზმი და ნორმატიული კავშირი შედარებით პოლიტიკაში ზოგადი მუშაობის სასურველი მახასიათებლები, ეს ცალკე მსჯელობის საგანია. ამ კონკრეტული მიმართულებით კვლევამ ყურადღება უნდა გაამახვილოს შემდეგ ასპექტზე: როდესაც დიდია მოთხოვნა კომპარატივისტულ ინტერპრეტაციაზე, მოქმედებათა საჭირო კრიტერიუმები მეცნიერული სიზუსტის სახით შედარებით დაბალია. იმგვარ თვისობრივ მაჩვენებლებზე, როგორიცაა „სიღრმისეული წვდომა“, „განსჯა“, „დამაჯერებლობა“ (კატეგორიები, რომლებსაც კლასიკურ განათლებას ვუკავშირებთ), ისეთივე მოთხოვნილებაა, როგორც დეფინიციათა სიზუსტეზე, ფორმალურ მტკიცებულებებსა და ძლიერ პროგნოსტიკურ უნარზე („მეცნიერული“ შრომის ტრადიციული კრიტერიუმებზე). ამკარაა, რომ ეს გაყინული დაპირისპირება ყალბ დილემას წარმოადგენს. ზოგადად, პროცედურებმა უნდა შეგვარჩევინონ მეთოდები, რომლებიც შედარებით ზოგადი ახსნების ობიექტური დადასტურების მიღწევის საშუალებას მოგვცემს, მაგრამ ჩვენთვის ხელმისაწვდომი მეთოდების ბალანსი ჩვენს ხელთ არსებული ამოცანების შესაბამისად შეიცვლება.

თუკი ეს ასეა, მაშინ „დემოკრატიზაციის“ შესწავლას შეიძლება, სულ ცოტა, კომპარატივისტული ინტერპრეტაციული ოსტატობა დასჭირდეს ისევე, როგორც ლოგიკურ-დედუქციური სიცხადე, ვთქვათ, თამაშის თეორეტიკოსისა. როგორც ლასუელი აღნიშნავს, „იმისათვის, რომ

ადმოვაჩინოთ შესასწავლი, პრინციპული მსგავსებები და განსხვავებები, სრულ კონტექსტს განუწყვეტლივ სკულპულოზურად უნდა დავაკვირდეთ... (და) დავაკვირების ტექნიკა მრავალმხრივი უნდა იყოს“ (Lasswell 1968: 6,14). მე დავამატებდი, რომ გასაანალიზირებელი პოლიტიკური პროცესების მიმართ კომპარატივისტი მკვლევრის ახსნითი კატეგორიები და კონცეფციები, რომლებსაც ვიყენებთ, მოწესრიგებული, „გაძლიერებული“ და თავიდან ინტერპრეტირებულიც კი უნდა იყოს, ანალიზის საშუალების შედარებით მის ობიექტთან – პოლიტიკურ პროცესთან. ისეთი კოგნიტიური პროცესები, როგორცაა სკანირება, მრავალი წყაროს სინთეზი და ინფორმაციის ხარისხი, გამოცდილებასთან კავშირში ცნებების მოწესრიგება, არ უნდა გვაფრთხობდეს, რადგანაც სოციალური და პიროვნებათაშორისი მსჯელობების უმეტესი ნაწილი სწორედ ამ გზით შეიძლება კარგად ჩამოყალიბდეს. ისეთი მაღალგანვითარებული აკადემიური დისციპლინები, როგორც ისტორიაა, ძირითადად მსგავს პროცედურებს ემყარებიან და, ჩვეულებრივ, შთამბეჭდავ შედეგებს აღწევენ (თუკი სამეცნიერო პრატიკის საუკეთესო მაგალითებს განვიხილავთ).

ექვგარეშეა, რომ ამ სახის შედარებითი კვლევა წამოჭრის მეთოდის მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა შესახებაც ჩვენ ახლა ვმსჯელობთ. მანამ კი, საჭიროა აღვნიშნოთ, რომ დემოკრატიზაციის შესახებ კვლევების ძირითადი „მომხმარებლები“ არიან არა ტექნიკური სპეციალისტები, არამედ ხელმძღვანელები, რომლებიც მუშაობენ თვითმმართველობის გამოცდილების არმქონე პოლიტიკური ერთობების წარმართვისა და კოორდინირებული საქმიანობისათვის. ისინი შეიძლება იყვნენ იურისტები, ჟურნალისტები, კონკრეტულ ერთობათა ლიდერები ან ბიუროკრატები – წარმომადგენლები ყველა პროფესიისა, რომელიც კი იძლევა დარწმუნებისა და განზოგადების უნარ-ჩვევებს და მოითხოვს სოციალური გაურკვევლობის ყოველდღიურ მართვას. დემოკრატიზაციის პროცესის კვალდაკვალ მსგავსი სოციალური ჯგუფები ერთიანდებიან მზარდად თვითდაჯერებულ და ავტორიტეტულ პოლიტიკურ ფენაში, მზად არიან შეითვისონ შედარებით პოლიტიკურ კვლევებში კონკრეტულად მათი სირთულეების შესახებ გაკეთებული დასკვნები. ამგვარად ვხედავთ, რომ კომპარატივისტული სამუშაოს ძირითადი სტილი, რომელსაც დემოკრატიზაციის ახსნის ამოცანა წარმართავს, შეიძლება კონკრეტულად გამოსადეგი იყოს ამ სამუშაოს ახალი მომხმარებლისათვის. რა თქმა უნდა, არა მხოლოდ საქმიანობითი უნარ-ჩვევების, არამედ პოლიტიკური გამოცდილების გაკვეთილების წყალობით, რომლებიც დაანახებს მათ, რომ დემოკრატიზაცია კომპლექსური და დროში გაწელილი სოციალური კომუნიკაციისა და დაჯგუფების პროცესია, ისინი არ მიიღებენ ზედმეტად პოზიტი-

ვისტურ და დეტერმინისტულ ფორმებში ჩამოყალიბებულ ახსნებს. უფრო მეტიც, უსაფრთხოდ პროგნოზირებადი წესრიგის არარსებობის პირობებში, ნორმატიულად დასაბუთებულ ახსნებზე მოთხოვნის ზრდას შეიძლება ველოდოთ კიდევ.

#### 4. როგორ ტარდება შედარებითი კვლევები?

ამ თავის დასკვნითი ნაწილი შემდეგ საკითხებს მოიცავს: 1) პროგნოზირებადობა და შემთხვევითობა შედარებით პოლიტიკურ კვლევაში; 2) რთული დინამიკური პოლიტიკური პროცესების წვდომის მეთოდები; 3) კონცეფციის შემუშავება და დაზუსტება; 4) მოსაზრებები კვლევის შედეგების `ობიექტურობისა` და `მეცნიერული სტატუსის` შესახებ და მათი მიმართება დემოკრატიულ ღირებულებებთან. ამ უფრო თეორიული დისკუსიიდან შეიძლება გამოვიტანოთ ზოგიერთი პრაგმატული დასკვნა, რომლებიც წადგებოდა ამ მეცნიერულ-პრაქტიკული პროცესის მონაწილეებს.

##### ა) პროგნოზირებადობა / შემთხვევითობა

პროგნოზირებადობა/შემთხვევითობის შესახებ ჩვენთვის კარგად ცნობილი პოლიტიკური მეცნიერების მეთოდოლოგიური დებატების გამეორების გარეშე საკმარისია ითქვას ის, რომ პროცესების მეტად მცირე ნაწილი, რომლებსაც ჩვენ ვიკვლევთ, წარმართება ისეთი კანონების საფუძველზე, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა შეიძლება გამოვიყენოთ პროგნოზის ან მომხდარის ასახსნელად. უფრო მეტიც, როგორც ამას ასორმოცდაათი წლის წინ მილი აღნიშნავდა, როცა პოლიტიკის ან ისტორიის ფენომენებს ვიკვლევთ, „მიზეზთა სიმრავლე თითქმის უსაზღვროა, შედეგები კი დიდწილად განუყოფლადაა ერთმანეთთან გადახლართული. მიზეზთა მრავალგვარობის ამ ჯაჭვთან ერთად, პოლიტიკური მეცნიერების კვლევათა უმეტეს ნაწილს შედეგად მოსდევს საკვლევი შემთხვევების ყველაზე ამომწურავ აღწერილობათა შექმნა... საზოგადოებაში არსებული თუ გამჟღავნებული თითქმის ყოველი ფაქტი პირდაპირ ახდენს დადებით თუ უარყოფით გავლენას შედეგებზე“ (Mill 1843/1973 : 452).<sup>1</sup> ცხადია, ამგვარი დასკვნები განსაკუთრებით სამართლიანია დემოკრატიზაციის კვლევაში.

<sup>1</sup> თავისი კრებულის VI ტომის X თავის III ნაწილში მილი (Mill 1843/1973) ცდილობს დააჯგუფოს პროგრესის კანონების აღმოჩენის მცდელობანი. ამ კანონების საშუალებით

## ბ) დინამიკური პროცესები

დინამიკური პოლიტიკური პროცესების შედარებისა და შესწავლისას დამატებითი პრობლემები წამოიჭრება. ყოველივე ამის შემდეგ თანამედროვე სოციალური ფილოსოფია უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ მოცემული შედეგის წარმომქმნელი დისკრეტული მიზეზობრივი ქმედების (ან შედეგთა ჯგუფის, წარმომქმნელი მიზეზთა ჯგუფის) კლასიკური ლოგიკური მოდელი რადიკალურ გადააზრებას საჭიროებს. ამის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ახსნის ღირებულება გამომდინარეობს მიზეზისა და შედეგის კავშირის განსაკუთრებული წესიდან. მაკროპოლიტიკური ცვლილებები, რომლებიც მოიცავენ აქტორთა აღქმითი ცნობიერებებისა და იდენტურობების გადააზრებას, მიზეზობრიობის „ბილიარდის ბურთის“ მოდელის ნაცვლად, შეიძლება უკეთ გაშუქდეს რეფლექსურ ან ისეთ მოდელზე დაყრდნობით, რომელშიც დიალოგი და კამათი ცვლილების მამოძრავებელი ძალაა. ამ შემთხვევაში „მიზეზი“ და „შედეგი“ შეიძლება განვიხილოთ არა გარედან მოქმედ და ერთმანეთისაგან განცალკავებულ ფაქტორებად, არამედ ცვლილების პროცესის **შინაგან** ფაქტორებად, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია გარედან და დისკრეტულად. დემოკრატიზაციის მსგავსი აბსტრაქტული პროცესის ნებისმიერი ისტორიულად განსაზღვრული ახსნა მოითხოვს იმის გააზრებას, თუ რას **გულისხმობს** ტერმინი ან რას **აღნიშნავს** პროცესში ჩართულ იმ მნიშვნელობებთან მიმართებაში, რომელთა კონსტრუირებაც მხოლოდ და მხოლოდ მონაწილეთა მისწრაფებებისა და ცნობიერებებისაგან შეიძლება.<sup>2</sup> რადგანაც ამგვარი განმარტებები სოციალური დარწმუნების ინტერაქტიულ პროცესებს მოიცავენ, ისინი მოით-

---

შეგვეძლეოდა მომავალი მოვლენების წინასწარ განჭვრეტა, რომ არა იმთავითვე არასწორი წარმოდგენა „სოციალური ფილოსოფიის ფუნდამენტურ მეთოდზე“. ამგვარად, მილი ამბობს, რომ თუკი პოლიტიკის მკვლევრები გამოიყენებენ სწორ მეთოდებს და გადაჭარბებით არ შეაფასებენ თავიანთ შესაძლებლობებს, შედეგები „ვერიფიკაციის ნამდვილი პროცესის“ ხასიათს მიიღებდა (გვ. 917) მიუხედავად ამ შედეგების დაბალი პროგნოზირებადობისა.

<sup>2</sup> გეორგ ჰენრიკ ფონ რაიტის (von Wright 1971 : განსაკ. III და IV თავები) ზუსტ ტერმინოლოგიაში ამგვარი სოციალური ახსნები ეყრდნობა არა იუმისეულ ყოვლისმომცველი კანონებით განპირობებულ მიზეზობრიობას, არამედ „პრაქტიკული ალბათობების საშუალებით მიღებულ მოტივაციურ აუცილებლობებს“. ისინი არიან „ტელეოლოგიური“, დამოკიდებული აგენტთა **მისწრაფებებზე**, ანუ უფრო მიჯაჭვული მოსალოდნელ პირობებზე, ვიდრე წარსული დამოკიდებულებით განპირობებულობაზე (იუმისეული თვალსაზრისით, „მიზეზობრივი განსაზღვრულობა“).

ხოვენ როგორც ნორმატიულ, ისე ემპირიულ გააზრებას.<sup>3</sup> უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ კამათი და დიალოგი შეიძლება მეტად მძლავრი პროცესები იყოს შეცდომის აღმოჩენისა და აღმოფხვრისათვის, მათი შედეგები ყოველთვის ღიაა გადასინჯვისათვის (სუბიექტების მეტოქეობა არასოდეს ქრება). ბევრ შემთხვევაში წინასწარი შედეგები არადამარწმუნებელია (ზოგიერთი გასაგები თეზა, შესაძლოა, დარჩეს მოკამათის უფრო გაწონასწორებულ პოზიციაში მას შემდეგ, რაც მცდარ მოსაზრებებს ამოიღებენ), ცნობილია ასევე, რომ უძლიერესი არგუმენტი ყოველთვის უზადო როდია (დასკვნები შეიძლება „დამახინჯდეს“ კომპრომისებით) და ამის მოწმე ამა თუ იმ შემთხვევაში ყოველი ჩვენგანი გამხდარა. სოციალური მოვლენების ახსნის ამ გარკვეულწილად რელატივისტური მოდელის შემთხვევაში უარს ვამბობთ არამარტო ძლიერი პროგნოზირების უნარზე, არამედ შესაძლოა, ეჭვქვეშ აღმოჩნდეს მკვლევრის „ღირებულებისგან თავისუფალი“ მოსაზრებაც. ამიტომაც საჭიროა შემწყნარებლობა შემთხვევითობის მიმართ.

კვლევებში, რომლებიც ყველაზე ახლოს დგას კლასიკურ მეცნიერულ პარადიგმებთან, იგრძნობა, რომ ვიდრე მეცნიერები ახსნის ერთადერთ გასაგებ მეცნიერულ ჩარჩოს ებლაუჭებიან, ყველაფერი იკარგება. დემოკრატიზაციის შედარებითი კვლევები, ამ შემთხვევაში, შესაძლოა, გამოსადეგი იყოს იმათთვისაც კი, ვისაც არანაირი ინტერესი არა აქვს კვლევების ამ დამოუკიდებელი სფეროს მიმართ. მათთვის გარკვეულწილად საკმარისი იქნებოდა იმაში დარწმუნებაც კი, რომ შესაძლებელია ახსნითი დამაჯერებლობის ძიებაზე და ვერიფიკაციის შესატყვის სტანდარტებზე უარის თქმის გარეშე ამ მნიშვნელოვანი პროცესების შესწავლა შემთხვევითობის, დისკურსიული დაუსრულებლობისა და სუბიექტურობათა მრავალგვარობის თანაარსებობის სახით. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკურ მეცნიერებას აქვს ღირებულ სათქმელი სოციალურად მნიშვნელოვან საკითხებზე. ეს შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ პოლიტიკური მეცნიერება მნიშვნელოვანწილად ღიაა მეთოდოლოგიური პლურალიზმისთვის და, ერთი მხრივ, გარკვეულ შეფასებას აძლევს ფილოსოფიასა და ჰუმანიტარულ დარგებში თავის წარსულს, მეორე მხრივ კი, მას თავისი მიზნებისათვის „მეცნიერულ“ სტატუსს ანიჭებს.

საილუსტრაციოდ განვიხილოთ შემდეგი განზოგადებები: 1) არსებობს ავტორიტარული კოალიციის დაშლის ორი უეჭველი გზა, რომელიც შესაბამისად გზას უხსნის დემოკრატიაზე შესაძლო გადასვლას, ესაა ან

---

<sup>3</sup> უფრო ზოგადი შემთხვევისათვის ეს ახსნა თვისობრივად ნორმატიულია, იხ. გარფინკელი (1981 : თავი V და VI)

მემკვიდრეობითობის კრიზისის ხელისუფლების გადაცემის დროს ან უშუალოდ გარე სამხედრო ძალასთან დამარცხება; 2) დემოკრატიზაციის შესაძლო წარმატება ნებისმიერ კონკრეტულ ქვეყანაში უშუალოდ იქნება დამოკიდებული რეგიონში წამყვანი სახელმწიფოს ფარგლებში მიმდინარე მსგავსი პროცესების შედეგებზე; 3) სადაც სახელმწიფოს ჩამოყალიბება უკვე დასრულებულია (ე.ი. ტერიტორიული საზღვრები დაცულია და ეროვნული იდენტურობა მკვიდრადაა ჩამოყალიბებული), დემოკრატიის კონსოლიდაციის პროცესი უფრო იოლად წარიმართება, ვიდრე იქ, სადაც სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა და დემოკრატიზაციის პროცესი ერთდროულად მიმდინარეობს. შეიძლება მსგავსი მოსაზრებები საკმაოდ ორაზროვნე და დაუზუსტებელი მოგვეჩვენოს, თითქოს ისინი მხოლოდ ალბათური ხასიათის „ბუნდოვან“ და „თვისობრივ“ მტკიცებებს ემყარებიან, მაგრამ, ფაქტობრივად, ამგვარად მაინც იქმნება გარკვეული საფუძველი პროგნოზირებისათვის (ისევე, როგორც ინტერპრეტაციისათვის საჭირო ფართო მეცნიერულ ჩარჩოები). მსგავსი განზოგადებები, რა თქმა უნდა, უფრო ღირებულია იმ კვლევებთან შედარებით, რომლებიც მსჯელობას მხოლოდ ერთი ქვეყნის გამოცდილებაზე აგებენ და ამგვარად არაერთ სირთულეს აწყდებიან.

ამას, თავის მხრივ, უფრო ფართომასშტაბიან საკითხებზე გავყავართ. რას გვეუბნება დემოკრატიზაციის შემსწავლელი კომპარატივისტული ლიტერატურა რთული და დინამიკური მაკროპოლიტიკური პროცესების ახსნისა და შედარების ყველაზე შესატყვისი მეთოდების შესახებ? ამ თვალსაზრისით, დემოკრატიზაციის კვლევებში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა დანკუოსტ რასტუმ 1970 წელს. მან შემოგვთავაზა „დინამიკური მოდელი“ ცნება. მან აჩვენა, რომ დემოკრატიზაციის პროცესის **გამომწვევი** პირობები შესაძლოა სრულიად განსხვავდებოდნენ ამ პროცესის შემდგომი **კონსოლიდაციისათვის** აუცილებელი მიზეზებისგან (Rustow 1970).<sup>4</sup> ზოგადად გამოიკვეთა პირობათა ორი ჯგუფი. შემ-

---

<sup>4</sup> მკვლევრები ხშირად ეყრდნობიან ამ სტატუსს, მაგრამ მათ ყოველთვის არ ახსოვთ, რომ რასტუმს ეს მთავარი არგუმენტი უფრო განზოგადებული სახით მანამდე გამოიყენა. ეს პუბლიკაცია იმავე საკითხებისადმი მიძღვნილ იმავე ჟურნალის ადრეულ გამოცემაში დაიბეჭდა. იგი აღნიშნავდა: „მოცემული ტიპის რეჟიმის წარმოშობისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებისათვის საჭიროა ერთმანეთისაგან განსხვავებული (ხშირად, რა თქმა უნდა, ურთიერთსაწინააღმდეგო) პირობები. მაგალითად, პოსტკოლონიური სახელმწიფოები შეიარაღებული ანტიკოლონიური მოძრაობებისგან წარმოიქმნებიან, მაგრამ სიცოცხლისუნარიანობას თავისი ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკური პრობლემების ფრთხილი მართვის საშუალებით ინარჩუნებენ. სამხედრო რეჟიმები, როგორც წესი, საიდუმლო შეთქმულებებისა და შეიარაღებული ამბოხის გზით იქმნებიან, მაგრამ მათი შენარჩუნება სამოქალაქო ბიუროკრატებისა და

დგომმა მუშაობამ მკვეთრად გამოყო პირობათა ეს ჯგუფები და შეეცადა იმის გარკვევას, თუ როგორ შეიძლებოდა მათი ერთმანეთთან დაკავშირება. საამისოდ აუცილებელი იყო, ნაწილობრივ, დემოკრატიზაციის პროცესების თეორიული გაანალიზება, ნაწილობრივ კი – ინდუქცია, რომელიც დაეყრდნობოდა დიდი რაოდენობით კერძო შემთხვევებსა და სპეციფიკურ ფაქტებს.

სახელმძღვანელოს წინამდებარე თავის საჭიროებებიდან გამომდინარე, ყურადღება უნდა მივაქციოთ სამ მეთოდოლოგიურ თვალსაზრისს: 1) დინამიკური მოდელის დამკვიდრება წინა პერიოდის ნაშრომებთან შედარებით მნიშვნელოვანი წინსვლა იყო, რომლებიც ჩვეულებრივ ჩამოთვლიდნენ დემოკრატიის “წინაპირობებსა” და “შესაბამის სოციალურ პირობებს” ამ ახალი მიდგომის გავლენით, ყურადღებამ დემოკრატიზაციისათვის სათავის მიმცემი სავარაუდო პირობებიდან გადაინაცვლა უკვე დაწყებული პროცესის დინამიკაზე; 2) ცალკე აღებული, არც თეორიული მსჯელობა და არც შედარებითი კვლევის მასალა არ აღმოჩნდა ბევრის მომცემი; თუმცა ერთად თავმოყრით მათ გზა გაუხსნეს ნაყოფიერ მეცნიერული შესწავლას და, შესაბამისად, მიგვიყვანეს გაღრმავებულ შედარებით კვლევამდე; 3) მიუხედავად იმისა, რომ შესადარებელი რთული პროცესები იმთავითვე განსხვავებული იყო დროითი, შინაარსობრივი და შედეგობრივი თვალსაზრისით, მათ მაინც ჰოლისტური პოზიციიდან განიხილავდნენ (არ ხდებოდა მათი კომპონენტებად დანაწევრება უფრო მეტი მსგავსების აღმოჩენის მიზნით). ამით ნაჩვენები იქნა, რომ დემოკრატიზაციის პროცესის მრავალფეროვანი ვარიანტები შეიძლება შედარებითი ანალიზის ერთიანმა სქემამ მოიცვას.<sup>5</sup>

---

პოლიტიკური პარტიის ფართო მხარდაჭერის მოპოვების გზით ხდება. ვებერის მიხედვით, ქარიზმატული მიდრეხილები თავიანთ ძალაუფლებას ვითომდა საოცრებების მოვლენით ამკვიდრებენ, მაგრამ თავიანთ ლეგიტიმაციას რუტინიზაციისა და ბიუროკრატიზაციის საშუალებით იცავენ. აბსოლუტურ მონარქიას ყველაზე უკეთ ამყარებს მემკვიდრეობითობა და ტრადიცია, რომელიც უკამათოდ მიიღება. თუმცა ამყარაა, რომ დამკვიდრების პროცესში შეუძლებელია იგი იმავე პრინციპებს ემყარებოდეს. დემოკრატია კონფლიქტისა და კომპრომისის პრიზმში იხადება, მაგრამ არსებობისთვის მზარდი საზოგადოებრივი კონსენსუსი სჭირდება“ (Rustow 1968 : 51). (ყურადღება მიაქციეთ თავდაპირველ მითითებას „საჭირო პირობებზე“. იგი ეხმიანება მსგავსი ტენდენციის მაგალითებს და მიუთითებს უფრო რეჟიმებს **შიგნით** მიმდინარე სტრატეგიულ ურთიერთობებზე, ვიდრე მათ მიმართ **გარეგანი** პოზიციის მქონე საჭირო პირობებზე).

<sup>5</sup> რა თქმა უნდა, შედარებითი ისტორია დიდი ხანია ამ გზას მიყვება. იმავე მიზეზის გამო უფრო თეორიულ დონეზე ვებერმა „იდეალური ტიპების“ ცნება განავითარა. ჩვენს მიერ აქ გაკეთებულ განაცხადში არ იგულისხმება, რომ რასტოლუმ ახალი მეთოდი გამოიგონა (რადგანაც რეჟიმის შექმნისა და რეჟიმის შენარჩუნებისათვის საჭირო პირობებს შორის კონტრასტი შეიძლება სულ ცოტა არისტოტელეს „პოლიტიკიდან“ მოყოლებული

დემოკრატიზაციის კვლევების გაღმავლებასთან ერთად გამოყენებული იქნა ამ ზოგადი მიდგომის არაერთი ვარიანტი. ზოგიერთი ავტორი უპირატესობას ანიჭებდა დემოკრატიზაციის პროცესში ძირითად აქტორთა ურთიერთობებისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლის სტრატეგიების “მოდელირებას”. სხვადასხვა სახის სპეციფიკური გამოცდილება დაჯგუფდა და კლასიფიცირდა თამაშთა თეორიის მიერ შემოთავაზებული კატეგორიების შესაბამისად (ამის ნათელი მაგალითია Colomer 1991), ალტერნატიულმა ხედვამ კი ყურადღება მიაპყრო კონკურენტულ პროცესებს **შორის** გამოვლენილ ინტერაქციულ ეფექტს (ანუ სხვის გამოცდილებაზე სწავლის პროცესებისკენ. მაგალითად, ესპანეთის პოლიტიკურ აქტორებს შეეძლოთ გაეცნობიერებინათ თავიანთი ალტერნატივები და ჩამოეყალიბებინათ თავიანთი სტრატეგია, ამასთან ეს შეედარებინათ პორტუგალიაში თითქმის ანალოგიური მოვლენებთან). ალფრედ სტეპანმა განავითარა რედემოკრატიზაციის ალტერნატიული „გზების“ ტიპოლოგია და ყურადღება მიაპყრო საერთაშორისო კონტექსტის სხვადასხვა ტიპებს (O’ Donnell et al. 1986). ეს მიდგომა შემდგომში მე განვაპყრე, მაგალითად, დემოკრატიზაციის `გადანერგვის` სხვადასხვა ხერხების ტიპოლოგიზაციით და იმ განსხვავების წარმოჩენით, რომელიც ვლინდება დეკოლონიზაციისა და “კონვერგენციის” გზით დამკვიდრებულ დემოკრატიასთან ამ ტიპის დემოკრატის შედარების შედეგად (Whitehead 1996).

ერთ-ერთი ღირშესანიშნავი თვალსაზრისი იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად შემოთავაზებული გზების სხვადასხვაობისა, ასევე ამოსავალი წერტილისა და განმსაზღვრელი პირობების აშკარა განსხვავებულობისა, შეიძლება დავასკვნათ: შედეგები შედარებით ჰომოგენურია და შესაძლებელია მათი დაყვანა ურთიერთგადამკვეთი ალტერნატივების მცირე რაოდენობამდე. შესაძლოა, ამის საპასუხოდ ზოგი მკვლევარი ცდილობს, რომ კვლევამ შედეგთა ამ თვალშისაცემი მსგავსებების მიღმა შეაღწიოს. ყურადღებამ დემოკრატიზაციის პროცესების შიდა სხვაობების გააზრებიდან გადაინაცვლა და სხვა მიმართულებით წარიმართა, კერძოდ, თუ როგორ ხერდება ამგვარი პროცესების ურთიერთქმედება მის თანამდევ მაკროსოციალურ ცვლილებებთან, რომლებიც სხვა სფეროში მიმდინარეობს (მაგალითად, „სახელმწიფოებრივ-ცენტრული მატრიცის“ დასუსტება, სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი ეკონომიკიდან ბაზარზე ორიენტირებულ ეკონომიკაზე გადასვლა ან სამოქალაქო საზოგადოების განვითარება. ამის საილუსტრაციოდ იხ. Cavarozzi 1992)

---

ავითვალთ, უბრალოდ მან პირველმა გამოიყენა იგი დემოკრატიზაციის შედარებით კვლევებში.

შედარებითი ანალიზის ყველა ეს მცდელობა მოიცავს ორმხრივ გამოვლენას პროცესს. გამარტივებული დინამიკური მოდელი (საშუალო მასშტაბის განზოგადოებები), რომელიც თავდაპირველ თეორიასთან ინტუიციის დამატებით მიიღება, მნიშვნელოვნად მიიჩნევა გარკვეულ სტრატეგიულ ფაქტორებს, რომლებიც ცვლილებების მამოძრავებელ ძალად განიხილებიან. შერჩევითა თუ განსჯის ზოგიერთი პროცესისათვის შემთხვევათა წრე (ჩვეულებრივ, დადგენის პროცესში) განისაზღვრება როგორც მოდელის შესაძლო ნიმუში. შემდეგ ამ შემთხვევათა შინაარსები ჯამდება განცალკევებით (თუმცა არა ექსკლუზიურად) თავდაპირველი მოდელის ამ თეორიული ჩარჩოს მიერ შემოთავაზებულ სტრატეგიული ცვლადების გათვალისწინებით. თუმცა რამდენადაც ეს რთული მაკროპოლიტიკური პროცესების შინაარსებია, რომლებსაც მოულოდნელობები და ღირებულებათა კონფლიქტი ახასიათებს, მათგან არ უნდა ველოდეთ მოცემული მოდელის არაორაზროვან, ზუსტ დადასტურებას ან უარყოფას. მათ უფრო ეჭვების წარმოქმნა ან ზოგიერთი თავდაპირველი მოდელისა და განზოგადოების გადააზრება შეუძლიათ. პრინციპში, დაზუსტებისა და ეჭვის ეს ორგვარი პროცესი შეიძლება რამდენიმე ციკლად გაგრძელდეს, კერძოდ, თუ კი შინაარსების დიდი ნაწილი მოულოდნელი მიმართულებით იშლება და ზეწოლას ახდენს თეორიულ ჩარჩოზე, რომელიც მას დაუსრულებლად წარმოაჩენს.

რამდენად დამაკმაყოფილებელია მსგავსი მეთოდები? მკაცრად თუ განვსჯით, ისინი აშკარად მოუწესრიგებელია. საუკეთესო გამართლება ისაა, რომ ეს მეთოდები გარკვეულწილად `შესატყვისნი` არიან და რთულად გასაანალიზებელი რეალობის ხასიათის კვლევის შემთხვევაში მის ახსნას ესწრაფვიან. იმის ნაცვლად, რომ ექსკლუზიური სიმკაცრით ავირჩიოთ **მხოლოდ ერთი** სასურველი მეთოდი, შესაძლებელია უფრო მიზანშეწონილი ყოფილიყო, გამოგვეყენებინა **მრავალი** ურთიერთგადამკვეთი მიდგომა, რომელთაგან თითოეული გაამძაფრებდა შესასწავლი ფენომენის ამა თუ იმ ნაწილის ჩვენებულ აღქმას. თუმცა ამ მიდგომათაგან არცერთი არ შეიძლება დომინირებდეს. რთულ შინაარსობრივ და თანმიმდევრულ ახსნით მოდელებს შორის წინააღმდეგობა აშკარად შემამფოთებელია, მაგრამ შესაძლებელია სწორედ ამან მისცეს შემოქმედებითი მუხტი შემდგომ კვლევას. თუკი ეს კონფლიქტი ცალმხრივად გადაწყდება ერთი ან მეორე მხარის სასარგებლოდ, უფრო მეტს დავკარგავთ, ვიდრე მოვიგებთ. ამგვარ მეთოდოლოგიურ მიდგომას მეტად პატივსაცემი ინტელექ-

ტულური წინამორბედები ჰყავს.<sup>6</sup> შეიძლება დემოკრატიზაციის შედარებით შესწავლის თაობაზე კამათის ღირსებად ჩაითვალოს ის, რომ იგი აღძრავს სურვილს გადაისინჯოს პროცედურების თანმიმდევრი საკითხები, თუმცა ეს ხერხები ნაკლებად არის აღიარებული პოლიტიკური მეცნიერების სხვა სფეროებში.

### გ) ცნებების ჩამოყალიბება

მეცნიერთა ყურადღება ამ მიდგომის ერთმა კონკრეტულმა მხარემ მიიპყრო, ალბათ იმიტომ, რომ იგი დაკავშირებულია თანამედროვე ფილოსოფიაში მიმდინარე უფრო ფართომასშტაბიან დისკუსიასთან. საქმე ეხება **ცნებების ჩამოყალიბებასა და დაზუსტებას**. ამგვარად წარმოიქმნება და განისაზღვრება ინტერპრეტაციული ჩარჩოების **მასტრუქტურული-ბელი** ცნებები (ზოგი ტერმინ „კატეგორიას“ ამჯობინებდა), რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება და ზუსტდება კვლევის კვალდაკვალ.<sup>7</sup> მაგალითად, კოლერი და მეჰონი შეუდგნენ „კლასიკური კატეგორიზაციის“ პოტენციურად შორსმიმავალ კრიტიკას, რომელსაც სარტორის 1970 წელს

---

<sup>6</sup> ჯ.ს. მილი (1843/1973 : 917) აღიარებდა საფუძვლიანი კვლევების მნიშვნელობას შედარებით პოლიტიკურ მეცნიერებაში. იგი აღნიშნავდა, რომ კვლევის „ემპირიული კანონები“ (ანუ ინტერპრეტაციული ჩარჩო) უნდა ემყარებოდეს გარკვეულ, მაგრამ მცირე რაოდენობის მაგალითებს: „თუ კი ამათგან თუნდაც ერთი ან ორი მაგალითი არასაკმარისად გვეცოდინება ...არაადეკვატური იქნება მათი შედარება სხვა მაგალითებთან, აქედან გამომდინარე კი, სავარაუდოდ, მივიღებთ მცდარ ემპირიულ კანონს ნაცვლად სწორისა“.

შევედართ ამას ჯეფრი ჰოთორნის უახლესი ნაშრომი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიზარებოდეს სოციალურ ახსნაში ფაქტობრივი წინააღმდეგობები. „მიზნობრივი კავშირები თუ დანამატები, რომელთა გამოთვლაც შესაძლებელია ... მეტისმეტად განზოგადებულია და, შესაბამისად, არასაკმარისად ინფორმაციული, ამიტომაც არ იძლევა ახსნის საშუალებას; იმდენად პირობითია, რომ არ იძლევა განზოგადების საშუალებას; ან მათ გამომუშავებული აქვთ მოსაზრებები, რომელთა გამოცდაც შესაძლებელია და რომლებიც მცდარია. ამიტომაც პასუხები კითხვებზე სოციალური ცვლილებების შესახებ ... შემოსაზღვრული უნდა იყოს არაერთი პირობით (ცალკეული ცვლილების ნებისმიერი რაოდენობით), რათა გავითვალისწინოთ თავად მაგალითის პირობითობა, რომელიც, თავის მხრივ, კონკრეტული და, შესაბამისად, რთულია. რაც უფრო რთულდება იგი ... მით უფრო მეტ ალტერნატივას გვთავაზობს“ (1991 : 160\_1).

<sup>7</sup> იმის შემდეგ, რაც აღიარეს, რომ „მასშტაბური შედარება რთულია, პოლიტიკური და სოციალური რეალობა ჰეტეროგენულია, ამა თუ იმ კატეგორიის გამოყენება მოცემულ კონტექსტში ამ კონტექსტის დეტალურ ცოდნას საჭიროებს და ძალზე ხშირია კატეგორიების მცდარად გამოყენება“, სარტორიმ (Sartori 1970) შემოგვთავაზა მეტად სასარგებლო ხედვა კონცეპტუალური „მოგზაურობისა“ და „გადაჭარბებისა“, რაც სავარაუდოდ კვლევასთან ახალი შემთხვევების შესაბამება-შეთავსებას მოითხოვს.

გამოქვეყნებული ცნობილი **APSR** სტატია შეიცავდა. ისინი ემყარებიან ვიტგენშტეინს, როგორც წყაროს თავიანთი *ოჯახური მსგავსებების* მიდგომისათვის და ლანკოფს *რადიკალური კატეგორიების* ცნებისათვის (Collier and Mahon 1993 : 852).<sup>8</sup> ძირითადი კონცეფციების მნიშვნელობის მსგავს *დეცენტრალიზებას* ისინი შესაძლოა კულტურული რელატივიზმისა თუ პოსტმოდერნიზმის სფეროში გაეყვანა, მაგრამ მკვლევრები სწრაფადვე ასკვნიან, რომ სარტორის სტატია „დამსახურებულად მიიჩნევა ამოსავალ წერტილად შედარებითი პოლიტიკის მკვლევართათვის“, თუმცა „სიფრთხილე და გადამუშავება მაინც ესაჭიროება“.

კითხვები, რომლებიც ამ წინდახედულმა და ინოვაციურმა სტატიამ წამოჭრა, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე საკითხები, რომლებსაც თავად უპირისპირდებოდა. პარქტიკულად, მისი წინასწარ გათვლილი დასკვნა იმაში მდგომარეობს, რომ ვებერისეული ე.წ. „იდეალური ტიპების“ მსგავსი ანალიზი ჯერ კიდევ გამოდგება თეორიის კონსტრუირების წარმოსახვითი, ანალოგიური და თვითინტუიციური მეთოდების კომბინირებისათვის „ობიექტური“ ვერიფიკაციისა და რეპროდუცირების იმპერსონალური პროცედურების განგრძობითი განხორციელებით. სხვა თვალსაზრისით, დემოკრატიზაციის შესახებ შექმნილ ლიტერატურაში ჩამოყალიბებული ძირითადი კატეგორიები იმდენად ნორმატიულია და ექვემდებარება განსჯას, რომ მათი აღმოცენება და დაზუსტება იმთავითვე გულისხმობს შეფასების პროცესს. მაგალითად, დემოკრატიისათვის *კონსოლიდირებულის* სახელის მინიჭება უბრალოდ კატეგორიზაცია კი არ არის, არამედ განსჯაც. ეს როგორც ნორმატიული, ისე აღიარებითი ხასიათის პროცესია. თუკი მკვლევრები იმდენად თავისუფლები არიან, რომ ირჩევენ კატეგორიებს, რომლებიც ოდნავაც არ ასახავს მოცემულ რეალობას, თუკი მეთოდი კონცეფციებისა და უაღრესად საკამათო სპეციფიკურ პოლიტიკურ პროცესებს შორის კავშირის გადამოწმებას მოითხოვს, შეუძლიათ კი მათ ამტკიცონ, რომ სუბიექტურობის აღმოფხვრას და ნეიტრალური „მეცნიერების“ პრაქტიკას მისდევენ?

## დ) ობიექტურობა და მეცნიერული სტატუსი

მაშ, რაში მდგომარეობს დემოკრატიზაციის კვლევების სამეცნიერო სტატუსი? ვიდრე ეს საკითხი ძალიან დიდ წინააღმდეგობას გამოიწვევდა, შევჩერდებით და გავისხენებთ, რომ ტრადიციულმა ხედვამ იმის შე-

---

<sup>8</sup> შდრ. ვ. ბ. გალი (Gallie 1956), რომელიც „დემოკრატიის“ ცნების სუბიექტივისტურ ხედვას გვთავაზობს.

სახებ, თუ როგორ აღმოცენდა და დასაბუთდა თეორია, თვით საბუნების-მეტყველო მეცნიერებებშიც კი საფუძვლიანი ეჭვი წარმოშვა. ისააკ ნიუტონის ნააზრვის ცენტრალურ თემას მატერიასთან შედარებით სულის უზენაესობის დადგენა წარმოადგენდა, რასაც მეცნიერი ბუნების ჩვეულებრივ პროცესში ღმერთის მოქმედების დემონსტრირებით ცდილობდა. მეცნიერული თეორიების უმეტესი ნაწილი გარკვეულწილად საფუძველს კარგავს სწორედ იმ მტკიცებათა გამო, რომლებსაც „დასამტკიცებლად“ იშველიებს. მიუკერძოებლად თუ ვიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერები ჩვეულებრივ ურთიერთქმედებენ კოგნიტიურ აგენტებთან ისე, რომ ესწრაფვიან სხვადასხვა მიზანსა და კოგნიტურ სტატეგიას, მათი მეთოდები ჯერ კიდევ ხელს უწყობს რაციონალურ მეცნიერულ წინსვლას (Kitcher 1993). ამგვარად, განსაკუთრებით მაშინ, როცა კვლევის ობიექტი არის არა ბუნება, არამედ პოლიტიკა, თეორიის კონსტრუირება არ იქნება ნაყოფიერი, სანამ ის ვერ შეძლებს, გარკვეულწილად მხედველობაში მიიღოს აგენტთა „სუბიექტური ჯგუფი“, რომელზეც გათვლილია.

პოლიტიკის მკვლევარი, თუკი მოკლებული იქნება მთელ ცოდნას საზოგადოების შესახებ, მოკლებული იქნება მტკიცების ორგანიზებისა და ინტერპრეტაციისათვის საჭირო საშუალებებს. თუმცა, თუკი კონტექსტის ენა, ისტორია და ცოდნა თეორიის კონსტრუირების შემადგენელი ელემენტებია, მაშინ წარმატებული კვლევა შეიძლება საჭიროებდეს მაღალი მოთხოვნებისა და შეთანხმება-ჰარმონიზაციის ერთგვარ კომბინაციას. მეთოდოლოგიური პლურალიზმისა და პირველწყაროების მრავალფეროვნების ხარისხი შესაძლოა მართლაც სასიცოცხლო მოთხოვნა გახდეს როგორც ზოგადად პოლიტიკური მეცნიერების, ისე კონკრეტულად შედარებითი პოლიტიკის განვითარებისთვის. როცა კვლევა მიზნად ისახავს ერთზე მეტ ქვეყანაში აღმოცენებული რთული დინამიკური პროცესების შედარებას, სოციალური შეთანხმება-ჰარმონიზაცია კვლევითი მოთხოვნა მოსალოდნელზე მეტია (ეს არის **არეალური** კვლევების ძირითადი ბირთვი). იმ რთული პროცესების გასაგებად, რომლებიც აღბეჭდილია ალბათობის მაღალი ხარისხით, უმნიშვნელოვანესია, შევადაროთ ისინი შესაძლო ინტერპრეტაციებს, იმას, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო სხვა შემთხვევაში. ჯერ კიდევ არსებობს უდიდესი მოთხოვნილება შესაბამის კონტრარგუმენტების შერჩევაზე. ეს მოითხოვს კონტექსტისა და შესაბამისი ანალოგიების, ასევე უეჭველად შესაძარებელი შემთხვევების ღრმა ცოდნას, ამასთანავე – დახვეწილ განსჯის უნარს. ერთი სიტყვით, ეს ერთდორულად მეცნიერებასაც მოითხოვს და ხელოვნებასაც.

დაბოლოს, თუკი კვლევის ობიექტი დემოკრატიზაციაა, შეუძლებელი იქნება ადეკვატური ინტერპრეტაციული ჩარჩოს ჩამოყალიბება ან მა-

გალითებით დამოწმებული შემთხვევების ზუსტად შეფასება ჩამოყალიბების პროცესში მყოფი პოლიტიკური წესრიგის სტრუქტურებისათვის საჭირო დემოკრატიული ნორმების პრინციპების და ღირებულებების ღრმა ცოდნის გარეშე. ზოგადად უნდა ითქვას, რომ დემოკრატიზაციის შედარებით კვლევას სჭირდება ნორმატიული ჩარევის გარკვეული დონე (შეთანხმება-ჰარმონიზაცია, კონტექსტის კარგი ცოდნა, დემოკრატიულ მისწრაფებებთან დაკავშირების შესაძლებლობა), რომელიც, გარდა იმისა, რომ ანალიტიკურ სიცხადეს ცვლის და მტკიცებას წონას ანიჭებს, ასევე ამ ატრიბუტების განუყოფელი დანამატია.

## 5. დასკვნა

ამჟამად, რომ შედარებითი ანალიზის მრავალი სტილი არსებობს – ჩამონათვალი, შერჩევითი კვლევა, წყვილადი შედარება, შემთხვევის კვლევა, მოდელირება და ა.შ. მათგან ზოგიერთი ძალზე პოზიტივისტურია, სხვები კი შეფასებითია ან იხრება სუბიექტივიზმისკენ. ასეა თუ ისე, ამ მიდგომათაგან თითოეული იმპლიციტურად თუ ექსპლიციტურად გაჯერებულია თეორიით. პლურალისტური მიდგომა მიდის დასკვნამდე, რომ გარკვეულწილად რამდენიმე თეორიულ ხედვა შეიძლება გვთავაზობდეს უფრო დამაჯერებელ ახსნას. ამიტომაც ალტერნატიული თეორიული თვალსაზრისების შემცველი მრავალმხრივი შედარებითი მეთოდების მოსინჯვა უფრო ღირებულია. სხვადასხვა თეორიისა და კვლევის ალტერნატიული სტილების მოქმედება დამოკიდებულია ამოცანის ბუნებაზე. ამრიგად, მეტისმეტად პოზიტივისტური და პროგნოზისტული თეორია შესაძლოა უკეთ მიესადაგებოდეს პროპორციულ წარმომადგენლობით სისტემებში ალტერნატიულ გადაწყვეტილებათა კანონზომიერებების მოდელირებასა და შედარებას, ისლამური ფუნდამენტალიზმის დინამიკის რევოლუციურ და ანტიდემოკრატიულ პოტენციალს კი უკეთ გააშუქებს შედარებითი ანალიზის უფრო მეტად ინტუიციური, ისტორიულად ინფორმირებული და კულტურულად განსაზღვრული მიდგომა.

დემოკრატიზაციის შედარებითი კვლევა მოითხოვს ფართო სპექტრის კონტექსტური ფაქტორების სრულ და Fფრთხილ შეფასებას. დიდი ხნის წინათ მილმა აღნიშნა, რომ ამგვარ შეფასებებს „კომპეტენტური“ (და არა მხოლოდ ლოგიკურ ანალიზში გაწვრთნილი) ადამიანები უნდა აკეთებდნენ. მხოლოდ მათ „ძალუძთ ისტორიული ფაქტების გაანალიზება ან თუნდაც თანადროულ სოციალურ ფენომენებზე დაკვირვება და ამის საფუძველზე ისტორიული განზოგადებისათვის მასალების მომზადება.

მხოლოდ ასეთ მკვლევარს შეუძლია სხვადასხვა ფაქტის კომპარატივის-ტული მნიშვნელობის გაცნობიერება, მაშასადამე, მან იცის, რომელი ფაქტები მოიძიოს ან რას დააკვირდეს. ამის გარეშე ნაკლებად შესაძლებელია შევაფასოთ რომელიმე ფაქტის მტკიცებულებითი ღირებულება, რადგან ესა თუ ის დასკვნა, უმეტეს შემთხვევაში, მოპოვებულია არა უშუალო დაკვირვებით ან ცდის შედეგად. არამედ დასკვნით მიღებულ ფაქტებს ემყარება“ (Mill 1843/1973 : 917).

როდესაც კვლევისადმი წაყენებულ მოთხოვნებზე ვმსჯელობთ, არ უნდა დავგავიწყდეს სირთულე, რომელიც საკვანძო ტერმინების სხვა ენაზე თარგმნას ახლავს (ტერმინები სხვადასხვა ქვეყანაში ერთსა და იმავე ენობრივ არეალშიც ვარიირებს). ჯოზეფ ლა პალომბარას მსგავსი კომპარატივისტები დიდი ხნის მანძილზე უხერხულად აცნობიერებდნენ, რომ ისეთი უბრალო (თითქოსდა ბუნებრივი) პოლიტიკური ტერმინიც კი, როგორცაა “პარტია,” სხვადასხვა შემთხვევაში ძალზე განსხვავებულ აზრობრივ დატვირთვას ატარებს. ამასვე ხაზს უსვამენ დემოკრატიზაციის პროცესების მკვლევრები ყოფილ კომუნისტურ ქვეყნებში, სადაც, განსხვავებით სამხრეთ ამერიკის სახელმწიფოების უმეტესი ნაწილისაგან, ეს ტერმინი მართვის ანტიდემოკრატიულ სისტემებთან ასოცირდებოდა. რეჟიმის ცვლილების შედარება პოლიტიკურ სისტემებში, ფაქტობრივად, მოითხოვს არამარტო ცალკეული ტერმინის თანმხლები სპეციფიკური აზრობრივი დატვირთვის წვდომას, არამედ უფრო ზოგადი პოლიტიკური იდიომებისაც, რომლებშიც ეს ტერმინები შედიან.

პოლიტიკური თეორიისათვის კონტექსტის მნიშვნელობის თეზისი, რომელსაც კუნტინ სკინერი იცავდა, ზოგადად შეიძლება განვირცოვო შედარებითი ანალიზის ამ ტიპზეც: „ვიმედოვნებთ, რომ აზროვნების ურთიერთსაწინააღმდეგო სისტემების შეფასებისას გარკვეულწილად ობიექტურნი ვიქნებით. ასევე ვვარაუდობთ, რომ კულტურული განსხვავების სხვადასხვა ელემენტის წვდომისთვის მეტ ცოდნას მოვიპოვებთ და, შესაბამისად, ტოლერანტობას უკეთ შევინარჩუნებთ. იმედია, თვალსაწიერი საშუალებას მოგვცემს, უკეთ დავინახოთ ჩვენი ცხოვრების ფორმა, მეტად თვითკრიტიკულნი ვიყოთ და გავიფართოვოთ არსებული ჰორიზონტი, ნაცვლად იმისა, რომ ჩავიკეტოთ ადგილობრივ სტერეოტიპებში (სკინერის სტატისათვის იხ. თულლე 1988 : 287).“

ყოველივე ეს მოითხოვს განსჯის უნარის დახვეწას, რაც არ გულისხმობს ობიექტურობის ყველა არსებული სტანდარტის უარყოფას (ამას ვკითხულობთ პირველივე ციტირებულ წინადადებაში). ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გავითვალისწინოთ ყველაფერი, რამაც ზეგავლენა მოახდინა მეცნიერული თვალსაზრისის ფორმირებაზე. ამგვარი მიდგომა სიმძნელე-

ებს ქმნის, მაგრამ გარკვეულწილად მომგებიანიცაა. ეს საშუალებას აძლევს მკვლევარს, გააცნობიეროს ძალაუფლების კრიზისი და გაიგოს, თუ რა იწვევს რეჟიმის ცვლილებას, თანაც ისე, რომ შეინარჩუნოს კრიტიკულობა და არ აღმოჩნდეს მიჯაჭვული სხვა თვალსაზრისზე. ვიდრე დემოკრატიზაცია ინტერაქციისა და დარწმუნების პროცესში საერთო იდენტობებისა და ერთიანი ცნობიერების ჩამოყალიბებას ცდილობს, უმჯობესია, მკვლევარი ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისებს ჩაწედოს, თანაც არ მოექცეს რომელიმე მათგანის გავლენის ქვეშ. მართლაც, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, როგორ შეიძლება ავადგომი დემოკრატიზაციის ანგარიშგასაწევი ზოგადი აღწერა, ისე რომ მხედველობაში არ მივიღოთ კომპრომისისა და შემწყნარებლობის მნიშვნელობა. ეს ის ღირებულებებია, რომლებიც უზრუნველყოფენ გარკვეულობას, *diferencia specifica*-ს, რის გარეშეც ვერ შეფასდება ის დანახარჯები და რისკი, რასაც უკავშირდება დემოკრატიზაციის გზაზე დადგომა.

ამ თავის არსი ისაა, რომ შედარებითი პოლიტიკის პრაქტიკა გარკვეულწილად „ხელოვნება“ (ანუ როგორც განსჯისა და დარწმუნების, ისე ფორმალური დასაბუთების საგანი). თანამედროვე მსოფლიოს ძირითადი პოლიტიკურ ფენომენთა დამაჯერებელი და სიღრმისეული ინტერპრეტაციები წარმოიშობა როგორც ინდუქციისა და დედუქციის, ისე ინტუიციისა და ექსპერიმენტის გზით. დემოკრატიზაციის კვლევების შესახებ მსჯელობას კარგად ესადაგება როულსის ერთ-ერთი უკანასკნელი გამონათქვამი: `ჩვენი უმნიშვნელოვანესი მოსაზრებების დიდი ნაწილი იბადება განსაკუთრებულ პირობებში. ამგვარ ვითარებაში მძლავრი აზროვნებით დაჯილდოებული ადამიანები თავისუფალი კამათისას სინდის კარნახით მწელად თუ მივიდოდნენ მსგავს დასკვნებამდე... მსჯელობისას მსგავსი მორალური შეზღუდვების არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მეტადრე იმგვარი დემოკრატიული იდეისათვის, როგორც ტოლერანტობა~ (დაწლს 1999 : 29; იხ. ასევე ნოჰმან 1991).

საბედნიეროდ, პოლიტიკურ მეცნიერებას აქვს მნიშვნელოვანი წინაპირობა გარკვეული სახის „პრაქტიკული მსჯელობისა“ და ნორმატიული დატვირთვის, რომელიც სოციალური განსჯისა და დარწმუნების ხელოვნებას ემყარება და რითაც ჩვეულებრივ გამოირჩევა შედარებითი კვლევების სფეროში შესრულებულ საუკეთესო ნაშრომები. ტრადიციისამებრ ითვლება, რომ სანამ პოლიტიკაში შედარებით ანალიზს შეუდგებოდა, არისტოტელემ 158 ბერძნული პოლისის პოლიტიკური წყობა აღწერა (ჩვენამდე მხოლოდ ათენის შესახებ დაწერილმა ნაშრომმა მოაღწია). მაკიაველი ცდილობდა, დაერწმუნებინა იტალიური ქალაქი, რომ სახელმწიფოებს სახალხო ლაშქარი გადაარჩენდა. მედისონი თანმიმდევრუ-

ლად აგროვებდა შედარებით არგუმენტებს, რათა შეექმნა ფედერალისტის ჩანაწერები (ფედერალისტ პაპერს). გრძნობდა რა მორალურ ვალდებულებას, განემტკიცებინა სუსტი კონსტიტუციური რესპუბლიკური წყობა აშშ-ში, ტოკვილმა გამოიკვლია ამერიკული დემოკრატია, როგორც საფრანგეთში ლიბერალური დემოკრატის გამყარების პროგრამის ნაწილი. 1848 წლის შემდეგ იგი მთავრობის წევრი გახდა, რათა ფრანგული დემოკრატია უსაფრთხო გზით წარემართა. ვებერი ვაიმარის კონსტიტუციის ავტორთა მთავარი მრჩეველი იყო. იგი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა მისი, როგორც სოციოლოგისა და კომპარატივისტის, ცოდნა და სახელი პოსტვილჰელმიანური გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკად ჩამოყალიბების პროცესის სტაბილიზაციას წადგომოდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დემოკრატიზაციის მკვლევართა თანამედროვე თაობას შეუძლია, გაბედულად იმოქმედოს და არ შეშინდეს, თუკი კვლევა ისეთ სფეროებს გადასწვდება, რომლებიც პოლიტიკური მეცნიერების სხვა თანამედროვე განხრებისგან განსხვავებით უფრო ნორმატიული, სუბიექტური და პრესკრიპციულია. რაც შეეხება გადასვლას მიზეზობრივი ახსნიდან გაგებაზე, დასაბუთებიდან განსჯაზე, დემონსტრირებიდან დარწმუნებაზე, ეს შეიძლება თავად კვლევის საგნის ხასიათით იყოს განპირობებული.

## **დევიდ ე. აპტერი. შედარებითი პოლიტიკა: ძველი და ახალი**

### **1. შესავალი**

შედარება თავიდანვე ის კონკრეტული მეთოდი იყო, რომელიც პოლიტიკური ფილოსოფიიდან და თეორიიდან გამოყვანილი იდეების ემპირიულ მოვლენებთან და ფენომენებთან დაკავშირების საშუალებას იძლეოდა. თავდაპირველად ყურადღება ხელისუფლების პრობლემებზე გაკეთდა. მიზანი იყო იმის განსაზღვრა, თუ რა მნიშვნელობა აქვს განსხვავებებს ხელისუფლების მოწყობის გზებსა და ხერხებს შორის – რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება არა ხელისუფლება ზოგადად, არამედ ხელისუფლება, როგორც ორგანიზებული ინსტიტუციური ქმედება პოლიტიკურ სისტემაში და სახელმწიფოებრივ და სუბსახელმწიფოებრივ დონეებზე

გენერირებული ფენომენი. სხვადასხვა პოლიტიკური სისტემის მიერ ხელისუფლების გამოყენებისა და განაწილების განსხვავებათა ინტერპრეტაცია ზოგადი ამოცანაა, რომელიც საფუძვლად უდევს შედარებით პოლიტიკაში სხვადასხვა ალტერნატიულ მიდგომას.

სანამ განვიხილავდით, თუ როგორ განვითარდა შედარებითი პოლიტიკა, საჭიროა ზოგიერთი განმარტებითი განსაზღვრების მოცემა. როცა პოლიტიკურ `სისტემაზე` ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ, რომ მისი კომპონენტები ურთიერთდამოკიდებულნი არიან და ერთის ცვლილება იწვევს სხვების ცვლილებას. პოლიტიკური სისტემები, სულ მცირე, პასუხისმგებელნი არიან (შეიძლება ამას თავდაპირველი ფუნქციაც ვუწოდოთ) წესრიგის შენარჩუნების უზრუნველყოფაზე მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე და ამისათვის მათ აქვთ მონოპოლია იძულებაზე. სუვერენულ იურისდიქციულ ერთეულებს ვუწოდებთ სახელმწიფოს (Poggi 1990). `მთავრობა` არის უმთავრესი ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც მუშაობს პოლიტიკური სისტემა. „სამოქალაქო საზოგადოება“ მიუთითებს საზოგადოების იმ ქსელებზე (მაგალითად, ნებაყოფლობით, არასამთავრობო, კერძო საგანმანათლებლო და რელიგიურ ორგანიზაციებზე და ა.შ.), რომლებიც მთავრობის ან სახელმწიფოს კონტროლის გარეშე, მაგრამ საზოგადოებრივად სასარგებლო ფუნქციას ასრულებენ. იმის მიხედვით, თუ როგორ ერევა სახელმწიფო საზოგადოების ცხოვრებაში, რა სახითაა ხელისუფლება განაწილებული, განისაზღვრება სახელმწიფოს ტიპი და ხასიათი (დემოკრატიული, ავტორიტარული და ა.შ.). შუმპეტერის მიხედვით (Schumpeter 1947: 269), `დემოკრატია` შეიძლება განისაზღვროს, როგორც „ისეთი ინსტიტუციონალური წყობა, რომლის დროსაც ინდივიდებს ძალუძთ ზეგავლენა მოახდინონ ხელისუფლებაზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას და საამისოდ ინსტრუმენტის სახით იყენებენ პოლიტიკური ძალების მეტოქეობას მოქალაქეთა ხმების მოსაპოვებლად.“ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად იჭრება სახელმწიფო სამოქალაქო საზოგადოებაში, ვსაუბრობთ „ძლიერ სახელმწიფოზე“ (Birnbau 1982). ეს ის შემთხვევაა, როცა მთავრობა იღებს სრულ პასუხისმგებლობას თავისი მოქალაქეების კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე. იმ შემთხვევაში, როცა ეს პასუხისმგებლობა სახელმწიფოს მიღმა მყოფი სოციალური უჯრედების მიერ ხორციელდება, ჩვენ ვსაუბრობთ „ძლიერ სამოქალაქო საზოგადოებაზე“ (Badie and Birnbau 1983). თუმცა სახელმწიფოებრივ ჩარევასა და სოციალურ კეთილდღეობას შორის კავშირი არც ცხადია და არც მისი არსებობის აუცილებლობა ჩანს.

ძლიერი თუ სუსტი, დემოკრატიული თუ ავტორიტარული, პოლიტიკური სისტემები მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ისინი აყალ-

იბეზენ, აფუძნებენ კანონებსა და წესრიგს, რომლებიც ეფექტურად წარმართავენ პოლიტიკურ მოქმედებას. ამასთან დადგენილ და რეალურ პოლიტიკურ ქცევას შორის თანხვედრა განუხრელად მერყეობს ადგილისა და დროის მიხედვით. როგორც კი სახელმწიფოს მოქალაქეები თუ სამოქალაქო საზოგადოების ინდივიდები და ჯგუფები იცვლებიან და გაურბიან მათთვის დადგენილ ქცევის ნორმებს კანონიერი ან კანონმდებლობითი საშუალებით, ან კონფრონტაციული ქმედებების საშუალებით (ასახევენ სხვადასხვა პირობების მთელ სპექტრს), შედეგად ვიღებთ ღირებულებათა A და რწმენათა ცვლილებას, სამართლიანობის პრინციპთა შეცვლას ან მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევის ხერხების მოდიფიცირებებს. შესაბამისად, შედარებითი პოლიტიკის კარდინალურ საკითხებს წარმოადგენს: როგორ „ყალიბდებიან“ სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური სისტემები; როგორ შეიძლება დაფუძნდნენ და შენარჩუნდნენ ასეთი ტიპები; როგორ შეიძლება დადგენილ და რეალურ პოლიტიკურ ქცევას შორის განსხვავებების დაკავშირება. კარგი პოლიტიკური სისტემის განსაზღვრა და ამგვარ სისტემასა და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს შორის შესაბამისობის დადგენა უმნიშვნელოვანესია შედარებითი პოლიტიკის პრობლემათა ფართო სპექტრში. რადგანაც მკვლევრებს შორის მიღწეულია თანხმობა იმის შესახებ, რომ დემოკრატია ყველა შესაძლებელ პოლიტიკურ სისტემათა შორის საუკეთესოა, შედარებითი პოლიტიკური კვლევების უმეტესი ნაწილი სწორედ დემოკრატიის შესწავლისკენაა მიმართული: როგორ განვახორციელოთ იგი; როგორ დავუჭიროთ მას მხარი; როგორ შევავსოთ და გავაღრმავოთ იგი; როგორ გავუმკლავდეთ შინაგან თუ გარეგან საფრთხეებს, რომლებიც მის სიცოცხლისუნარიანობას ემუქრება.

პოლიტიკური სისტემებისა და მათი ფუნქციონირების თავისებურებები უნდა შედარდეს სახელმწიფოს ინსტიტუტის ანალიზის საფუძველზე, რომელშიც კონკრეტულადაა გამოხატული სისტემის სტრუქტურა და ფუნქცია. უმეტესწილად პოლიტიკური სისტემების შედარება ხდება ქვეყნების, მის შიგნით არსებული ინსტიტუტებისა (სუბსისტემები) და ცალკეული შემთხვევების მიხედვით. შესაძლებელია არსებობდეს მრავალფეროვანი კვლევით სტრატეგიები: ფუნქციონალური, მულტივარიანტული, ფენომენოლოგიური და ა.შ. კვლევის ნებისმიერი არჩეული სტრატეგია დამოკიდებული იქნება საერთო მიდგომაზე, წამოჭრილი საკითხების ხასიათსა და შემოწმებულ სამეცნიერო ჰიპოთეზაზე. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ შედარებითი პოლიტიკა პოლიტიკური ფილოსოფიის ან პოლიტიკური თეორიის ემპირიულ მხარეს წარმოადგენს

იმდენად, რამდენადაც იგი სცილდება უბრალოდ აღწერას.<sup>1</sup> კომპარატივისტიკის საკვლევ საკითხებს შორისაა კონფლიქტის ან კომპრომისის, ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობის, ქმედითობისა და სამართლიანობის კატეგორიებთან მიმართებაში პოლიტიკურ სისტემებს შორის განსხვავებების გამოვლენა. კონკრეტული პოლიტიკური სისტემების `ტიპები` მოიცავენ ალტერნატივების ფართო სპექტრს, ტომებიდან დაწყებული, პოლისისა და სახელმწიფოების (მონარქიული და რესპუბლიკური, დემოკრატიული და ავტორიტარული, საპრეზიდენტო და საპარლამენტო) ჩათვლით. ყოველი მათგანის ფარგლებში ასევე ფართო განსხვავებებია, იმის მიხედვით, თუ როგორ ყალიბდებიან ან გარდაიქმნებიან პოლიტიკური ფრაქციები და კოალიციები, როგორ ხდება ინტერესების განხორციელება, კონსტიტუციონალურ სტრუქტურებზე დაყრდნობით როგორ ხდება სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის კავშირების გამყარება (კლანურობის, საეკლესიო სტრუქტურების, პოლიტიკური მოძრაობების, პოლიტიკური პარტიებისა და ელექტორარული სისტემების სახით).

ამ თავში სხვადასხვა შედარებით მიდგომებს შორის დისკუსიისათვის გამოვყოფთ სამს: ინსტიტუციონალიზმს, განვითარების თეორიას (დეველოპმენტალიზმს) და ნეოინსტიტუციონალიზმს. პირველი მიდგომის ყურადღების ცენტრში ექცევა პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირების განსაკუთრებულ მექანიზმები როგორც ასეთი – საპრეზიდენტო და საპარლამენტო, უნიტარული და ფედერალური, პარტიები და ხმის მიცემის პროცედურები, კომისიები და არჩევნები. მეორე მიდგომა მოიცავს სოციეტალური ცვლილების თეორიათა უმრავლესობას. მესამე მიდგომა ახდენს ორივეს კომბინირებას. ინსტიტუციონალიზმი შედარებითი პოლიტიკის ძირითად პრინციპებს აყალიბებს. იგი დღემდე ინარჩუნებს ფუნდამენტურობას.<sup>2</sup> უახლესი ტექსტების უმეტესი ნაწილი „ინსტიტუციონალისტურია“,<sup>3</sup> რამდენადაც ისინი, ახასიათებენ რა სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის მუშაობას, დეტალურად აღწერენ მთავრობისა და მისი ქმედებების სტრუქტურას და ფუნქციონირების მექანიზმებს. ე.წ.

<sup>1</sup> მათ შორის კავშირი შესაძლოა ძნელად გავმიჯნოთ შედარებითი მეთოდებისგან, ეს საკითხი უფრო ფართო გაშუქებას საჭიროებს და სცილდება ჩვენს მიზნებს.

<sup>2</sup> ინსტიტუციონალიზმის ტრადიციებით შესრულებული სტანდარტული შედარებითი ტექსტების ნიმუშად იხ. Fridrich 1968 და Finer 1949.

<sup>3</sup> კატეგორიების შესადაარებლად ნახეთ `ძველი` ინსტიტუციონალური ტექსტი, მაგალითად, ჰერმან ფაინერის *თანამედროვე მთავრობის თეორია და პრაქტიკა* (Finer 1949) და უილიამ საფრანის *ფრანგული პოლიტიკის* (Safran 1995) ბოლო გამოცემა. ორივე ტექსტში ტერმინოლოგია მეტწილად ერთი და იგივეა.

„ახალი“ შედარებითი პოლიტიკა – დეველოპმენტალიზმი, ანუ განვითარების თეორია (პოლიტიკური და ეკონომიკური) – სოციალურ ცვლილებას უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე მართვის ტექნიკას და ამგვარი მიდგომის გამო საგრძნობლად გამოიყოფა სოციალური მეცნიერების სხვა დისციპლინათაგან. თავის მხრივ, „ნეოინსტიტუციონალიზმმა“ კვლევა კვლავ სახელმწიფოსკენ შემოაბრუნა და, ამავე დროს, მასში გარკვეული ცვლილებაც შეიტანა `დეველოპმენტალისტების` მოსაზრებათა ოპერაციონალიზაციით, რომელიც მეტადაა მორგებული პოლიტიკური სისტემებისა და სახელმწიფოების მუშაობის სტილთან

## 2. ინსტიტუციონალიზმი

მეორე მსოფლიო ომამდე და უშუალოდ მას შემდეგ ინსტიტუციონალიზმი მეტ-ნაკლებად ექსკლუზიური მიდგომა იყო შედარებით პოლიტიკაში. თავდაპირველად აქცენტი კეთდებოდა კანონსა და კონსტიტუციაზე, ასევე იმაზე, თუ როგორ ვითარდება მთავრობა და სახელმწიფო, სუვერენიტეტი, იურისდიქცია, ლეგალური და კანონშემოქმედებითი ინსტრუმენტები. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ძალაუფლების სხვადასხვაგვარ განაწილებას და იმას, თუ როგორ წარმოჩინდება გადანაწილების ეს სხვადასხვა ფორმები ერსა და სახელმწიფოს, ცენტრალურ და ადგილობრივ მმართველობას, ადმინისტრაციასა და ბიუროკრატias, ლეგალურ და კონსტიტუციურ პრაქტიკებსა და პრინციპებს შორის ურთიერთობებში. ეს მიმართულება ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ პოლიტიკური მეცნიერების ადრეულ პერიოდში, როცა პირველად გამოითქვა პოლიტიკური სისტემის იდეა (Bryce 1921), რომელიც საბოლოო მიზნად დემოკრატიის მიღწევას მოიაზრებდა. მართალია, ინსტიტუციონალიზმი დემოკრატიას მხოლოდ და მხოლოდ დასავლური ხასიათის ფენომენად მიიჩნევდა, მაგრამ იგი მის უნივერსალურობასაც აცხადებდა. დემოკრატია ნიშნავდა დიფერენცირებულ სამოქალაქო ხელისუფლებას, საკანონმდებლო, სასამართლო და ადმინისტრაციულ ხელისუფლებებს, ადგილობრივ თვითმმართველობას, მუნიციპალიტეტებს. შედარებითი პოლიტიკა დეტალურად შეისწავლიდა ამ ინსტიტუტების მუშაობის და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რეფორმას (ხმის უფლების გავრცელება-გაფართოებას, ოლიგარქიის პრობლემას, ანარქიზმის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მსგავსი დოქტრინების მიერ არსებული წესრიგისათვის შექ-

მნილ საფრთხეთა შემცირებას) მზარდი სოციალური ცვლილებების, მსოფლიო ომების, დეპრესიისა და ტოტალიტარიზმის კონტექსტში.<sup>4</sup>

ამ მხრივ, შედარებითი პოლიტიკა, ფაქტობრივად, პოლიტიკური მეცნიერებების სათავეებთანაა დაკავშირებული. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ფილოსოფიისა და შედარებითი პოლიტიკის ურთიერთობა ორმხრივია. თითოეული მათგანი სესხულობს რაღაცას ძალაუფლების კვლევისა თუ სამართლიანობის სრულყოფილი იდეების თვალსაზრისით. პოლიტიკური მეცნიერების კლასიკურ საზრუნავს წარმოადგენდა საუკეთესო სახელმწიფო, როგორც გონების, სიბრძნის და რაციონალობის განხორციელება, ასევე ის, თუ როგორ ახდენდა იგი მოქალაქეთა სამოქალაქო სულის ფორმირებას.<sup>5</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციონალიზმი, რომელიც მაგალითს იღებდა როგორც რესპუბლიკური, ისე იმპერიული რომისაგან, აღმოცენდა ანტიკური აზრისა და განმანათლებლობის ბუნებრივი და პო-

---

<sup>4</sup> იმის მიუხედავად, რომ კვლევა ქვეყნების მიხედვით მიმდინარეობდა, მისი უპირველესი საზრუნავი იყო სახელწიფოები, ხელისუფლებები, კონსტიტუციები და კონსტიტუციური შესწორებები, უფლებები და მათი გარანტიები, უნიტარული და ფედერალური სისტემები, ცენტრალიზაცია და დეცენტრალიზაცია, რეგიონალიზმი და ლოკალიზმი, უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლობის საკითხები, კაბინეტური მთავრობები და კაბინეტური დიქტატურები, მრავალპარტიული versus ორპარტიული სისტემები, საარჩევნო ოლქები, ელექტორატები, საკანონმდებლო ორგანოთა ქვედა და ზედა პალატები, საკანონმდებლო კომიტეტები, პროცედურები, კანონთა წაკითხვები და მათი განხილვები, ხმის მიცემა და კამათის შეწყვეტა, კომიტეტების, საზოგადოებრივი აზრისა და პრესის როლი.

<sup>5</sup> როგორც უკვე ითქვა (იხ. აღმონდი; თავი 2), პოლიტიკურ სისტემის თავდაპირველი ტიპოლოგიები პლატონის რესპუბლიკასა და კანონებში ან არისტოტელეს პოლიტიკაში სათავეს იღებენ სპარტის, ათენის, სპარსეთისა თუ სხვა სახელმწიფოების კონკრეტული შედარებებიდან. აღწერილია განსხვავებებიც ხალხთა (კლასებსა და „რასებს“) შორის. მაგალითად, პოლისის ფარგლებში ბარბაროსები განირჩეოდნენ ბერძენთაგან, მონები – მოქალაქეთაგან, არისტოკრატები – პლებსისგან. ამგვარი განსხვავებებით – „ერთზე“, „რამდენიმეზე“ და „მრავალზე“ დაფუძნებული პოლიტიკური სისტემების ტიპოლოგიების მიხედვით – განისაზღვრება ძალაუფლების კონცენტრაცია თუ განაწილება. პოლიტიკური სისტემის ეს ტიპები მიიჩნეოდა კარგად ან ცუდად, იმის მიხედვით, თუ რამდენად უზრუნველყოფდნენ სიქველეს, კეთილგონიერებას, ზომიერებას, ომში სიძამაცეს, ინდივიდუალურ და სამოქალაქო დისციპლინას კარგ სახელმწიფოში. დგინდებოდა ის მიზეზებიც, რომლებიც იწვევდა კარგი სახელმწიფოს დაქვეითებას. რა თქმა უნდა, სახელმწიფოს ზნეობრივი განვითარება და დაცვა დაცემისაგან შედარებითი პოლიტიკის უპირველესი საზრუნავი იყო პლატონისა და არისტოტელეს დროიდან. ტიპოლოგიების შედარება ხდებოდა არა მარტო სისტემის „საუკეთესო“ ფორმის დასადგენად, არამედ ყველაზე განხორციელებადი ალტერნატივების განსასაზღვრადაც (ეს მოიცავდა სახელმწიფოს იმ მოდელსაც, რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფდა თავისი მოქალაქეების აღზრდას).

ზიტიური სიმართლის დოქტრინების კავშირიდან. სამართალი წარმოადგენდა ორგანულ კავშირს მმართველებსა და მართულებს (ძალაუფლებით აღჭურვილ პირებსა და მათ ხელქვეითებს) შორის. ინსტიტუტების შედარებითი მკვლევრები ძირითადად იურისტები იყვნენ. მათ შეისწავლეს, მაგალითად, იუსტინიანეს სამართალი, კომენტატორებისა და განმმართველების ნაღვაწი (რომ არაფერი ვთქვათ ჰამურაბის კოდექსზე, გაიუსის ინსტიტუტებზე, სალიკურ და გერმანულ სამართალზე და ა.შ.). ზოგიერთი მათგანისათვის რომაული სამართალი შთაგონების წყარო იყო. სხვებზე გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიები, რომლებიც, წარმომადგენლობის თვალსაზრისით, ფოკუსირებული იყო ლეგიტიმურობაზე, ასევე ურთიერთობაზე ინდივიდსა და ჯგუფს შორის, მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის, რაც განსაზღვრავდა კონსტიტუციონალიზმის ბუნებას. ამ მხრივ, პოლიტიკური ფილოსოფია და სამართალი შედარებითი პოლიტიკის ინსტიტუტების კვლევის ქვაკუთხედად იქცა (Strauss 1959).

მესამე ელემენტი, როგორც ზემოთ მოტანილი მსჯელობიდან გამომდინარეობს, იყო ისტორია. ყურადღება აქაც პოლისიდან და საზოგადოებრივი შეთანხებიდან სახელმწიფოს აღმოცენებაზე მახვილდებოდა, ოღონდ მნიშვნელობა ენიჭებოდა ისეთ სპეციფიკურ საწყის მოვლენებს, როგორცაა ეკლესიისა და სახელმწიფოს დაპირისპირება, ბრძოლა სამეფოებისა და ფეოდალური სამფლობელოებისათვის, სამოქალაქო ომები და რევოლუციები, რომლებმაც ინდივიდუალიზმისა და ძალაუფლების საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიების საგანი აბსტრაქტული პრინციპებიდან სამკვდრო-სასიცოცხლო პრობლემად აქციეს (Gough 1957).<sup>6</sup>

---

<sup>6</sup> მართლაც, ინსტიტუციონალისტური პარადიგმა განმანათლებლობის ეპოქაში ჩამოყალიბდა. თუკი ადრე ყურადღება ექცეოდა ისეთ კატეგორიებს, როგორცაა ხალხები და მათი განსხვავებული `ბუნება`, შემდეგ ინტერესს იწვევდა ინდივიდთა სამყარო, სადაც სხვაობა შედარებით უმნიშვნელო იყო. ამას მოჰყვა ის, რომ გაირკვა, იყო თუ არა შერბილებული თვალსაზრისი ადამიანის ბუნებრივი ყოფის შესახებ სამოქალაქო ერთობაში მის მდგომარეობასთან შედარებით. ჰობსის წინაშე, რომლისთვისაც ეს ასე არ იყო, დემოკრატიის საკითხი არ იდგა. თუმცა სხვა თეორიტიკოსები უფრო კეთილგანწყობილნი იყვნენ ამ მდგომარეობის ისეთი მახასიათებლების მიმართ, როგორცაა, მაგალითად, ადამ სმიტისეული სწრაფვა გაცვლითი, აღებმიცემობითი და სასაქონლო ურთიერთობებისაკენ (ამგვარად განისაზღვრება ინტერესთა სამყარო), წინა პლანზე იწვევდა ერთობის წესებთან ინდივიდუალური თავისუფლების მისადაგების პრობლემა. რუსოსთვის ეს იყო საზოგადოება, ლოკისთვის – სამოქალაქო პასუხისმგებლობის პრაქტიკის დანერგვა, საპარლამენტო წარმომადგენლობისა და სუვერენობის საკითხი.

ამ მეტად მჭიდრო და რთულმა კავშირმა პოლიტიკურ ფილოსოფიას, სამართალსა და ისტორიას შორის ორი სხვადასხვა ურთიერთგადამკვეთი ტრადიციის, კონტინენტურისა და ანგლოსაქსონურის, სახე მიიღო. შედარებითი პოლიტიკისათვის უფრო მნიშვნელოვანი გახდა მეორე (ანგლოსაქსონური). იგი XIII საუკუნის ბრექტონში წარმოიშვა და მასთან დაკავშირებულია ბლექსთონის, ანსონის, სთაბზის, დაისის, ვინოგრადოვისა და მეიტლანდის სახელები. ინსტიტუციონალიზმის ისტორია იგივე კონსტიტუციონალიზმის ისტორიაა, რომლისთვისაც დამახასიათებელია მონარქებიდან საკანონმდებლო ორგანოთათვის საერთო და სპეციფიკურ ძალაუფლებათა გადაცემა ქარტიებში გაცხადებული უფლებებისა და პარლამენტის უზენაესობის მეშვეობით. ამასთანავე ინსტიტუციონალიზმი ითვალისწინებს იმ ინსტრუმენტებისა და პროცედურების შესწავლას, რომელთა საშუალებითაც თავისუფლება ვალდებულების წინაპირობა შეიძლება გახდეს.<sup>7</sup> მოკლედ, რახან შედარებითი პოლიტიკა მოიცავდა დემოკრატიის ევოლუციის პრობლემატიკას, მაშინ დემოკრატია განიხილება, როგორც ადამიანის ზნეობრივი სრულყოფის ინსტრუმენტი, „რომლისკენაც მას (ადამიანს) თავისი ბუნება უბიძგებს“ (Barker 1946), ამგვარი „ბიძგის“ დადასტურებაა დიდი დემოკრატიული რევოლუციები ინგლისში, ამერიკასა და საფრანგეთში, ეს უკანასკნელი წარმოადგენს ორ ძლიერ და ურთიერთსაწინააღმდეგო ალტერნატივას, 1789 წლის ლიბერალურ კონსტიტუციონალიზმსა და 1792 წლის რადიკალურ იაკობინიზმს (Furet and Ozouf 1989).

ამ რევოლუციათა იდეების კონსტიტუციურად განხორციელების მცდელობა იყო ერთ-ერთი გზა, რომლის საშუალებითაც ჩამოყალიბდა მმართველობის თანამედროვე პრინციპები და ხორცი შეისხა ისტორიამ (როგორც მოვლენათა ერთობამ). თუკი რევოლუცია ის სახელისუფლებო სისტემაა, რომელიც საუკეთესოდ შეესატყვისება ადამიანის ბუნებას, მაშინ რომელი ინსტიტუციონალური წყობა მიესადაგება მას? მაინც როგორაა შესაძლებელი ცალკეულ შემთხვევაში დემოკრატიული და ლიბერტა-

---

<sup>7</sup> ინსტიტუციონალიზმის ევროპული, კონტინენტური, ტრადიცია ასევე დაინტერესებული იყო საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიით. იგი ინარჩუნებდა უფრო მჭიდრო კავშირს ბუნებრივი უფლებების ტრადიციასთან, როგორც ეს რომაულ სამართალში იყო ჩადებული და საეკლესიო კონსილიარიზმთან განვითარებადი ნაციონალიზმის კონტექსტში. ამ უკანასკნელმა ევოლუციური ისტორიზმის სახე მიიღო, ხდება დემოკრატიული ინსტიტუტების გარდაუვალი აღმოცენება სპეციფიკური კონფლიქტებიდან, როგორცაა, მაგალითად, დაპირისპირება პაპისტურ კონსილიარიზმსა და მონარქიას შორის, შუასაუკუნეობრივ კორპორაციასა და სეკულარულ სახელმწიფოს შორის (Gierke 1950).

რიანული კონსტიტუციების ჩამოყალიბებების პროცესში მყოფი ძალის მაქსიმიზაცია?

უპირველეს ყოვლისა, ინსტიტუციონალიზმი დაინტერესებული იყო დემოკრატიით, როგორც წესრიგის ღია სისტემით. ეს განსაზღვრავდა არჩევანის პრობლემის მნიშვნელოვნებას. წესრიგი ერთი პრიორიტეტი იყო, არჩევანი კი – მეორე. ორივე მათგანი ხელისუფლებათა შეფასების სტანდარტულ კრიტერიუმებად იქცნენ. ამ თვალსაზრისით, ინგლისის, აშშ-ის და საფრანგეთის ხელისუფლებათა შედარება რევოლუციების შემდეგ ასეთ სურათს გვაძლევს: ბრიტანული პარლამენტარიზმი, სტაბილურობის გამო, წარმოადგენდა საპარლამენტო სისტემის ნიმუშს, ამერიკული – საპრეზიდენტო სისტემის მაგალითი იყო არჩევანის თავისუფლებისა (და ლოკალიზმის) გამო, ხოლო ფრანგული სისტემა ბრიტანულის არასტაბილური ვარიანტი იყო. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებები და სახელმწიფოები შეიძლება შეფასებულიყო მხოლოდ პირველ ორ მოდელთან მათი მსგავსების ან განსხვავების ხარისხის მიხედვით, თანაც უპირატესობა ამ მოდელთაგან პირველს მიენიჭებოდა.<sup>8</sup>

ამ თვალსაზრისით, ინსტიტუციონალიზმი ცდილობდა იმ პოლიტიკურ წყობათა განსაზღვრას, რომლის ფარგლებშიც უკეთ იყო შესაძლებელი წესრიგისა და არჩევანის, ინდივიდისა და ერთობის, მოქალაქეთა უფლებებსა და ვალდებულებებს შორის შემაკავშირებელი რგოლის მოხაზვა შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით: პასუხისმგებლობა და თანხმობა; აღმასრულებელი და საკანონმდებლო ძალაუფლება; ელექტორალური წყობები; სასამართლოებისა და მაგისტრატებისათვის დაქვემდებარებულ არეალთა, დაწერილ და დაუწერილ კონსტიტუციათა შედარებითი ღირსებები (კამათი ამის შესახებ ჯერ კიდევ გრძელდება ინგლისში); უნიტარული და ფედერალური სისტემების ღირსებათა შეპირისპირება; საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემათა შეპირისპირება; მინისტრთა კაბინეტის სახით მთავრობის ფუნქციონირება (Jennings 1936/1947); საიდუმლო საბჭოს როლის და მისი არსებობის მნიშვნელობა; იმპერიული ოჯახური ელიტების ადმინისტრაციულ ორგანიზაციებად გარდაქმნა (Robson 1956); ადგილობრივ თვითმმართველობათა ევოლუცია; საპარლამენტო ქცევის პროცედურული წესები (Campion 1950); მაგისტრატების როლი; კომიტეტები და საკომიტეტო სისტემები (Wheare 1955);

---

<sup>8</sup> ინგლისი იყო სტაბილური, უნიტარული, საპარლამენტო დემოკრატიის პროტოტიპი; საფრანგეთი – არასტაბილურისა; ამერიკა – ფედერალიზმისა და ლოკალიზმის ღირსებათა ნიმუში. მხვერი ამერიკელი მკვლევარი, მათ შორის ვუდრო ვილსონიც, იწონებდა საპარლამენტო სისტემას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის.

საარჩევნო სისტემები (Mackenzie 1958; Lakeman and Lambert 1959); რაც მთავარია, პოლიტიკური პარტიები (Ostrogorski 1964; Michels 1915/1958; Duverger 1954).

ამ საკითხებს შეისწავლიდა მკვლევართა მთელი პლეადა – კარლ შმიტი გერმანიაში; აივორ ჯენინგსი, ერნესტ ბარკერი და ჰაროლდ ლასკი – ინგლისში; ლეონ დეგი და ანდრე ზიფერიდი – საფრანგეთში; კარლ ფრიდრიხი და ჰერმან ფაინერი – ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. ერთი მხრივ, მათ საერთო ჰქონდათ ის, რომ ფლობდნენ ექსტრაორდინალურ ემპირიულ ცოდნას, თუ როგორ მუშაობენ ამგვარი ინსტიტუტები და ისეთი სპეციალიზებული ინსტიტუტები, როგორცაა პოლიტიკური პარტიები თუ საპარლამენტო კომიტეტები, სხვა მხრივ კი, კლასიკური, შუასაუკუნეობრივი და საზოგადოებრივი ხელშეკრულების ისტორიისა და სამართლის ცოდნა აერთიანებდათ.

ინსტიტუციონალისტები არამარტო სწავლობდნენ დემოკრატიების ან მათი ავტორიტარული ალტერნატივების მუშაობას, მათ აღიარეს, რომ ინსტიტუტები „მუშაობენ“ იმდენად, რამდენადაც მათში განხორციელებულია თავად დემოკრატიის ღირებულებები, ნორმები და პრინციპები. ამგვარად, ინსტიტუციონალიზმი არასოდეს ყოფილა უბრალოდ მართვის მექანიზმების შემსწავლელი დისციპლინა. ის დიდ ყურადღებას უთმობდა იმასაც, თუ როგორ „ინსტიტუციონალიზირდებოდნენ“ დემოკრატიული პრინციპები. ეს გულისხმობდა იმას, რომ დემოკრატიას მხოლოდ ზოგიერთი საზოგადოება „შეესაბამებოდა“, ხოლო სხვები მათი მსგავსნი გახდებოდნენ იმ შემთხვევაში, თუკი მათი გზით განვითარდებოდნენ. მმაგალითად, სამეურვეო კოლონიალიზმი განიხილებოდა როგორც გზა კოლონიებში დემოკრატიის განვითარებისათვის, მეტროპოლიიდან საკანონმდებლო გამოცდილების გადაცემითა და გამოყენებით (Hancock 1940; Wight 1957).

შეიძლება ითქვას, რომ ინსტიტუციონალიზმი იყო და დღემდე რჩება შედარებითი პოლიტიკის მთავარ მახასიათებლად. რეფორმისტული თუ პრესკრიპციული, თავდაპირველად იგი განვითარდა ევროპული ნაციონალიზმის პერიოდში, როცა ცენტრალური პრობლემა იყო ის, თუ როგორ დაეცვათ და შეენარჩუნებინათ კავშირები ენებით, კულტურებით, რელიგიებით და ლოკალური ნაციონალიზმით დაყოფილ ერებს შორის.<sup>9</sup> მოგვიანებით, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა ეკონომიკ-

---

<sup>9</sup> გერმანელი მკვლევრები ცდილობდნენ გამოემუშავებინათ საერთოეოროვნული იურისდიქცია და მოქალაქეობა.

ური ფაქტორებმა, ჰანა არენდტის თქმით – „სოციალურმა საკითხმა“ (Arendt 1963), პროფკავშირები კი უფრო ორგანიზებული გახდნენ და სხვადასხვა სახის პოლიტიკურ მოძრაობებთან ერთად მეტი პოლიტიკური მონაწილეობის, თანასწორობის, სამართლიანობის პრინციპებისა და საფუძველშერყეული ლიბერალური პრინციპების სოციალისტური და სხვა იდეოლოგიური ალტერნატივების მიხედვით გადასინჯვის მოთხოვნით გამოდიოდნენ. ინსტიტუციონალისტური ანალიზი ამ პერიოდში მიმართული იყო მთავრობის დამოკიდებულების შესწავლისაკენ ისეთი საკითხებისაკენ, როგორცაა უმუშევრობა, ბიზნესის წრეები, ნეგატიური სოციალური პირობები, კლასობრივი პოლიტიკის აღმოცენება, პოლიტიკური მოძრაობები და საპროტესტო მოძრაობები, რაც, თუ პრინციპებით არა, მეთოდებით მაინც სცილდებოდა ინსტიტუციონალიზმის ფარგლებს. რაც უფრო იზრდებოდა ინსტიტუციონალიზმის დაინტერესება პოლიტიკური ეკონომიკით, მით მეტი ყურადღება ეთმობოდა ფისკალურ და სავალუტო ინსტიტუტებსა და პოლიტიკებს, კეინსიანურ კონტექსტში გააზრებით, განსაკუთრებით რადიკალიზებული პარტიული პოლიტიკისაგან დაცვის თვალსაზრისით. კერძო საკუთრებას საფრთხეს უქმნიდნენ მემარცხენე პარტიები, რომლებიც იყენებდნენ მარქსისტულ თუ სოციალისტურ იდეებს, რომ არაფერი ვთქვათ ევროპაში სოციალისტური და კომუნისტური პარტიების ფეხის მოკიდებაზე, სოციალური თუ სამოქალაქო უფლებების მოთხოვნებით. ამიტომაც თანდათან ჩნდებოდა არა მარტო კომუნისმისა და ფაშიზმის მსგავსი ტოტალიტარული ალტერნატივების საფრთხე, არამედ ყურადღებას იქცევდა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლებოდა ყოფილიყო საპარლამენტო სოციალიზმი დემოკრატიის განვითარების შემდეგი საფეხური (Schumpeter 1947), საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო და სოციალური ან `ინდუსტრიული დემოკრატია` (Clegg 1951; Panith 1976). დემოკრატიის ამ ტიპებში ხედავდნენ ტოტალიტარიზმის ალტერნატივას და განიხილავდნენ იმ საშუალებად, რაც გამორიცხავდა არჩევნებზე მოქალაქეთა მიერ ტოტალიტარიზმის მხარდაჭერას.<sup>10</sup> აცხადია, ამგვარად ყურადღება მიექცა როგორც პოლიტიკურ პარტიებსა და ხმის მიცემის ნაირსახეობებს, ისე სხვადასხვა ტოტალიტარულ რეჟიმში ერთპარტიული ბიუროკრატიული და ავტო-

<sup>10</sup> საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო ("welfare state") არის შედეგი იმ ლეგალური, შესაბამისად, ფორმალური და გაცნობიერებული პასუხისმგებლობისა, რომელსაც საზოგადოება კისრულობს ყველა თავისი წევრის მიმართ." (Girvetz 1968: 512). ამისი ნიმუშები მოიცავენ ახალ კურსს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ზევირიჯის მიერ შემოთავაზებულ ზომებს გაერთიანებულ სამეფოში, `სახალხო ფრონტს` საფრანგეთში და შვედური ტიპის სოციალურ-დემოკრატიული სახელმწიფოების აღმოცენებას.

რიტარული მართვის სისტემების შესაძლო მომხიზველობას (Friedrich and Bzezinski 1962).

ინსტიტუციონალისტებს ალბათ ზედმეტად სწამდათ დემოკრატიული პოლიტიკური სისტემების აღმშენებლობითი ძალისა. მათ არ შეეძლოთ, „თეორიულად“ მოეგვარებინათ ინსტიტუციონალურ თეორიასა და პრაქტიკას შორის სრულიად აშკარა სხვაობა იმ დროს, როცა დემოკრატიული კონსტიტუციები მკვიდრდებოდა პირველ და მეორე მსოფლიო ომების შემდეგ ახლად აღმოცენებულ დამოუკიდებელ ქვეყნებში (Huntington 1992).<sup>11</sup> ინსტიტუციონალისტებმა ჯეროვანი ყურადღება მიაქციეს ტოტალიტარული ხელისუფლებების მოულოდნელ აღმოცენებას რუსეთსა და იტალიაში, ასევე ვაიმარის კონსტიტუციის კრახს და ნაციზმის აღმასვლას, როგორც პოლიტიკური ქცევის გადახრილ ფორმებს. უფრო მეტიც, როგორც კი რადიკალური მარქსისტულ-კომუნისტური და სხვა ექსტრემისტული ჯგუფები გამლიერდნენ, განსაკუთრებით, ევროპაში და ექვექვემ დააყენეს არამარტო დემოკრატიის ფუნქციონირების საკითხები, არამედ თავად დემოკრატიაც, აშკარა გახდა, რომ მეტი ყურადღება უნდა დაეთმოთ ფსიქოლოგიური, სოციალური, ეკონომიკური და საორგანიზაციო ფაქტორებისთვის ინსტიტუციონალური ანალიზის პირობითი საზღვრების მიღმა. თუკი თავად საუკეთესო დემოკრატიულმა (ვაიმარის) კონსტიტუციამ ვერ შეძლო დემოკრატიის მუშაობის უზრუნველყოფა და გარანტირება, ასევე არსებობს უამრავი მაგალითი იმ ქვეყნებისა, რომელთაც ჰქონდათ კარგი კონსტიტუციები, მაგრამ ჰყავდათ ცუდი ხელისუფლებები (1936 წლის საბჭოთა კონსტიტუცია).<sup>12</sup> ინსტიტუციონალიზმი არ იყო მზად იმ გამოცდისათვის, რომელიც მის წინაშე კონსტიტუციონალურმა ინჟინერიამ დააყენა. იგი გულისხმობდა, რომ ქვეყნები დემოკრატიის გარეშე არიან „არშემდგარი“ დემოკრატიები, რომლე-

---

<sup>11</sup> ისეთი შემთხვევების გამოვლენით, როცა კოლონიური ტერიტორიები განვითარდნენ 1931 წლის ვესტმინსტერის სტატუტის მიხედვით დომინიონებად და ბრიტანული თანამეგობრობის ფარგლებში (კანადა, ახალი ზელანდია, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა და ინდოეთი). დემოკრატიული ინსტიტუტების „სათურის“ პრინციპით დაფუძნების მცდელობა მეტწილად წარუმატებელი აღმოჩნდა.

<sup>12</sup> „ინსტიტუციონალისტური სოციალური ინჟინერიით“ დემოკრატიის მიღწევის პირველი ფართო მცდელობები იყო ქვეყნებში, რომლებიც ავსტრია-უნგრეთის, თურქეთისა და რუსეთის იმპერიების მსხვრევის შედეგად აღმოცენდნენ. მცირე გამოწვევის გარდა (ჩეხოსლოვაკეთისა და ფინეთის შემთხვევა), მსგავსმა მცდელობამ კრახი განიცადა (Headlam-Morley, 1929). მეორე ტალღა, რომელიც მოიცავდა დემოკრატიზაციის პროცესს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძალზე წარმატებული იყო. დღესდღეობით აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში დემოკრატიის დაფუძნების პროცესი უფრო იმედისმომცემია, ვიდრე განხორციელებული.

ბიჯ განთავისუფლებას ელიან. უკეთესი შედეგები არც იქ იყო, სადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოპოვებული დამოუკიდებლობა დემოკრატიის პირობებს ქმნიდა (Huntington 1992).

### 3. „ახალი“ შედარებითი პოლიტიკა

„ახალი“ შედარებითი პოლიტიკა, თავისი ინტერესით ზრდისა და განვითარებისადმი, მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის დიდი იმედების ნაწილი იყო. მაგრამ თუ განვითარების წინაპირობები და პერსპექტივები სიკეთეს წარმოადგენდა, მის საპირისპირო ბოროტ საწყისს კომუნიზმი და ცივი ომი განასახიერებდა. დასავლეთში ნებისმიერი ნაბიჯი მარცხნივ განიხილებოდა როგორც საბჭოთა კავშირის წარმატება, ხოლო ყოველი ნაბიჯი დემოკრატიისკენ \_ წარმატება იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეებისათვის. მშსგავსი მანიქველოზის შედეგი ის იყო, რომ მიუხედავად პირველი მიმართულებით ვირტუოზულად გატარებული პოლიტიკისა, ეს მხარე, გარკვეულწილად, მორალურად გამოიფიტა და, შეიძლება ითქვას, გაიხრწნა მეორის სწრაფი წინსვლის გამო. ამან განვითარების თეორიებს გარკვეული ორაზროვნება შესძინა, რაც სწრაფად გამოიყენეს „მესამე სამყაროს“ ქვეყნებმა. ამგვარი ორაზროვნება და გაურკვეველობა შეეხო არა იმდენად პოლიტიკური ინსტიტუტების ფორმირების პროცესს ევროპაში (ომის შემდგომი აღდგენის პერიოდის ევროპა, მარშალის გეგმის ჩათვლით), რამდენადაც კოლონიური ტერიტორიების „დეკოლონიზაციის“ პროცესებს.<sup>13</sup> აშშ-ს მიერ ლათინურ ამერიკაში განვითარების თეორიის გამოყენება უფრო გაურკვეველი იყო. ის ხორციელდებოდა „პროგრესისათვის ალიანსის“ საქმიანობით, რომელიც ბევრისათვის უბრალოდ „ნეოიმპერიალიზმი“ იყო ისევე, როგორც „მეორე სამყაროს“ ბევრი ქვეყნისათვის. ეს ქვეყნები „პირველ“ (დასავლეთი) და „მეორე“ სამყაროს (სსრკ და სხვა სოციალისტური ქვეყნები) შორის თვითგამოცხადებული და საეჭვო „ნეიტრალიტეტის“ სახელით უარს ამბობდნენ დემოკრატიაზე ერთპარტიული სახელმწიფოსა და ერთპიროვნული მმართველობის სასარგებლოდ და მეტ-ნაკლებად ქედს იხრიდნენ სოციალიზმის წინაშე (სოციალიზმი მეტად ბუნდოვნად განისაზღვრებოდა). განვითარების პოლიტიკა მორალურად იმდენად გაურკვეველი იყო, რომ ძირითადი მეტროპოლიური სახელმწიფოები ლამის

---

<sup>13</sup> დიქტატორობის მოსურნენი იმ დემოკრატიულ კონსტიტუციებს, რომლებიც განსაზღვრავდნენ დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზას ბევრ ყოფილ კოლონიურ ქვეყანაში, ნეოკოლონიალურ მემკვიდრეობად აცხადებდნენ.

ისევე იყვნენ მანიპულირების ობიექტი, როგორც თავად მართავდნენ სხვებს.

არსებითად, პოლიტიკურ პრობლემად იქცა ძალაუფლების დემოკრატიული გზით გადაცემასთან დეკოლონიზაციის შეთავსება, თანაც ნაციონალიზმის გზის შეცვლით (ანუ მისი მიმდინარეობის შეცვლით სახელმწიფოდან დემოკრატიის მიმართულებით) „ახალი ეროვნული სახელმწიფოების“ კონტექსტში. შესაბამისად, კოლონიალიზმმა ჰეგემონურის ნაცვლად მეურვეობითი ხასიათი მიიღო. იყო იმედი, რომ ამგვარი ქმედებით დემოკრატიული ინსტიტუტები გახდებოდნენ ინსტრუმენტები პოზიტიური, განვითარებადი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის. იმავე მოსაზრებით ეს დააზღვევდა საზოგადოებას „სტადიაზე გადახტომისგან“ (ერთპარტიული სახელმწიფოს კომუნისტური ვარიანტი იყო „ბურჟუაზიულ სტადიაზე გადახტომის“ და პირდაპირ სოციალიზმზე გადასვლის შედეგი). ერთმანეთს უპირისპირდებოდა „საფუძველში არსებული რეალობის“ ორი ძალზე განსხვავებული კონცეფცია: პირველისთვის - ბაზარს დამატებული დემოკრატია (ეკონომიკური და პოლიტიკური ბაზრი) - შექმნიდა დინამიკურ წონასწორობას არსებულ შესაძლებლობებსა და გარედან დახმარების საფუძველზე. მმეორე თვალსაზრისისთვის ასეთი სტადია თავისი არსით ნეოიმპერიალისტური და ჰეგემონიური იყო, რაც ეკონომიკურ კონტროლს პოლიტიკურით ცვლიდა. ამგვარად, ამ თვალსაზრისით დემოკრატიული ინსტიტუტებისა და გამოცდილების გადაცემა (დევოლუცია) მეტროპოლიიდან კოლონიაზე მეურვეობითი გზით ერთთათვის რევოლუციის შემცვლელია მაშინ, როცა სხვებისთვის რევოლუცია ამ გადაცემის (დევოლუცია) ალტერნატივაა (ამ უკანასკნელის მაგალითებია ალჟირი საფრანგეთისთვის, ვიეტნამი აშშ-სათვის და ა.შ.).

მემარცხენეებსა და მემარჯვენეებს შორის ბრძოლას დასავლეთის ქვეყნებისთვისაც ჰქონდა შედეგი. ევროპაში დევოლუციის ეკვივალენტი იყო მოძრაობა სოციალური კეთილდღეობისათვის და სოციალ-დემოკრატია თითქმის ყველგან (როგორც საფრანგეთსა და იტალიაში), სადაც ფართო, ლეგალური და კარგად ორგანიზებული დაფინანსირებული კომუნისტური პარტიები არსებობდნენ. მან სათავე დაუდო უზარმაზარ ლიტერატურას მუშათა მონაწილეობის („იუგოსლავიური მოდელი“) და მონაწილეობითი დემოკრატიის (Pateman 1970) შესახებ. მეტად მცირე დოზით სოციალიზმი გამოიყენეს ლიბერალური კაპიტალიზმის სახის შესაცვლელად. შედარებით ანალიზის უდიდესი ნაწილი მიემდვნა საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს ევოლუციასა და პრობლემებს (Offe 1984).

ასეთი განსხვავებები გამოიხატა განვითარების თეორიისადმი ორ ალტერნატიულ მიდგომაში: მოდერნიზაციის თეორიებში და დამოკიდებულების თეორიებში. მოდერნიზაციის თეორიის მიმდევართა წრეები მოიცავდა შედარებით კვლევების ერთმანეთისგან ძალზე განსხვავებულ და თავისუფლად დაკავშირებულ ჯგუფებს და აერთიანებდა ისეთ სპეციალისტებს, როგორებიც არიან გაბრიელ ალმონდი, სემუელ ჰანტინგტონი, დევიდ აპტერი, ლიუსიენ პაი, მაირონ უეინერი, ლეონარდ ბინდერი, ედვარდ სილსი და ტალკოტ პარსონსი. იყვნენ სხვებიც, რომელთაგან ზოგიერთი ერთმანეთთან ახამებდა ცალკეული შემთხვევების კვლევასა და ფართო პროფილის ანალიტიკურ ნაშრომებს. თუკი მათ ჰყავდათ საერთო წინაპარი, ეს იყო მაქს ვებერი. დამოკიდებულების თეორია, რომლის წინამორბედიც ვითომდა მარქსია, კიდევ უფრო მრავალფეროვანი იყო, აერთიანებდა ისეთ ეკონომისტებს, როგორებიც არიან პოლ ბარანი და ანდრე გიუნდარ ფრანკი, ასევე ჰერი ანდერსონისა და ერიკ ჰობსბაუმის მსგავს ისტორიკოსებს და პოლიტიკის მკვლევრებს - გევინ კიჩინგს, კოლინ ლეისსა და ბენედიქტ ანდერსონს.

პირველი ჯგუფის წევრთა უმეტესობისათვის „დეკოლონიზაცია პლიუს ზრდა პლიუს დემოკრატიზაცია“ იყო დამოუკიდებლობის ლეგიტიმური სტრატეგია, განსაკუთრებით მეურვეობითი კოლონიალიზმის პატრონაჟის ქვეშ (Shils 1962). მეორე ჯგუფის წევრთათვის, ეს წარმოადგენდა ჰეგემონიისა და ბატონობის სტრატეგიას და ამგვარი ფორმულა, როგორც პრინციპულად, ისე პრაქტიკულად, მიუღებელი უნდა ყოფილიყო. შედეგად მკვლევრები, რომლებიც ერთი და იმავე ქვეყნის ერთსა და იმავე მასალის მონაცემებს და მაგალითებს იყენებდნენ, მიდიოდნენ ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულ დასკვნებამდე, კენია ამის კარგი მაგალითია (Leys 1974; Kitching 1980; Bienen 1974).

როგორც არ უნდა ყოფილიყო შედარებითი პოლიტიკის, როგორც დარგის, პოლიტიზირება, ამას შედეგად შედარებითი პოლიტიკა ნაკლებად ევროცენტრისტული უნდა გამხდარიყო და მეტად დაინტერესებულიყო იმით, თუ როგორ შენდება დემოკრატია ქვეყნებში, რომელთათვისაც იგი არ არის ადგილობრივი მოვლენა. ამ შემთხვევაში ნაკლებად სწამდათ კონსტიტუციისა და ხელისუფლების „აღმშენებლობითი“ ძალისა და მეტად სჯეროდათ ინსტიტუტების შექმნის ორმხრივი და ერთდროული, ქვემოდან ზემოთ და პირიქით მართული პროცესის საჭიროებისა. განვითარებად სახელმწიფოს უხდებოდა განვითარების მხარდაჭერისა და სტიმულირების პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება და, შესაბამისად, შედეგების გაკონტროლება (Apter 1965). განვითარების თეორიის ფარგლებში არსებობდა მოსაზრება, რომ განვითარება, ადრე თუ გვიან,

თანდათანობით დავა იმ ძირითადი სოციალურ-კულტურული ღირებულებებისა და ინსტიტუტების გადმოღებამდე, რომლებიც მიღებულია განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში. ამ თეორიის მიხედვით, ეს მოხდებოდა განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც ზრდა გამოიწვევდა შრომის დანაწილებას, საშუალო კლასის განვითარებას, კერძო და საზოგადო მეწარმეობას და ა.შ. წარმატებული განვითარება წაშლიდა „ტრადიციულ“ შეზღუდულობასა და „პრიმორდიალიზმებს“ (Geertz 1963) და დააფუძნებდა დემოკრატიის წინაპირობებს. სამაგიეროდ, დემოკრატია მოახდენდა ამ პირობების ოპტიმიზაციას განვითარებისათვის. ამგვარად, რამდენადაც სახელმწიფოს უკეთ შეეძლო, რომ გაეკონტროლებინა, შეერბილებინა და ესარგებლა ზრდა-განვითარების შედეგებით, ზრდა შექმნიდა ახალ შესაძლებლობებს საზოგადოებებში დემოკრატიულ სტაბილური გადასვლისათვის.

ყოველივე ზემოთ თქმული ითხოვს ნაკლებად ცნობილი კულტურებისა და პრაქტიკის უკეთ გაგებას. წინა თაობის ინსტიტუციონალისტები პოლიტიკურ ეკონომიკას სწავლობდნენ უმუშევრობის, ფისკალური პოლიტიკის, ბიზნესპროცესების გაკონტროლებისა თუ სხვა კონტექსტებში, ხაზი ესმებოდა კავშირებს დასავლეთში პრეინდუსტრიულიდან ინდუსტრიულ საზოგადოებაზე გადასვლის `დიდ გარდაქმნას` და მის გამოყენებას იმ რეგიონში, რომელიც სულ უფრო ხშირად მოიხსენიებოდა როგორც `მესამე სამყარო` (Polanyi 1944).<sup>14</sup> ანალიტიკურმა აქცენტმა გადაინაცვლა სახელმწიფოდან სოციალურ სტრუქტურებზე და იმაზე, თუ როგორ უნდა დაინერგოს დემოკრატიის ღირებულებები და კულტურული პრინციპები, როგორ არის შესაძლებელი ამ ღირებულებების მიხედვით ხალხის მოტივირება და სოციალიზაცია ან ინტერნალიზაცია. ამ საკითხების მიხედვით, შესაძლებელია გამოვიკვლიოთ, თუ რამდენად შეძლებს ნაციონალიზმი, დამოუკიდებლობისა და ავტონომიისაკენ მამოძრავებელი და მამობილიზირებელი ძალა, შეითვისოს დემოკრატიული ნორმები და პოლიტიკური ღირებულებები.

ზოგადად, განვითარების თეორიამ ხელი შეუწყო მეტად განსხვავებული სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტებისა და კულტურული პრაქტიკების მქონე საზოგადოებების შედარებას. ცენტრალურ ჰიპოთეზებს განაპირობებდა ის, თუ როგორ განვითარდა „თანამედროვე“ ინსტიტუტები დასავლეთში: ცვლილება თეოკრატიულიდან სეკულარულისკენ; სტატუსიდან კონტაქტისკენ, წინაკაპიტალისტურიდან კაპიტალისტურიდან.

---

<sup>14</sup> ძნელი იქნება კომპარატივისტების მთელ თაობაზე ამ ნაშრომის გავლენის გადაჭარბებით შეფასება.

ტურისკენ, სტატიკურიდან სოციალური ცვლილებების ევოლუციური ცნებების მიმართულებით; ორგანულიდან მექანიკური სოლიდარობისკენ, ტრადიციულიდან რაციონალური ძალაუფლებისკენ; Gesellschaft-დან Gemeinschaft-კენ; ყველაზე რადიკალურად განწყობილთათვის – გარდაქმნა წინაკაპიტალისტურიდან ბურჟუაზიული დემოკრატიისა და სოციალიზმის მომავლისკენ. ეს ფართომასშტაბიანი განსხვავებები, რომლებიც დარგობრივ კვლევებში ჩამოყალიბდა, ქმნიდნენ შედარების საფუძველს, რომელიც კონცენტრირებული იყო სოციალური ცვლილების პრობლემებზე, და თუ როგორ ახდენს ეს ცვლილება პოზიტიურ თუ ნეგატიურ გავლენას დემოკრატიის შესაძლებლობებზე. ამ პროცესში ჩართული მაკონტროლებელი და მარეგულირებელი სოციალური დამაბულობები განსაზღვრავდა სახელმწიფოს უზენაეს როლს, სადაც პოლიტიკა განიხილებოდა წონასწორობის, სტაბილურობისა და სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების იარაღად. იქ, სადაც ამგვარ დამაბულობათა გაწონასწორება ვერ ხერხდება და ხელისუფლებები არ თავსდებიან ინსტიტუციონალიზაციის ჩარჩოებში, იზრდება მიდრეკილება ავტორიტარული რეჟიმებისა და „პრეტორიანიზმისაკენ“ (Huntington 1968).

არ იქნებოდა სწორი, თუკი ვიტყოდით, რომ „ახალი შედარებითი პოლიტიკა“, რაც უფრო მეტად გამოყოფდა სოციალურ ცვლილებას, მით უფრო ნაკლებად ინტერესდებოდა კონკრეტული პოლიტიკური ინსტიტუტებით. თუმცა, ცდილობდა რა, ჰიპოთეზის ფორმით გამოეყენებინა, რაც შეისწავლეს დასავლური საზოგადოების წინა ინდუსტრიულიდან ინდუსტრიულად გარდაქმნის კვლევებში, ის ყურადღებას უთმობდა საზოგადოებას, როგორც სახელმწიფოს, სადაც ხელისუფლება ყალიბდება სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით, რომელთაგანაც ყველა არ არის პოლიტიკური ხასიათის.<sup>15</sup> მიდგომა, რომელსაც საფუძვლად უდევს დიქოტომია „ტრადიცია / თანამედროვეობა“, ცდილობდა, დაედგინა მნიშვნელოვანი ნორმები და ღირებულებები. მათი დამკვიდრება და სოციალიზაცია (ისევე, როგორც იდენტიფიცირება იმ ნორმებისა და ღირებულებე-

---

<sup>15</sup> სოციალური ცვლილებების თეორიტიკოსები, ყურადღებას აქცევდნენ რა უფრო თვისობრივ, ვიდრე რაოდენობრივ მეთოდებს და ფუნქციონალურ ჩარჩოებს, ორიენტირებული იყვნენ იმ პრობლემაზე, თუ როგორ „გაეწონასწორობინათ“ განვითარებისა და დემოკრატიისათვის შესაბამისი ნორმები, მოეხდინათ მათი ინტერნალიზება შესაბამისი ქვეყნის ფორმის სახით, რომელიც სოციალიზირებული იქნებოდა როლებისა და მათი ქსელების სახით, შესაბამისად გაამლიერებდნენ ნორმებს და მოახდენდნენ მათ ინსტიტუციონალიზაციას. ამ ნორმებს შორის „შესაბამისობის“ უკმარისობა წარმოშობს „დამაბულობას“, რომლის გასწორებაც „პოლიტიკურ“ პრობლემას შეადგენს.

ბისა, რომლებიც ამ პროცესისთვის ნაკლებად ხელშემწყობი და წინააღმდეგობრივი იყო შექმნიდა „თანამედროვეობას“ და დემოკრატიაზე წარმატებული გადასვლის საფუძველს. ამისათვის შედარებითი პოლიტიკის თეორიტიკოსებს შეეძლოთ დაყრდნობოდნენ სოციალური ისტორიკოსების, ისტორიული სოციოლოგებისა და ანთროპოლოგების მთელ პანთეონს (მაქს ვებერი, ემილ დიურკჰეიმი, ფერდინანდ თიონისი, გეორგ ზიმელი, ვილფრედო პარეტო, ჯორჯ ოსტროგორსკი, რობერტ მიხელსი, რობერტ რედფილდი, ბ. მალინოვსკი, ა. რ. რედკლიფ-ბრაუნი, ე. ე. ევანს-პრიჩარდი, კლოდ ლევი-სტროსი და სხვები), რომლებიც იკვლევდნენ კავშირს რწმენა-წარმოდგენებსა და სოციალურ პრაქტიკებს შორის.<sup>16</sup>

ნორმების ინტერნალიზაციაზე, სოციალიზაციასა და ინსტიტუციონალიზაციაზე ყურადღების გამახვილება პრაქტიკულად სოციალური ფსიქოლოგიიდან გადმოდებულ და პოლიტიკური ანთროპოლოგიიდან აღებულ ღირებულებათა თეორიებს ემყარებოდა. ის, თუ როგორ ეხმაურებოდნენ ინოვაციებს სხვადასხვა კულტურები და ეთნიკური ჯგუფები, სხვა ცენტრალური ინტერესის საგანი იყო, რომელიც ერიკ ჰ. ერიკსონის (Erikson 1968) იდენტურობის თეორიას, დევიდ მაკლელენდის (MacClelland 1961) „მიღწევის მოტივაციის“ თეორიას და ჯონ დოლარდის (Dollard 1939) ნგრევა-აგრესიის თეორიას ემყარებოდა. ამგვარი ინტერესები წარმოდგენილი იყო საკვლევ მასალათა ფართო სპექტრით და მოიცავდა როგორც `ტრადიციონალიზმსა` და `თანამედროვეობას` შორის არსებული წინააღმდეგობების შედარებებს (Eisenstadt 1973; Rudolph and Rudolph 1967), ასევე პოლიტიკური ძალადობისა (Gurr 1971) და პოლიტიკური ინტეგრაციის პირობების თეორიებს (Geertz 1963) და ეთნიკური კონფლიქტის ანალიზს (Horowitz 1985).<sup>17</sup>

მოდერნიზაციის კვლევა მეტწილად სოციოლოგთა ძლიერ გავლენას განიცდიდა. შესაძლოა, ყველაზე გავლენიანი ტალკოტ პარსონსი იყო, მაგრამ როგორც საზოგადოებების, ისე სახელმწიფოების სისტემათა პერიოდული შედარება, პოლიტიკური შედეგების თვალსაზრისით, შეიძლება ვიპოვოთ ბევრ სხვა მკვლევართანაც, ისეთებთან, როგორებიც არიან სემიურ მარტინ ლიპსეტი, ფილიპ სელზნიკი, დენიელ ბელი, არტურ კორნჰაუზერი, ფილიპ კონვერსი, რალფ დარენდორფი, მორის იანოვიცი, ედვარდ შილსი და ალენ თურენი. საკითხებს შორის, რომლებსაც ისინი

<sup>16</sup> პოლიტიკური კვლევის დაინტერესება კულტურებით, შეიძლება ითქვას, დაიწყო ეროვნულ ხასიათთა კვლევით. იხ. მაგ., Inkeles 1972.

<sup>17</sup> უნდა აღინიშნოს „ფსიქოლოგიური“ აქცენტის მნიშვნელობა პოლიტიკური ძალადობის კვლევაში (Gurr) და ფსიქონალიტიკური მიდგომები, რომლებიც იყო კ. ფეიერაბენდმა და როზალინდა ლ. ფეიერაბენდმა შეიმუშავეს.

იკვლევდნენ, იყო ეთნიკურობა, პრიმორდიალიზმი, საზოგადოების `საკვანძო ღირებულებების` შესწავლის საჭიროება და ცვლილების პროცესში მყოფი პოლიტიკური კულტურების ცვალებადი გამომახილები (Apter 1963/1971).<sup>18</sup>

პოლიტიკური ეკონომია, რომელიც ინსტიტუციონალისტებისათვის შემოიფარგლებოდა ფინანსური ინსტიტუტებით, ხაზინისა და ცენტრალური ბანკების როლით და, რა თქმა უნდა, დემოკრატიის განვითარებაში ბიზნეს წრეებისა თუ უმუშევრობის მნიშვნელობით (Schumpeter 1947: 47), შეიცვალა განვითარებით. შედარებით პოლიტიკაში გავლენიანი ლიბერალური ჯგუფის ძირითადი ფიგურები, რომლებიც საბაზრო თეორიას იყენებდნენ, იყვნენ ვ. ვ. როსტოუ, ვ. არტურ-ლიუისი (Lewis 1957) და ალბერტ ჰირშმანი, რომლებიც ჯერ დაინტერესდნენ იმით, თუ რა არის ის, რასაც შეიძლება ამერიკული საუკუნე ეწოდოს, შემდეგ – აფრიკით და კარიბის აუზით და, ბოლოს – ლათინური ამერიკით.

სწორედ პოლიტიკური ეკონომიკის ამ „ალტერნატიული“ თეორიების გამო კომპარატივისტები, რომლებიც „მოდერნიზაციის“ თეორიას იყენებდნენ, გამოეყვნენ მათ, ვინც „დამოკიდებულების“ თეორეტიკოსად ჩამოყალიბდა. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია როგორც კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის კრიტიკული თეორიებით, ასევე ზემოდან განხორციელებადი სოციალიზმის ალტერნატიული რეცეპტებით (ერთპარტიული სახელმწიფოს საშუალებით ბურჟუაზიული დემოკრატიის ფაზის „გამოტოვებით“). ამგვარი მოსაზრებები კარგად იყო წარმოდგენილი პოლ ბარანის ნაშრომში *ზრდის პოლიტიკური ეკონომია* (Baran 1962), რომელმაც გავლენა მოახდინა დამოკიდებულთა რამდენიმე თაობაზე ლათინურ ამერიკაში და დიდი წვლილი შეიტანა რადიკალური განვითარებადი შედარების ჩამოყალიბებაში, დაწყებული საკვლევი მასალებიდან (Leys 1974), დამთავრებული ფრანკის, კარდოზოს, სიურე კანალის და ამინის შედარებითი კვლევებით, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ემყარებოდა ალთუსერის, ე. პ. თომპსონის და პულანცასის ნამუშევრებს და მრავალ სხვა შრომასაც მოიცავდა.

თუ განვითარების თეორია, იქნებოდა ეს მოდერნიზაციის კვლევები თუ დამოკიდებულების თეორია, ჩათრეული იყო ცივი ომის კონფლიქტებში, როგორც ეს გამოვლინდა მესამე სამყაროში, ასეთი კონ-

---

<sup>18</sup> ინტერესს იწვევდა „პოლიტიკური ინსტიტუციონალური ტრანსფერის“ პრობლემა, მაგალითად როგორ და რამდენად იქნებოდა შესაძლებელი დასავლური საპარლამენტო სტრუქტურების „ინსტიტუციონალიზაცია“ აფრიკულ გარემოში. იხ. Apter 1963/1971 b.

ფლიქტები ასევე აისახა ისეთ შედარებით მეთოდოლოგიებს შორის არსებულ განსხვავებებში, როგორცაა ფუნქციონალიზმი VS დიალექტიკური ანალიზი.<sup>19</sup> პირველი უფრო იხრებოდა მის მიერ დემოკრატიის საფუძვლად მიჩნეული ლიბერალური კაპიტალიზმის კონტექსტში წარმოდგენილი წონასწორობის თეორიისაკენ, მმეორე კი – სოციალიზმისაკენ, en route კონფლიქტის თეორიისაკენ. იმის მიხედვით, თუ რა თვალსაზრისს იღებს მკვლევარი, ნაციონალიზმმა შეიძლება სხვადასხვა სახე მიიღოს: აბსოლუტისტური (Anderson 1986); ინტეგრაციის წამახალისებელი (Apter 1963/1971 b; Coleman 1958); პრეტორიანიზმის (Huntington 1968); ნაციონალური დისკურსის საშუალებით – მხარდაჭერის მამობილიზებული (Anderson 1991); პოლიტიკური პარტიებისა და პარტიული სახელმწიფოს, როგორც ინსტრუმენტის, გამოყენებით – გარდაქმნის ძალის (Gellner 1983, Hobsbawn 1990); დეზინტეგრაციული ძალის (Migdal 1988); ან სხვადასხვა კონტექსტში, ფაქტობრივად, ყველა ზემოთ ჩამოთვლილის (Almond, Flangan and Mundt 1973).

ამგვარი საკითხები ჩართული იყო როგორც ფართო შედარებების, ისე შემთხვევათა კვლევებში, რომლებიც სიღრმისეულად სწავლობდნენ ცვლილების, განვითარების, ჰეგემონიის, ძალაუფლების ვრცელ თემებს.<sup>20</sup> ამ ძალზე განსხვავებული კომპონენტებიდან და შეხედულებებიდან შედარებებისა და პოლიტიკური ეთნოგრაფიების დიდი მრავალფეროვნება აღმოცენდა. მათ საქმე აქვთ შედარებებთან მესამე სამყაროს ქვეყნებს შიგნით და, მათ შორის, ძირითადად, ერთპარტიულ სახელმწიფოებთან, ავტორიტარიზმთან და იმ პრობლემებთან, რომლებსაც სტაბილური დემოკრატიული მართვისათვის სოციალურ კონფლიქტთა გამძაფრება წამოჭრის. ფაქტობრივად, პოლიტიკური ცხოვრების ქვეტექსტების გამო-

---

<sup>19</sup> მოდერნიზაციისა და დამოკიდებულების თეორიები ორმხრივად ურთიერთსაწინააღმდეგაა. პირველი ყურადღებას აქცევდა ეკონომიკური ზრდის კონტექსტში ინსტიტუტების ჩამოყალიბებას. მეორე კი – წინააღმდეგობებს კაპიტალიზმში ეკონომიკურ ზრდასა და მის ნეოკოლონიალურ წარსულს შორის და ხაზს უსვამდა „თანმდევ“ ნეოიმპერიალისტურ პოლიტიკურ შედეგებს. თითოეული მათგანი ერთიმეორის „კრიტიკულ თეორიას“ წარმოადგენდა და განსაზღვრავდა შედარებით და საკვლევ შემთხვევათა მასალების ვრცელ პროგრამებს. ორივე მათგანი გამოიყენება პოლიტიკური ეკონომიკის განვითარების პრინციპებისათვის როგორც ინდუსტრიული ქვეყნების (მეტროპოლიები), ისე მესამე სამყაროს ქვეყნების (პერიფერიები) ფარგლებში. წარსულს თუ გადავხედავთ, შევამჩნევთ, რომ მოდერნიზაციის კვლევები ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ სახელმწიფოს, როგორც აქტორს მაშინ, როცა დამოკიდებულების თეორიები განიხილავდნენ სახელმწიფოს, როგორც გაბატონებული კლასების და ხელისუფლებების აგენტს.

<sup>20</sup> შედარება Eერთი შემთხვევის ფარგლებში დიაქრონულია, ანუ გვიჩვენებს შიდა ცვლილებებს დროში. უფრო ფართო შედარებები კი სინქრონულია.

სავლენად შესწავლილ იქნა საზოგადოების ყოველი ასპექტი, განათლები-სა და საგანმანათლებლო სისტემების გავლენისა და შედეგების, ელიტებ-ის ადგილისა და როლის, სამოქალაქო კულტურისა და სამოქალაქო ერ-თობებში მისი სოციალიზაციის ჩათვლით (Almond and Coleman 1960; Coleman 1965; Almond and Verba 1963).<sup>21</sup> საზოგადოებრივი ცხოვრების ნე-ბისმიერი სფეროთი დაინტერესება ბუნებრივია იდეოლოგიისთვის, გან-საკუთრებით ნაციონალისტურისთვის, რომელიც თავის მიდგომას გამო-იმუშავებს რადიკალიზმის საპირსპიროდ ან მასთან კავშირში. ნაციონ-ალიზმი გახდა ლეგიტიმაციის, პარტიული მობილიზაციის, მასობრივი მოძრაობების, პოპულიზმისა და ლიდერობის შესწავლის საფუძველი, კერძოდ, იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად უკავშირდებიან ისინი ავტო-რიტარიზმს და დემოკრატიის უარყოფას (Ionescu and Gellner 1969; Linz and Stepan 1978; O' Donnell 1973).

როგორც მოდერნიზაციის, ისე დამოკიდებულების თეორიის (ზო-გადად განვითარების თეორიის) ერთ-ერთი ზოგადი კრიტიკა მდგომარე-ობდა იმაში, რომ პოლიტიკა ეკონომიკისა თუ სოციალური პროცესების ასახვის დონეზე დავიდა. განვითარების თეორიის მომხრეები ინსტიტუ-ციონალისტებს აკრიტიკებდნენ მათი უუნარობის გამო, დამაკმაყოფილე-ბელი თეორიული გზით გამკლავებოდნენ სახელმწიფოს ჩამოუყალიბებ-ელ ძალასა და სოციალური ცხოვრების სირთულეებს, რომლებიც ჩიხში აქცევდნენ საუკეთესოდ შედგენილ კონსტიტუციებს. ამავე დროს, ისინი თავად სცოდავდნენ საპირსპირო მიმართულებით, თავიანთი ვრცელი თეორიების გამო (Tilly 1984)

#### 4. ნეოინსტიტუციონალიზმი

ის, რასაც *ნეოინსტიტუციონალიზმს* უწოდებთ, ძველი ინსტიტუ-ციონალიზმისა და განვითარების თეორიის ნაზავია. იგი კვლევის ყუ-რადღების ცენტრში აქცევს `პოლიტიკურ სისტემას` და ერთმანეთთან ათავსებს ინტერესს ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისა და ევროპის მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ ნეოინსტიტუციონალიზმი აღმოცენდა პლურალისტური დემოკრატიისადმი ინტერესიდან. (Dahl 1982; Dogan

---

<sup>21</sup> რა თქმა უნდა, მასალების ნამდვილი კრებული (ლაპალომბარას, ვაინერის, პაის, ქულმანის და ზინდერის ნაშრომი ბიუროკრატიაზე, არადასავლურ გარემოში დასავლური ინსტიტუტების შედწევაზე და მსგავს საკითხებზე), ძირითადად, აღმოცენდა სოციალური მეცნიერების კვლევითი საბჭოს შედარებითი პოლიტიკის კომიტეტის (Committee on Comparative Politics of the Social Science Research Council) მფარველობის ქვეშ.

1988). იგი იკვლევს პოლიტიკურ ქცევას, მათ შორის ქცევას ხმის მიცემისას, პოლიტიკური პარტიების ცვალებად ბედს და ამ ცვლილებების მნიშვნელობას სახელმწიფოსათვის (Lipset and Rokkan 1967; Rokkan 1970), ასევე დემოკრატიზაციისა და ელიტების პრობლემებს (Linz and Stepan 1978). ნეოინსტიტუციონალისტებმა, რომლებიც განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ სოციალური კეთილდღეობითა და ავტორიტარიზმის სოციალ-დემოკრატიული ალტერნატივებით, უარი თქვეს ძველი ინსტიტუციონალისტების გატაცებაზე `დიდი დეპრესიით`, ასევე სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს განზოგადებაზე. ამის მნიშვნელოვან მაგალითს წარმოადგენდა სკანდინავიური და ჰოლანდიური ექსპერიმენტები სოციალურ დემოკრატიასთან მიმართებაში და ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტია.<sup>22</sup> ევროპაში ყველგან შეიმჩნეოდა პოლიტიკური მოძრაობა ნაკლებად უზრუნველყოფილი მოქალაქეების სასარგებლოდ სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოებაში მეტი ჩარევის თვალსაზრისით.

შედარებით კვლევებში ყურადღება გამახვილებული იყო: პოლიტიკურ პარტიებზე \_ თუ როგორ მუშაობენ ისინი, როგორ აყალიბებენ კოალიციებს; სხვადასხვა ტიპის რეჟიმებში საზოგადოებრივ განწყობათა ცვლილებასა და ელიტების როლზე; ბიუროკრატების და პოლიტიკოსების როლზე. თუკი განვითარების თეორია ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკური ზრდის აუცილებლობაზე, როგორც დემოკრატიისთვის საჭირო ბაზისზე, ნეოინსტიტუციონალიზმი სწავლობს, თუ რა ხერხებით შეუძლია ხელისუფლებას წინ აღუდგეს ზრდის ნეგატიურ შედეგებს (თუნდაც გარემოს დაბინძურებასა და ემიგრანტთა მოზღვავეების პრობლემებს), როცა საწარმოს მუშათა მარგინალიზაცია და პოლარიზაცია ფუნქციონალურ ელიტასა და ფუნქციონალურად ზედმეტ, არასაჭირო ქვეკლასს შორის ამაფრებს დამაბულობას და გზას უხსნის ექსტრემიზმს. ეს ასევე მოიცავს სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოსა და სოციალ-დემოკრატიის ყოველმხრივი გადასინჯვისათვის და ლიბერალური სახელმწიფოსაკენ (რომელიც ინსტიტუციონალიზმის მთავარი საზრუნავი იყო) დაბრუნებისათვის ახსნის მიებას \_ არამართო მართვის იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა პირობებშიც ყველაზე ეფექტური სტრატეგიები პოლიტიკურად განუხორციელებელი არ არის და პოლიტიკურად ყველაზე განხორციელებადი სტრატეგიები ეფექტურია (Leca and Papini 1985). დაბოლოს, ამგვარი საკითხების შეფასება ხდება საბჭოთა კავშირის ნგრევის შედეგად წარმოქმნილი ნეგატიური მოვლენების ფონზე და მის

---

<sup>22</sup> ეს უკანასკნელი შედეგია იმისა, რომ მადლიერი მთავრობა გრძნობს გარკვეულ ვალდებულებას მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და მოქალაქეების წინაშე.

საწინააღმდეგოდ. თუკი ცივი ომის დასასრულმა მოგვცა დემოკრატიული არჩევანის მესამე წრე, მაშინ ასევე არსებობს ახალი შესაძლებლობები რელიგიური და ეთნიკური სექტანტობისა და ფუნდამენტალიზმისათვის, რომელთაგან არც ერთი არ იყო გათვლილი ან არ იყო მოსალოდნელი „სოციალური ცვლილებების“ თეორიებისათვის.<sup>23</sup>

განვითარების თეორიის მომხრეები და ნეოინსტიტუციონალისტები ერთმანეთს ყველაზე მეტად უახლოვდებიან იმით, ორივე დიანტრესეზულია დემოკრატიაზე გადასვლით. ეს უკანასკნელი პრობლემის შესასწავლად გარკვეულწილად განსხვავებულ სტრატეგიებს იყენებს. ყველაზე პირობითია ისტორიულ შემთხვევებზე დაფუძნებული ვრცელი Eშედარებები, რომლებიც კლასსა და სახელმწიფოს ე.წ. „პოსტვებერიანულ“ ჩარჩოში ათავსებენ. ამისი ადრეული მაგალითებია რაინჰარდ ბენდიქსისა (Bendix 1964) და ბერინგტონ მურის (Moore 1966) ნაშრომები. მოგვიანებით ამას შეემატა სკოპოლის (Skocpol 1979), ოდონელის, შმიტერისა და უაითჰედის (O’Donnell, Schmitter and Whitehead 1986) კვლევები. ამათგან პირველი სამი იყენებდა შედარებებს საფრანგეთიდან და ინგლისიდან, ინდოეთიდან და იაპონიიდან, რუსეთიდან და ჩინეთიდან, როგორც კლასების, ისე სახელმწიფოსა და ბიუროკრატის როლის თვალსაზრისით, ხოლო უკანასკნელნი მოიხმობდნენ ლათინური ამერიკის მაგალითებს. დემოკრატისა და ტოტალიტარიზმის პირობებში სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ ყველამ საერთო დასკვნა გააკეთა.

სხვა მკვლევრები აღნიშნავდნენ კავშირის არსებობას ინდუსტრიულ კაპიტალიზმსა და საპარლამენტო დემოკრატიას შორის, მუშათა კლასის გადამწყვეტ ისტორიულ როლს (Rueschemeyer, Stephens and Stephens 1992) და საერთოდ, სოციალური პროტესტისა და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის მნიშვნელობას (Tilly 1978; Tarrow 1994).<sup>24</sup> აქ ვინმემ შეიძლება ამტკიცოს, რომ თუკი კაპიტალიზმს დემოკრატის აუცილებელ პირობად მივიჩნევთ, რა თქმა უნდა, ის არ იქნება საკმარისი და ამომწურავი (Lipset 1994).

---

<sup>23</sup> აადმოსავლეთ ევროპამ გარკვეულწილად შეცვალა მესამე სამყარო „კონსტიტუციური ინჟინერიის“ პროცესში. ასევე ის იქცა ყოფილი სოციალისტური სისტემების კაპიტალისტურად გარდაქმნის პროცესების შესწავლის ობიექტად. იმავე მოსაზრებებით, არსებობდა მზარდი ინტერესი დემოკრატიული რეჟიმების დაცემასთან მიმართებაში. იხ. Linz and Stepan 1978.

<sup>24</sup> ეს უკანასკნელი მზარდი კვლევითი სფეროა, რომელიც მოიცავს ალან თურენის, ჩარლზ თილის და სიდნი თაროუს მიერ ჩატარებულ კომპარატივისტულ სამუშაოს სოციალური მოძრაობების შესახებ პოლონეთში, ჩილეში, საფრანგეთსა და სხვაგან.

ასევე აღორძინდა ინტერესი სტატისტიკური კვლევებისადმი, ისეთი ფაქტორების შედარებისთვის, როგორცაა განათლება, ზრდის მაჩვენებლები და ურბანიზაცია. ინკელსისა და სმიტის გათანამედროვეება (Inkeles and Smith 1974), შესაძლოა, სხვა ნაშრომთა წინამორბედი იყო. ამ კვლევაში ექვს ქვეყანაში იერარქიის, სტრატეფიკაციის, სტაბილურობისა და სხვა საკითხთა შესასწავლად გამოყენებულია მრავალგვარი ცვლადები. არის მონოკვლევების მაგალითებიც. მათ რიცხვს მიეკუთვნება შედარებითი პოლიტიკური ეკონომია, რომელიც ანალიზებს ცალკეულ ქვეყნებს, მაგალითად, საფრანგეთს. ამგვარი კვლევებიდან აღმოცენდება ინტერესი პარლამენტურ რეჟიმებში ძალაუფლების კონცენტრაციისა და გაშლის, საარჩევნო სისტემისა და ელექტორალური ქვეყნის შესახებ. ამგვარი თემების ვარიაციები მოიცავს კონსოციალიზმის შესაძლებლობების ანალიზს (თუ როგორ დაფუძნდეს სიცოცხლისუნარიანი დემოკრატიული ინსტიტუტები ღრმად გამჯდარი სოციალური განხეთქილებების ფონზე). ეს თემა სათავეს იღებს უგანდაში სოციალური კონფლიქტის პოლიტიკის შემთხვევის კვლევიდან (Apter 1961). შემდეგ მას მოჰყვა ნაშრომები ნიდერლანდების მაგალითზე. ლაიპჰარტისა და სხვათა ნაშრომებში ეს თემატიკა განივრცო ავსტრიიდან სამხრეთ აფრიკამდე (Lijphart 1977; 1984). ეს მეცნიერები დიდი კვალიციების თეორიებსა და ვეტოს ორმხრივ მექანიზმებს დემოკრატიის სასარგებლო თუ საწინააღმდეგო ტენდენციების გამოსავლენად იყენებდნენ. ასევე ყურადღება ექცეოდა პოლიტიკური სუბსისტემების ურთიერთქმედებას, იმას, თუ როგორ იქმნება შესაძლებლობები „მოლაპარაკების გზით შეთანხმებისათვის“ (Di Palma 1990).

ნეოინსტიტუციონალიზმის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა რაციონალური არჩევანის თეორიის გამოყენება. მას სულ უფრო და უფრო ხშირად მიმართავენ დემოკრატიის საკითხთან დაკავშირებით იმ თვალსაზრისით, რასაც შეიძლება ვუწოდოთ `ორმაგი ბაზარი` – ეკონომიკურ ბაზარსა და პოლიტიკურს შორის გადაკვეთა. ამგვარ მიდგომას სათავე დაუდეს დაუნსმა (Downs 1957) და ოლსონმა (Olson 1965; 1982), ხოლო შემდგომში სხვადასხვა თვალსაზრისით განავითარეს ჰეჩტერმა, ბეიტსიმ, ლეიტინმა, როზენბლუმმა და სხვებმა. დემოკრატიული რეჟიმების შენარჩუნების ძირითადი ელემენტი პევეორსკისათვის (Przeworski 1991) იმაში ძვეს, თუ რამდენად შეუძლიათ მათ ისეთი სტიმულების გამომუშავება, რომ პოლიტიკურმა ჯგუფებმა, რომლებიც შეიძლება დამარცხდნენ, უფრო მეტი სარგებელი ნახონ დემოკრატიულ ჩარჩოებში კონკურენცია-შეჯიბრის გაგრძელებით, ვიდრე ამ ჩარჩოების დამხობა-განადგურებით. როგორც ძველი ინსტიტუციონალისტე-

ბის, ისე თანამედროვეობის თეორიტიკოსებისაგან განსხვავებით (ასეთია, მაგალითად, ჰანთინგთონი), ეს მიდგომა ასკვნიდა, რომ საჭირო არ არის გწამდეს დემოკრატიის, რათა მას მხარი დაუჭირო. პრეფერენსიისათვის მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად ხდება ეკონომიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და რა ხარისხით აღინიშნება რეფორმების შედეგები უმუშევრობის, სიღარიბისა და უთანასწორობის შემცირების საკითხებზე. ინტერესების ამგვარი ცვლილების კვალდაკვალ კვლევის ცენტრში კვლავ ექცევა არამარტო ხელისუფლების ინსტიტუტები, არამედ დასავლური სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოებისა და სოციალ-დემოკრატიების გამოცდილებაც. ეს გამოცდილება მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორც კომპენსატორული პროგრამების სათანადოდ განხორციელებისა და ღარიბთა სოციალური მხარდაჭერის გზების ძიება. ამით დღის წესრიგში დადგა მთავრობის როლისა და საქმიანობის მასშტაბებისა და საზოგადოებაში სახელმწიფოს ჩარევის საზღვრების საკითხები.

არც პოლიტიკური კულტურაა დავიწყებული. პატენი იყენებს იტალიას, როგორც საკვლევ შემთხვევას რეგიონალური პოლიტიკის კონტექსტში. ის საკმაოდ დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ აქ ძირითად ცვლადს შეადგენს სამოქალაქო ტრადიციებისა და სამოქალაქო ერთობის არსებობა-არარსებობა. მისი მიდგომა მოდერნიზაციის ზოგიერთი თეორიტიკოსის ნამუშევრის კომბინაციაა, თავისი ინტერესით კონკრეტული ინსტიტუციონალური წყობისადმი, რომელიც ყურდნობა კვლევის როგორც ანალიტიკურ, ისე რაოდენობრივ ფორმებს ინსტიტუციონალიზმის კონფიგურაციული ტრადიციის ფარგლებში.

საბოლოოდ, პოლიტიკური ეკონომია შეერწყა ინსტიტუციონალურ შედარებებს ევროპაში, რაც მოიცავს პოლიტიკური პარტიების რეაქციას ეკონომიკაში ცვლილებებზე, ევროპულ ინტეგრაციას და, რა თქმა უნდა, სოციალიზმის გაქრობას არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში, არამედ ასევე სოციალიზმისა და სოციალ-დემოკრატიის დაკნინებას თავად დასავლეთში. თანამედროვე პრობლემები მოიცავს სოციალური კეთილდღეობისა და სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფოს უზრუნველყოფის, ზოგადად მემარცხენეობის დამცრობის პარტიულ პრიორიტეტებზე ზეგავლენის და სხვა ისეთ კონკრეტულ საკითხებს, როგორცაა ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის გარდაქმნა ნაციონალიზაციის საპირისპიროდ საბაზრო პრინციპების დაშვების კუთხით, მიტერანჩიმის დენაციონალიზაციის ფაზისა და სოციალისტური პარტიის ფრაქციონალიზაცია საფრანგეთში და ა.შ. კვლევის თანამედროვე ინსტიტუტებში მიმდინარეობს კამათი ორ თვალსაზრისს შორის, თუ რამდენადაა დემოკრატია თავისი პროცედურებისა და ეფექტურობის ფუნქციის და რამდე-

ნად პირდაპირი კულტურული ტრადიციის თუ კულტურული ძვრების იდენტური (იხ., მაგ., Inglehart 1990; Abramson and Inglehart 1995).

ეს კონკრეტული საკითხები ნაწილია ფართო შედარებებისა, მაგალითად, სკანდინავიურ და სხვა სოციალ-დემოკრატიულ ქვეყნებისა, მაგალითად როგორცაა ნიდერლანდები და საფრანგეთი. ეს „ძლიერი“ ან ინტერვენციონალისტური სახელმწიფოებია საზოგადოებაში ჩარევის მაჩვენებლის მიხედვით, რომელთაც აქვთ მაღალი სოციალური ხარჯები და ამუშავებენ კეთილდღეობის პროგრამებს. ამ საკითხებისადმი მიძღვნილი უახლესი და მნიშვნელოვანი ნაშრომების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ჰიტერ ჰოლის (Hall 1986), ჯონ ზისმანის (Zysman 1983) და პიტერ კაცენსტაინის (Katzenstein 1978) ნაშრომები.<sup>25</sup>

ამგვარად, ნეოინსტიტუციონალიზმი, ძველ ინსტიტუციონალიზმთან შედარებით, ნაკლებადაა ორიენტირებული კონსტიტუციურ ჩარჩოებზე და მეტად იხრება ეკონომიკური ანალიზისაკენ იმდენად, რამდენადაც საქმე აქვს ფისკალურ და სავალუტო პოლიტიკასთან, ბანკებთან, ბაზრებთან და გლობალიზაციასთან. თუმცა მის ინტერესებში ასევე შედის ცვლილებების დაფიქსირება კანონმდებლობით პროცესებში, დიდი ხნის წინათ დაფუძნებულ პარტიულ პოლიტიკებში ძვრები (მაგალითად, მიტერანიზმის, ტეტჩერიზმის, რეიგანიზმის გავლენა ხელისუფლების პრინციპებსა და პრაქტიკაზე), რომ არაფერი ვთქვათ ახალ სოციალურ წყაროებზე, კოალიციებზე და ა.შ., რადგანაც ისინი `ეჯახებიან` სახელმწიფოს. ძველი ინსტიტუციონალიზმის მსგავსად, ნეოინსტიტუციონალიზმი დაინტერესებულია სახელმწიფოთი, მასში არსებული შესაძლებლობით, ტენდენციებით და საჭიროებებით, ასევე იმით, თუ როგორ განსაზღვრავს სამოქალაქო საზოგადოების ხასიათს მისი მაფორმირებელი ძალა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ნეოინსტიტუციონალიზმი უფრო მეტად დაკავშირებულია სოციალურ და პოლიტიკურ თეორიასთან და არა პოლიტიკურ ფილოსოფიასთან, ხოლო მისი წინამორბედი – პოლიტიკურ ეკონომიასთან. კვლავ განახლდა ინტერესი სამართლებრივი სტრუქტურების მნიშვნელობის მიმართ, შედარებითი პოლიტიკა ანალიზებს მათი არსებობის ან არარსებობის მნიშვნელობას, ვთქვათ, რუსეთში ან ჩინეთში, რომ არაფერი ვთქვათ ისეთ სპეციფიკურ ინსტრუმენტებზე, რომელთა საშუალებითაც წარმომადგენლობითი ინსტიტუტები იღებენ თავიანთ ლეგიტიმურობას მართულთა თანხმობის საფუძველზე. გარდა ამისა, ნეოინსტიტუციონალიზმი უბრუნდება პოლიტიკურ სისტემებში პროპორციულობის მნიშვნელობის მარადიულ საკითხს, პლატონი-

<sup>25</sup> იხ. ასევე Sen 1984; Lipton 1980; Lindblom 1977.

სა და რუსოს წამოჭრილ პრობლემას, რომელთაგანაც ეს უკანასკნელი აცხადებდა ხელისუფლების, როგორც მმართველთა და მართულთა, სიმდიდრესა და ძალაუფლებას შორის ორმხრივი პროპორციულობის აუცილებლობას.<sup>26</sup>

## 5. შეჯამება

შედარებით ანალიზში დღეისათვის არსებული ზოგიერთი ახალი ტენდენციის ეს მოკლე მიმოხილვა, რა თქმა უნდა, ვერ მოიცავდა შედარებითი პოლიტიკის დღეისათვის არსებულ მრავალფეროვნებას. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ შედარების ანალიტიკური ყურადღების საგნის ყოველი ცვლილების თანადროულად სხვადასხვა ინტელექტუალური მიმდინარეობა აღმოცენდება და მეთოდოლოგიური „ჭანჭიკის“ ყოველი შემობრუნება შედარებითი მეთოდებისა და ოპერაციონალური სტრატეგიების (რაოდენობრივი და სტატისტიკური, სტოკატური პროცესები, გეზის ანალიზი, ქსელური ანალიზი, ასევე ფუნქციონალიზმი, სტრუქტურალიზმი, კოალიციური და ვექტორული ანალიზი, სოციალური ეკოლოგია და ა.შ. იხ. Golembiewski, Welsh and Crotty 1968/1969) ცვლილებას იწვევს. ამ საკითხებთან დაკავშირებით არსებობს ვრცელი ლიტერატურა: ადრეულ კვლევებს შორის – ეკსტენის და აპტერის შედარებითი პოლიტიკა (Apter 1963) და დარგის სრული სპექტრის მომცველი ენციკლოპედიური ნაშრომი – პოლიტიკური მეცნიერების ტრაქტატი (Grawitz and Leca 1985), ასევე უფრო მოკრძალებული მცდელობა, როგორცაა ბადის პოლიტიკური განვითარება (Badie 1980), ვიარდას ნე.წ. შედარებითი პოლიტიკის მიმართულელები (Wiarda 1985), დოგანისა და პელასის როგორ შევადაროთ ერთმანეთს ერები (Dogan and Pelassy 1984), ენდრეინის შედარებითი პოლიტიკური სისტემები (Andrain 1994). როგორც თავიდანვე აღინიშნა, ანალიზის სხვადასხვა სტილს თან ახლდა მეთოდების შედარებისათვის შესაბამისი ერთეულების, ჰიპოთეზისათვის საჭირო შესაბამისი თეორიული პრინციპებისა და იდეების, ურთიერთმპირისპირებელი ტექნიკებისა და ზუსტი ახსნის საფუძვლის შემქმნელი ინსტრუმენტების მიმართ მდგრადი ინტერესი. კამათი მიდიოდა იმის თაობაზე, თუ რა სჯობია: “მაგალითების მცირე რაოდენობა”, ცალკეული შემთხვევის დაწვრილებითი აღწერა, როგორია “დიდი” თეორიების ღირსება-ნაკლოვანებები (Skinner 1985) – და ის, რასაც თილიმ უწოდა „დიდი

---

<sup>26</sup> პროპორციულობის თაობაზე კამათი იხილეთ მასტერზის ნაშრომში (Masters 1968 : 340-50).

სტრუქტურები, ფართო პროცესები და დიდი შედარებები“ (Tilly 1984). როგორც არ უნდა იყოს კვლევის ინტერესი, ახალი შედარებითი პოლიტიკური ანალიზი დესკრიპციული შედარებების წინააღმდეგ (ქვეყნების, ინსტიტუტების) იყენებს ემპირიული მეთოდების - ფუნქციონალური, ანალიტიკური, რაოდენობრივი, სტატისტიკური მეთოდების მრავალფეროვნებას.

მაინც როგორ ჯობს შემთხვევის კვლევის მასალებში თეორიული საკითხებისა და ჰიპოთეზების ჩართვა ისე, რომ ეს არ იყოს უბრალოდ ასახვა იმისა, რაც უკვე ცნობილია („გამლიერების“ ეფექტი), ან მხოლოდ დეტალების დამატება ზოგადი „ცოდნის გაფართოების“ გარეშე (ტრივიალურობის პრობლემა). შემთხვევის კვლევის უპირატესობა სიღრმეა, რომელიმე ქვეყნის სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების შიდა მახასიათებლებით დაინტერესება. პრობლემა იმაში მდგომარეობს, თუ როგორ გავაწონასწოროთ კვლევა. კვლევები, რომლებიც დეტალურად აღწერს პოლიტიკურ პროცესებს, ზეგავლენას ახდენს შედარებით პოლიტიკაზე და არ წარმოადგენს უბრალო ილუსტრირებას, არცთუ ბევრია. ის, ვინც დაკავებულია ემპირიული კვლევებით ადგილზე (საველე სამუშაო), ხშირად შეზღუდულია თავისი არეალისა თუ ქვეყნების კვლევით, ეს შეზღუდულობა ასევე განსაზღვრულია იმით, რომ დეტალიზაცია აძნელებს განზოგადებას და არათეორიულია. ეს ყოველთვის შემთხვევის კვლევის ბრალი როდია: ისეთ „საველე“ კვლევებში, როგორიცაა გირცის, ქოულმანის, აპტერის, ემფორდის, ლერიო ლადურის, ფიურეს, ლევინის, თავერის, სკალაპინოს ნაშრომები სრულიად განსხვავებულ კონტექსტებში, როგორებიცაა ინდონეზია, მაროკო, აფრიკა, იაპონია, ჩინეთი, საფრანგეთი, რუსეთი (მეტ-ნაკლები შემთხვევითი ჩამოთვლით), ზოგადი თეორია გამოიყენებოდა კონკრეტული სიტუაციების მიმართ. ამგვარ კვლევებში ჩაქსოვილია კომპარატივისტიკის ძირითადი თემები. ასეთებია, მაგალითად, ქოულმანის ნიგერია: *საერთო ფონი და ნაციონალიზმი* (Coleman 1985); აპტერის *განა დემოკრატიაზე გადასვლის პროცესში* (Apter 1963/1971 b) და *პოლიტიკური სამეფო უგანდაში* (Apter 1961/1996); კიჩინგის *სოციალური კლასებისა და ეკონომიკის ცვლილებები კენიაში* (Kitching 1980); სტეპანის *სახელმწიფო და საზოგადოება* (Stepan 1977); ფეიგენის *პოლიტიკური კულტურის გარდაქმნა კუბაში* (Fagen 1969); შმიტერის *ინტერესთა კონფლიქტი და პოლიტიკური ცვლილება ბრაზილიაში* (Schmitter 1971); ფრიდმანის, პიკოვიჩისა და სელდენის *ჩინური სოფელი, სოციალისტური სახელმწიფო* (Friedman, Pikowicz and Selden 1991). ეს ნაშრომები არ არის საინტერესო მხოლოდ ინფორმაციულობის გამო, არც იმიტომ, რომ ისინი უბრალოდ ასახავენ იმას, რაც ამა თუ იმ კონკრეტუ-

ლი ქვეყნის შესახებ თეორიულად ცნობილი იყო. ამ კვლევათაგან თითო-ეულმა წვლილი შეიტანა თეორიული ცოდნის გაფართოებაში და გაამდიდრა შედარებითი პოლიტიკა, ზოგიერთ შემთხვევაში კი, ფენომენოლოგიური შემეცნებაც (როგორც ეს გირცისეული პოლიტიკის, სოციალური ტექსტის წაკითხვის შემთხვევაშია). სუფრო მეტიც, კვლევათა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ძირითადი გავლენა ჰქონდა შედარებით პოლიტიკაზე, შემთხვევათა კვლევის მასალების საშუალებით შეიქმნა არა ქვეყანათმცოდნეების, არამედ სხვა დარგების სპეციალისტების მიერ, რაც კომპარატივისტებსა და ქვეყანათმცოდნეებს შორის ზოგჯერ ცხარე კამათს იწვევს.<sup>27</sup>D

არაფერი ისე კარგად არ აშიშვლებს ზეგანზოგადოებულ შედარებით თეორიებს, როგორც კარგი მონოგამოკვლევა, ე.წ. Case Study. ამგვარი ნაშრომები იკვლევს სუბსისტემებს შორის ურთიერთკავშირს, წარმოაჩენს ისეთ ცვლადებსა და ვალენტობებს, რომლებსაც ეროვნული თუ ცენტრალური ხელისუფლების ხედვის მიღმა ხშირად შეუმჩნეველი რჩებიან. ის ასევე ერთგვარი შხამსაწინააღმდეგო საშუალებაა რაციონალური არჩევანის თეორიებისაგან, რომელთაც რაციონალურობა როგორც ასეთი გადმოაქვთ პოლიტიკური სისტემის დონეზე მთლიანობაში, მაშინ როდესაც რაციონალურობის სხვადასხვა სახეები შეიძლება გვხვდებოდეს სხვადასხვა პოლიტიკურ ქვესისტემებში და ქვესახეობებში, რაც ზიანს აყენებს ცენტრს, მაგრამ აზრი აქვს მათთვის, ვინც ჩართულია კონკრეტულ პოლიტიკურ პროცესებში.

შემთხვევის ანალიზის სიღრმე, რა თქმა უნდა, შეაბამისობაშია თავად საკვლევ საკითხთან. ბევრი რამაა დამოკიდებული ღრმა ცოდნის მოთხოვნილებაზე იქ, სადაც ამგვარი ცოდნა ხელმისაწვდომია, როგორც, მაგალითად ჩინეთში ან იაპონიაში, სადაც ძნელია იმუშავო ენის, ისტორიის, კულტურის, ხელოვნების და ა.შ. ცოდნის გარეშე. ამგვარი ცოდნა შეიძლება არ გქვონდეს, ვთქვათ, აფრიკის ქვეყნებში, სადაც წერილობითი მასალები, არაბულის გარდა, კოლონიალიზმის ეპოქამდე ძალზე ცოტა იყო. აქ, თუკი წარსულის გაცოცხლება გვინდა, უნდა დავეყრდნოთ ზეპირ გადმოცემებს. თუმცა, ერთ-ერთი საუკეთესო მიზეზი შემთხვევის საკვლეად, ისაა, რომ კარგ შემთხვევას შეუძლია გააწონასწოროს ზოგადი შედარებითი თეორიები, რომლებიც საკმაოდ სწრაფად ამოწურავენ საკუთარ თავს. უფრო მეტიც, შედარებითი პოლიტიკის თეორიები ძალზე ხშირად აღმოჩნდებიან ისეთი მოვლენების პირისპირ, რომელთა არა-

---

<sup>27</sup> საინტერესოა თუნდაც თედა სკოპოლის *სახელმწიფო და სოციალური რევოლუციები* (Skocpol 1979), რომელმაც დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

თუ წინასწარხედვა, გაცნობიერებაც კი შეუძლებელია. საბჭოთა კავშირის დაშლა ამის კარგი მაგალითია.

თუკი შედარებითი პოლიტიკის კვლევაში გამოვიყენებთ ისეთ მყარ სტანდარტს, როგორც პროგნოზის უნარიანობაა, ეს არც არაფერს შესძენს, არც დააკლებს პოლიტიკურ მეცნიერებას ან ზოგადად სოციალური მეცნიერების რომელიმე სხვა დარგს. უბრალოდ, აქ ძალიან ბევრი ცვლადია და ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი; რამდენადაა დამოკიდებული დემოკრატია კულტურის, განათლებისა თუ სპეციფიკური სამოქალაქო ელიტების „წანამძღვრებზე“; რამდენად იქნება იგი დამოკიდებული წინამორბედი ავტორიტარული მართვის ნეგატიურ გამოცდილებებზე. ამ კითხვათაგან არც ერთს არ მოეძებნება ამომწურავი პასუხი. შეუძლებელია სოციალური პირობების გარკვეულწილად მინიმალური დონის დაწესებაც. როგორც ლიპსეტი ამტკიცებს დემოკრატის შედარებითი ანალიზის მიმოხილვის შეჯამებისას (Lipset 1994), თუკი შესაძლებელია დემოკრატიზირებული ქვეყნების გამოცდილებიდან და მახასიათებლებიდან დემოკრატისა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირებისა და სტატიფიკაციაში ცვლილებების საშუალებით დასკვნების გაკეთება, მაგრამ კიდევ რჩება ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ურთიერთობა, რომელთაგანაც ასევე დამაჯერებელი ურთიერთკავშირები აქვთ. ზოგადად შეიძლება დავეთანხმოთ აზრს, რომ „ნებისმიერი შემოთავაზებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მრავალვარიანტული ბუნების მოცემულობის პირობებში ნებისმიერი პოლიტიკური ცვლადი გარდუვალად მოგვეცემს წინააღმდეგობრივ შედეგებს“.

თუკი ეს ასეა, რა შეიძლება ითქვას შედარებითი პოლიტიკის სასარგებლოდ? ერთი მხრივ, ეს ეხება მკვლევრებს, რომლებიც აკვირდებიან საკუთარ და სხვა საზოგადოებებს შორის განსხვავებებს და განსხვავების ზოგიერთ შედეგს. ეს ზოგიერთ მკვლევარს განუმარტავს ნორმებს, ღირებულებებს, ინსტიტუტებსა და სოციალურ სტრუქტურებს, პოლიტიკური ქცევის სხვადასხვა ფორმების ურთიერთმიმართებათა სირთულეებს და მრავალგვარობას, რომლებიც მაშინაც კი, როცა ისინი ერთმანეთის მსგავსი გვეჩვენება, სხვათათვის, ვინც დაკავშირებულია ამასთან, საკმაოდ განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია.

მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით (ცვლილება, როგორც განვითარება; სამართლიანობასა და თანასწორობაზე წარმოდგენების შეცვლა; პროპორცია და ბალანსი თანასწორობასა და სხვადასხვა სტატუსურ მდგომარეობას შორის; არჩევანის თავისუფლება; წესრიგი) ვინმემ შეიძლება გეგმაც კი შეადგინოს და დარწმუნებული იყოს შედეგებში (Apter 1971a). ვინმემ შეიძლება განასხვავოს ის, თუ როგორ იძლევა ერთი

სახის შედეგებს ქვევის კონკრეტული ფორმები კონკრეტულ ერთობაში და როგორ იძლევა ქვევის იგივე ფორმები სხვა შედეგებს სხვა ერთობაში. მაგალითად, სამეწარმეო ინოვაციისათვის არსებითია რისკის ფაქტორი. ის შეიძლება იწვევდეს როგორც ძალადობის წარმოქმნას, ისე მის დაშრეტას (Apter 1996). ვინმე შეიძლება ასევე მოელოდეს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების (ცალმხრივი პოლიტიკის პრობლემები, ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმები, ლოკალიზმი, სექტანტობა და ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი საზღვრების აღორძინება) წარმოშობას, რომლებიც განაპირობებენ ნაკლებ ტოლერანტობას და ქმნიან არა პოზიტიური, არამედ ნეგატიური პლურალიზმის საფრთხეს. ამ თვალსაზრისით, მემარცხენეთა დასუსტებამ „სივრცე“ გაუთავისუფლა პრიმორდიალურ აღორძინებას, რომელშიაც დემოკრატია მოიაზრება საბოლოო მიზნად და არა საწყის მოსაზრებად. შემდეგი კრიტიკული კითხვაა ის, თუ როგორ გაუმკლავდებიან დემოკრატიული პოლიტიკური სისტემები, ერთი მხრივ, ინოვაციასა და ზრდას, მეორე მხრივ კი – მარგინალურ (სოციალურ, ეკონომიკურ, ეთნიკურ, რელიგიურ) ჯგუფებს შორის კავშირებს. Dდაბოლოს, საკითხავია, დასაშვებია თუ არა დემოკრატიის „სიჭარბე“, რაც ზედმეტად დატვირთავს მის შესაძლებლობებს და გამოიწვევს მორალური მგრძობელობის გადაძაბვას? დემოკრატიის სახელით ვინმეს ინტერესები შეიძლება უფლებების დონეზე იქნას გადატანილი, რითაც შეიზღუდება მოლაპარაკებებისა და დარწმუნების გზით გადაწყვეტილებების მიღების საშუალებები და მტრობა და ორმხრივი ანტაგონიზმი წარმოიქმნება, შედეგად გვექნება უფრო ნაკლები, ტოლერანტობა, უფრო ნაკლები ვიდრე მეტი პოლიტიკური არჩევანი.

რა თქმა უნდა, მაშინაც კი, თუ ვაღიარებთ, რომ დემოკრატია უნივერსალური სისტემაა, მაინც შეკითხვად რჩება, თუ როგორ შეიძლება ყველაზე უკეთ მისი ადაპტირება ძველი და ახალი პირობების მრავალფეროვნებასთან, რომლებთანაც მას მოუწევს დაპირისპირება. რა თქმა უნდა, აქ იგულისხმება არა მხოლოდ ექსტრატერიტორიული ასოციაციები, რეგიონალიზმი, გლობალიზმი და კერძო თუ საჯარო, ფუნქციონალური და პოლიტიკური ასოციაციების მრავალფეროვნება, რომლებსაც შეუძლია შეცვალოს სუვერენიტეტის ხასიათი და ეჭვქვეშ დააყენონ ტერიტორიული საზღვრების ხელშეუხებლობა. მიუხედავად დემოკრატიის ადაპტირებული ვარიაციის საჭიროებისა, რასაც ის თავად გვთავაზობს საცდელად, აუცილებელი არაა, რომ დასკვნა პოზიტიური იყოს. მრავალრიცხოვან მაგალითებისა და სხვადასხვა მიდგომების (ინსტიტუციონალიზმი, განვითარების თეორია, ნეოინსტიტუციონალიზმი) განხილვით – აქცენტებსა და კვლევის სტრატეგიებში არსებული განსხვავებებით, ასევე ემპი-

რიულ კვლევათა ფართო შემადგენლობის შესწავლით – მკვლევარი იძულებულია დაასკვნას, რომ არსებობს ძალზე შეზღუდული და სპეციფიკური ნაკრები ინსტიტუტებისა, რომლებიც საშუალებას აძლევენ დემოკრატიას იმუშაოს, მიუხედავად საპირისპირო ექსპერიმენტებისა. არსებობს სტრუქტურული შესაძლებლობების მეტად შეზღუდული რაოდენობა დემოკრატიული სახელმწიფოსათვის. Aარც ერთ მნიშვნელოვან ახალ ალტერნატიულ დემოკრატიულ ფორმულას არ შეუცვლია ის, რასაც სოციალისტებმა ერთხელ „ბურჟუაზიული“ დემოკრატიის სახელი უწოდეს და დასცინეს კიდეც. ზუსტად ასევე არ არსებობს დემოკრატიის არანაირი ახალი ფორმულა, რომელიც გაითვალისწინებდა ცალკე აღებული ქვეყნის კულტურულ სპეციფიკას და უნიკალურ თავისებურებებს. Dდემოკრატიას შეიძლება „ადგილობრივი“ ფორმები ჰქონდეს, თუმცა პერსპექტივაში ისინი ნაკლებად გამოდგება თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების პრობლემების გადასაწყვეტად.